

# କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ର

ସମୀକ୍ଷା ପାତ୍ର

11

ସେଠିଲାଳ

1939

პროლეტარების ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ყოველთვიური ორგანო

19 787

11



სახელმწიფო გამომცემლობა  
ტფილისი  
1989 წელი. ნოემბერი

## 楚 ი ნ ა ა რ ს ი

### ჩხატვისული ლიტერატურა

	გვ.
გამრიელ ჯაბუშანური — საოქტომბროდ თქმუ- ლი . . . . .	3
რევაზ მარგიანი — ნოემბრის ღამე სამეგრე- ლოში . . . . .	4
ფასილ ბარნოვი — დიდი მოურავი გიორგი სა- კაძე (ნაწყვეტი ისტორიული ტრილოგიი- დან) . . . . .	5
ივანე შაიშმელაშვილი — უკნასკნელი ღამე . . . . .	20
ლადო ავალიანი — ლაპილ პირველი . . . . .	29
<b>კრიტიკა</b>	
დაკობ ბალახაშვილი — გორის ლიტერატურუ- ლი წარსულიდან . . . . .	55

პასუხისმგებელი რედაქტორის მოვალეობის აღმსრულებელი დიმიტრი გენაზოლი  
პასუხისმგებელი მდიგარი ნიკოლოზ აგიაზილი.

---

წარმოებას გადაეცა 13/XI — 39 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 20/XII — 39 წ. ქალალდის  
ზომა 72 X 105, ფურნ, ზომა 11 X 7½, ფორმათა რაოდ. 4. შეკვეთის № 2597 მთავლიტის  
რწმუნებული № 6 — 3879. ტირაჟი 3500.



3. M 06060



0. 6023060

# მხატვრული ციურიაზური

გაბრიელ ჯაბუშანური

## საოქთომბრო თქმული

როს საბჭოთში დროშებს გაშლის მძლე ოქტომბერი, —  
უბრალო ქვასაც აღარ უნდა ზეიმს გამორჩეს;  
ქართველი ჩინგურს ხელს შეავლებს, როგორც ორფეი,  
ყაზახელ მწყემსებს მომართული მოაქვთ დომბრები  
და იმღერიან მებაღურნი დონზე, ამურზე.

ღიადო დღეო, ტებილ თარებზე თუ სალამურზე  
შენ ვიგალობებს საბჭოთის ყველა ყრები,  
ვით არ ვაღილოთ მზე-ტელადი, — მზეს სანამ ვუმზერო,  
ცხოვრება ჩვენი — ვაუკაცური, თან საამური  
და მტკაცე ბრძოლით მიღწეული ბედნიერება.

ღიადნო გმირნო, თქვენ გიგონებთ ქვეყნიერება, —  
ვინაც იქტომბერს შეეწირეთ ამაყი სულით,  
თქვენს ნათელ ხსოვნას უკვდავად ჰყოფს დროშათ სიმრავლე,  
იმათ ფერშია ჩაქსოვილი თქვენი სიმძლავრე —  
დღეს მათბობს მე მზე თქვენი სისხლით გამოსყიდული.

თქვენ გადიტანეთ სარჩობელა და ცხრაკლიტული  
და ამის შემდეგ ჩვენს სამშობლოს ჩემი თაობა —  
ვით არ დაუდგეს მხნე დარაჯად თოფდაკიდული,  
რომ საბჭოთის ყველა მხარე, ყველა კიდური,  
დაიცვას მკერდით, თუ გაბედა მტერმა დაობა.

სამართლის მართვის

## 7 ნოემბრის დახე სამართლოში

რა შეცხადება სუოლნია ოდას  
მეგრულ პატიურით და გახარებით,  
ბნელოდა, მაგრამ ციმციმით კრთოდა  
ნამძინარევი ოდის თვალები.

აყეჯდა ძალლი. ჭრიალმა ჭიშკრის  
ძილი დაუფრთხო მასპინძელს მძინარს,  
გაიღო კარი, სიბნელის იქით  
ოდამ შეგვხედა და შემოგვცინა.

მან დედასავით გაშალა წელი,  
ოდამ მართალმა, მართლა გულლიამ.  
მიგვიღო სამი დაუძრახველი  
და არაფერი არ დაუკლია.

შემდეგ კი, როცა მორჩა ვახშმობა.  
და დღვეგრძელობა მასპინძლებისა,  
ჩაბნელდა, გვითხრა: — ჩემო ბავშვებო,  
დოლამდე, ახლა ძილინებისა!

## ღიღი მოურავი გიორგი საკაპა

ნაწყვეტი

1.

სადილობის დრო იყო. ღულელთსოფელში რამდენიმე კაცი შეფრილიყო არაბულისას. ბჭობა ჰქონდათ. ძნელ საქმეზე თუ უბინბლენენ, რომ განცალკევებულიყვნენ, ქალები და ბალლები არ ეტანათ. ჯალაბი მონაწილეობას იღებდა ამგვარ მსჯელობებში: თუ რჩევას ერ მოგვცემენ გმირუცდელნ, ბჭობას მაინც შეეჩვევიან, წესს ისწავლინონ.

— შევი ღრო არის: საჯაროდ საუბარი საშიში გახდა, რაკი მტერთ სახლში ჩაგვიდგა. სიფრთხილე გვმართებს: ეიზედაც ეჭვი მიაქვთ, აატიმრებენ, ჰლუპავინ, ოჯახს უქცევენ.

— გატყდა ხალხი და დაძაბუნდა; გამრავლდა გამცემი.

— ენის მიმტანს ოქროს აყრიან.

— თუ ეს განგრძელდა, მთაც წახდება, როგორც რომ მირი.

— ნამდვილ!!..

— ძნელია ბრძოლა: დაგჭირეს გადასავლები, ჩასხდნენ ციხე-ნიმაგრებში-მტრის ხელშია ყინვალი, საყარაულო, საბალურები, იყვლივი. მოსწეულებს ზე-გითა მთა ერწო-თიანეთს, აქავრობა — ბარ საქართველოს.

— ბოჭორმაშიც ჩამდგარა სპარსი. სანადიროდ მოვედითო; ალარ მიღიან.

— ანანურზედ აპირებსო ყორჩი-ხანი ჯარის გაგზავნას.

— აუგირათ თესი ჯარებით შურის ცახე, აზეულა, სამშვილდე.

— გიორგის რჩევით არის ეს ყველაფერი. ყენი მას მიუყვნია აშისთანა ჰაზრამდინ. თუ მეგობრულად შეეტყუე და ციხეები დაიჭირე, ქართველობა უენს ხელთ იქნებაო.

— გამოცდილი კაცია ყენი: სააკაძისთვის მიუნდგია ამ საქმის შესრულება; საქართველოზედ წამოსულ ლაშქრის მთავარსარდლობა ჩაუბარებია.

— დაგლუბავს ეშმაკეული!

— თათრობა მიულია ყენის კარს.

— ვინ იცის? ცხადია ერთი: მის ხელშია აწ საქართველო. ამ საქმეზედ მოგიხმეთ თქვენ დღეს.

— მე ის მითხრა შენმა კაცმა, ლუდი დააყენა და გპატიუობსო, წარსთვეუ ალდიამ.

ნაწყვეტი მოლებულია ვასილ ბარნოვის გამოუქეყნებელ ისტორიულ ტრილოგიდან: ალდი მოურავი გიორგი „საკაპა“, რომელსაც ბეჭდავს სახელგამი ალ გვასალიას რედაქციის.

- მართალი უთქვამს! ძალიან ლუდი დამიღგა და პირს არ დავაკარებ, მაა ნამ იაღსრის დეკანოზი არ დამიმწყალობლებს, მიუგო ლუხუმამ  
და განაგრძო:
- შენსას არ შეიძლებოდა ამ საქმეზედ ჩვენი შეყრა: თავი კაცი ხარ და თვალს გადევნებუნ, ბნელშიაც გხედავენ.
- ჭკვიანი კაცი ზარ, ღვთის მადლმა.
- სტუმრები მეტის ყურადღებით მიაჩერდნენ მასპინძელს.

## 2.

- ქართლ-კახეთი, თითქმის მთაც მტერს უჭირავს; მეტად ძნელი იქმნებონ და მტერთა განდევნა, თუ თითონ გიორგის არ შეეგნო ეს საშინელება და არ ეფიქრა ქვეყნის საქმეზედ: სხვა მისებრი წინამდღვარი არ გვყავს ქართველებს.
- რას ამბობ, კაცო?! სააკადე განა ფიქრობს ქართველთ ყოფაზედ?
- მაშინ მძლავრი ჩჩეცა მიუკია ყეინისათვის, რადგან სხვა გზა არა ჰქონია. არც ისა ჰგონებია, საქართველოს ესე ბნელად მოებყრობოდნენ. თურმე უიქრობდა: ჩრდილოეთის გზას ჩავხერგავ, ყეინს შიში აღარ ექმნება რუსეთის მხრიდან; დაწყნარდებათ; რუსეთისგან მოხიბლულს მეფეთ ველარ ენდობა.
- მოტყუებულა გიორგი: მტერია სპარსი და ჰსურს მხოლოდ მოსპობა. ჩვენი.

— იქნებ ყეინი ისე ფიქრობდა, როგორც ეჯონა მოურავს, მაგრამ მისმა სარდლებმა აღარ იქმარეს ხალხის ხელთ ჭერა და მოინდომეს მის ამოწყვეტა. მიუწერიათ, არ გვირიგდებათ ქართველი, ასდევს კახთბატონს, რუსეთისკენ იმზირებათ; სააკადეც თეომურაზს აპყოლიათ. შაპს უბრძანებია: მოსპერ გიორგი, ქართველები იარაღით დაწყნარეთო. ყორჩი-ხანს კახთა რაზმის ულეტა დაუწყვია. განრისებულა გიორგი და...

— თუ გვატყუებენ! რა შეუძლიან, თუნდ ისურვოს ჩვენთვის სიკეთე?

— იყუჩე, კორჩხავ!.. ეხლა ჩვენგან შველა სჭირდება. აჩქარებით შევკრიბოთ ჯარი: ყოველს წუთს ველი მისგან ბრძანებას.

— გიორგი აწ ჩვენივე არის?! უნდა ველოდოთ იმის ბრძანებას?! ვინ გითხრა შენ ეს? ჰკითხა ალდიამ უნდობლად.

— თითონ გვადერძმა! შეერთებიან ქართლ-კახეთის დაშლილი რაზმი. საგურამოს ტყეში არის ჩასაფრებული.

— მურდულმა?! სიმართლეა ყველა შენი თქმა! მსწრაფლ ასრულდეს მის დავალება! წარსთვეა ალდიამ.

და აღარ დაახანა: ყველა იქ მყოფს დაავალა გასაკეთები. მოიმტვრიეს ხმიადი; ჩამოარიგეს არაყი, ლუდი, წასავლელად ცხენებსა ჰკაზმავდნენ. ჯერ ისეც: ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, რომ ცხენი შეაჭენა კაცმა ეზოში, დაინახა თავი კაცები, აღარაფერს დაერიდა:

— ღიღებული ბრძოლა გაზრდავისადეთ გიორგის წინამდღოლობით! მთლად გპიფლიტა სპარსთ ლაშქარი საფურცლეს მდგარი და მათი სარდლობა! მაგრამ...

— მაინუ წააგვთ ბრძოლა?

— გვიხსნა გუდანმდე! დაგვრჩა დიდი გამარჯვება: მთხრობლებმა თუ გააწიეს, სხვანი ჩავხოცეთ. დიდალი დავლა! მაგრამ გოდერძი...

— მოკლეს ბურდული?

- არა! დაგვიჭრეს.
- და დასტოვეთ ბრძოლის ველზედ?
- გამოვიტაცეთ, აგერ ტყეში გვყავს. დაწინაურდი, რომ მენახა, მტერი ხომ არ სდგას სოფელში, ან ვისთან ჩამოვიყვანო დაჭრილი.
- მაღლობა ღმერთს!
- აქ მოიყვანეთ, ჩემსას! წარსთვევა მასპინძელმა.
- აღარ შესხდნენ სტუმრები: მოისურვეს მიჰებებოდნენ ვმრჩს. ცნობის სურვილიც მეტად ალეგზნათ, პსურდათ, დაწვრილებით მოესმინათ მომხდარი ამბავი და უკეთ მოეფიქრნათ, რა გზას დასლგომოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ.

### 3.

ზაფრანის ფერი დასდებოდა. ზურგიდან იყო დაჭრილი. შუბის წვერს ბეჭ-თარი გაეგლიჯა, ირიშად... ევლო ძვალს და ხორცს შუა. მოპბანეს იარა. ალ-დიამ დაკვირვებით გასინჯა ნაჭრევი, გადასწია ნაპირები, ღრმად ჩახედა. ვაჟ-კაცი ხმას აჩ. ილებდა, თუმცა სასტიკად გრძნობდა ტკივილებს. გამოცდილი ექიმი იყო კარისული, კარგად იცოდა ჭრილობის ხელი.

— არა უშავს რა, ორ-სამ კვირაზედ გამთელდება. თუ ალმაცრივ აჩ წა-სულიყო იარალი...

— საშინელი ძალით არის ნაგმირი; ჯაჭვი ორ აღვილას არის გაფხრულებილი.

— უკანასკნელი ცდა იყო ძლიერი მარჯვენისა: როცა თათარს ბრძოდა გოდერძი, წამოუარა სხვა მხედარმა, დასცა პოროლი; მაგრამ მაშინვე ძირს და-ეცნენ მისი შუბი და მარჯვენა მინდიასან დაკრული დაშნით.

— შენ გადაგვირჩინე გოდერძი, კაცო?

— გოდერძი მაინც გადირჩენდა თაქს: ჩამოაგდო ახმად-მირზა და შიუბ-რუნდა...

— ახმად-მირზა, ყორჩი-ხანის საუკეთესო რაინდი?

— ჰო! გიორგიმ რომ ყორჩი-ხანი დაჩეხა, გოდერძიმ ახმად გააყოლა იმას-სულეთში.

— გვითხარ, პაატ, დაწვრილებით, სად რა მოგიხდათ.

— როცა გიორგი დარწმუნდა, რომ ქართველთა მეგობრობას აღარ კმარო-ბდნენ ყიზილბაში, მათ მონობა და მოსპობა გადაეწყვიტათ, თითონ გიორგის მოკელაც, მიუბრუნდა მტერს. ცოტას გაენდო. ზურაბი უნდა მოსულიყო ხარე-ბობის გათენებისას. რაზმი გვყვანდა მოშორებით დაყენებული. ჩვენი კარავი ახლო იდგა ხანის კარავთან. ვახშამი ყორჩი-ხანთან მიირთო. ღამე გატეხილი იყო, რომ დაბრუნდა, შეიჭრება. გვიშჩებანა იარალის ასხმი. შევეკაზმენით. ჩა-ვაქრეთ ჭრაჟი. ზურაბისგან ნიშანს ველოდით. აფერადდა აღმოსავლეთი. ჩქა-მი არ იყო ერისთავისგან.

— ვერ თუ მოახერხა პირობის შესრულება. მაინც დავიწყოთ! წარსთვეა გიორგიმ.

ერთი წამიც და მოისმა საყვირო ზახილი.

— აგერ ზურაბიც! გადავკოცნეთ ერთმანეთი. შევსხდით. გაისმა მარჯვ-ინი მხედართ ხმაური.

— ქსეც გოდერძი! სთქვა მოურავმა

და დასძრა ცხენი. ბუკ-დაბდაბთ ზრიალს, მებრძოლთ ზახილს დაერღვია  
მოსვენება მტრის სარდლებისა. ვერ მოესწროთ მათ შეჭურვა, ცხენზედ შეჯ-  
დომა. წინ მოგვეგებნენ.

— რა ამბავია?

— თეიმურაზ რუსთ-იმერთ ჯარით!

— ყოველ მხრიდან ისმის ზახილი: შეთქმულობაა!

— და ლირსნიცა ხართ! დასძახა გიორგიმ.

და დააკერა შუბის წევრით ყორჩი მიწასა. ვიწვადეთ ხმალნი; სისხლში  
სცურავდნენ სპარსთ წინამძღვანი. ბრძოლის ყიუინა, აღბორგება ცახა სწვდე-  
ბოდა. ვარს შემოგვერტყნენ. წინებს ეხოცავდით, უკანმდგომნი ვერა გვწვდე-  
ბოდნენ. აისის შუქზედ ვერც გვარჩევდნენ არეულ ხალხში. გამოაპეს მტერი  
ჩვენებმა, დაგვიახლოვდნენ. აირია სპარსთა სიმრავლე. შეუგნებლად ჟლეტ-  
ენ ერთმანეთს. ლტოლვილნი სრესრნენ თავისებსვე ცხენის ტერფითა.

ინათა. გაირჩოდა მტერი, მოყვარე. გოდერდ ბურღულს ახმად-მირზა გა-  
დასდგომოდა, ხმალი გაექმორებინა. დიდებულად იბრძოდნენ. სხვა წამოვიდა  
გოდერძისკენ დახრილ ჰოროლით. გოდერია მისკენ მინდია. მოასწრო იმან, დას-  
ცა კინენი. მინდის დაშნამ მოულო ბოლო. დავსწვდით ჩვენ გოდერძს, გამოვი-  
ტაცეთ.

— გიორგი?

— სთიბავდა რაზმებს. ლომი იყო განძვინებული. მახლობელნი ზურგს  
უმაგრებდით. დაპყარეს სპარსთა იარალი, თავს ლა ჰშევლოდნენ. ერთმანეთს  
შექველნენ გორჩივ, ზურაბ, ულოცავდნენ დიდ გამარჯვებას. ბრძანა გიორგიმ:

— გოდერდ ბურღული საიმედოდ დააბინავეთ! მოსპეთ სპარსთ ძალა ერ-  
წო-თიანეთს! დაათავა ამბავი ჩვეაძებ.

— გამჩენს ჩაუგონებია მოურავისთვის სწორე სატალი. თავისაგან გამრუ-  
ღებული გზა თავის ხმლით გაუსწორებია. ისევ ჩვენია თეთრი გოორგი!

— დაყოვნება აღარ შეიძლება! ვაუკაცნი გვინდა, რომ მიემართოთ ყიზილ-  
ბაშ დასტებს.

— ნუ გეფიქჩება! დავგზავნი კაცებს, შეგროვდებიან, რისხეას დასცემენ.

— თქვენი გამარჯვებისა იყოს! წარმოსთქვა მასპინძელმა:

და ჩამოატარა ლუდი ჯამებით.

#### 4.

მსწრაფლ დაადგა სააკადე გზას თბილისისკენ. მეტად ჩქარობდა. იმედი  
ჰქონდა, ყიზილბაში ვერ გაიგებდნენ ულოდნელ ამბავს, ვერ მოასწრობდნენ  
ციხის დაკეტას. შეუფერხდა მცირედ მცხეთაში: ბრძოლა რაიმ გარდიხადა  
სპარსთ დარაჯვასთან. გზადაგზა ემატებოდა ძალა: ქართლ-კახეთის დაქსაქსუ-  
ლი ჯარისკაცები აწ დგებოდნენ იმის ალამ ქვეშ.

ვერ შეუსრულდა მას საწადელი: ციხის კარი დახვედა დახშული. მიახლე-  
ბულს დააყარეს ქონგურებით შურდულის ქვა, ტყვია, ისარი. კედლებოდან ლან-  
ძლავდნენ იმას, მოღალატედ იხსენიებდნენ. მოაგონდა: ზღვებზედ, მთებზედ,  
გაღმოსული უცხო მფლობელი მოსდგომოდა ამ ციხეში გამაგრებულ ერთ მუ-  
კა ქართველთ. ციხის თავმა აწყენინა ელინთ კეისარს, გაღმოსახა მას:

— ვაცისა წვერნი გასხნენ და ვაც-ბოტისა კისერი გაქცა!

დღო არ დაკარგა: ციხის ალება ერთის დაკვრით არ იქმნებოდა. გაიხსენა: იმპერატორმაც მხოლოდ დიდხანს გარმოდგომით აიღო იგი. შესაფერ განკარგულებათა შემდეგ სააკაძე ერთს წამს დაფიქრდა, გამოჰკიდებოდა ლტოლვილ შეფეს, თუ მიემართა ფერქარ-ხანისთვის. იტყოდა გულში:

— შევენიერი შემთხვევა! მეყოლებიან ამანათები; შეჰბოჭავენ ყეინის ნებას: ვერ გაპბედავ ავნოს რამე ჩემს შეილს პაატას!

შეიკავა პირზედ მომლგარი სიტყვა.

— არ ევარგება: მანამ მათი დატყვევების ამბავი ჩავა, პაატა უკვე დასჯილ იქმნება. არც გამოდგებიან: სვიმონ მეფე ულირს ყეინს, როგორც რომ მონა; იცის: არც მისთვის ვარგა, არც ქართველთათვის. მეფედა ჰყაუს მოსაჩერებლად: ქართველთა ტომს ისევა პფლობსონ ბაგრატიონი და საქართველო სახელმწიფოდ ისევ ითვლება. ქალი... არ ვარგა მძევლად: ხმალ არ დაეკვრის; არც პეტად ულირს იგი შაპ-ქაბაზს; რამდენი ჰყავს ქალი თუ ვაუ!

დაადგა გმირი მარტყოფის გზასა: უმთავრესი მტერი აქ ჰყანანდა. საიმედო მეომრები შეუერთდნენ ეხლა გიორგის: ბარათა ბარათაშეილი, ბაალურ ციკი-შეილი, აღათანგ ხერხეულიძე. მათ სააკაძის დევნაში და გაძევებაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღეს: პატივს სკვერნენ დიდებულ მებრძოლს. როცა სპარსთა ლაშქარი იმის რჩევით შემოეტყუ საქართველოს, ხოლო თითონ მთავარ-სარდლად დაინიშნა ყეინისაგან, ეს დიდებული გაუღვნენ განზედ. აწ სააკაძე ქართველთავე ჩასდგომოდა სათავეში და ჰმუსრავდა შემოსულ ძალას; ისინიც ამოუღვნენ გვერდში მებრძოლსა.

— მოგებულ ბრძოლას შეედრების თქვენი აქ მოსვლა! მიესალმა კარგ ქართველთ გმირი.

და უჩინა თეთეულს მათგანს თვის ადგილი საბრძოლველად მიმავალ ჯარში.

— ერთი შეცდომა მაინც მოგივიდა, ბატონო, შეჰბედა გზაზედ ვაშაყი-შეილმა.

— რა შეცდომა?

— მეფე არ უნდა გაგეშვა. დავდევნებოდით, დავეწევოდით.

— სვიმონ მებრძოლი არ არის, იგი ყეინს არც ულირს რაღმე.

— მის მეულლა, ყეინის ქალი?!?

— ღიაცებს ესდიოთ?!?

დაჩუმდა დარტვენილი გმირი. მაინც არ წყნარდებოდა მისი ფიქრი: თუ ხედავდა სააკაძეს საქციელში სხვა მოსაზრებას.

## 5.

სამხედრო თათბირზედ ერთხმად ალიარეს:

— ფეიქარ-ხანი გამოცდილი სარდალია, ჯარი საქმაო ჰყაუს, ბანაკი გამაგრებული აქეს; ადვილად არ დაგვნებდება.

არჩიეს, სიფრთხილით მიახლებოდნენ მას და ადგილობრივ მოწომათ, საიდან ან როგორ ემჯობინებოდა მასზედ თავდასხმა.

— ყორჩი-ხანის გადატჩენილი მეომრებიც ალბათ უკვე შეუერთდებოდნენ მას, მებრძოლთა რიცხვი გაუმრავლდებოდა, სთქვა ციკიშეილმა.

— ცოტამ გაგვასწრო; უმრავლესობა ჩაიხოცა ან ტყვედ დაგვიწებდა. მაინც სიურთხილე სჯობია, დასკვნა გიორგიმ.

— ემჯობინება, გარს დაუზროთ და გზა გადუჭრათ, ურჩია ბარათაშვილმა.

რომ გადაპხედეს ყიზილბაშთ ბანაკს, სხვა სურათი გადაეშალათ: ბანაკი დაშლილი დაპხვდათ. საქართველოს დროშა ფრიალებდა ოქ, მოახსენეს გიორგის:

— საფურცლიდან გამოქცეულთ შიშის ზარი დასცეს ფეიქარხანს და ამის ლაშქარს. უამბეს: რუსთ ლაშქარი დაგვატყდათ თაეს; ქართველნი მიემხრნენ მათ; სააკაძემ სარდლები ჩაგვიხოცა; სულ დაიღუპა სპარსთ ლაშქარიო. ფეიქარ ხანმა გასცა ბრძანება ალკაზმულიყვნენ, საბრძოლველად დაწყობილიყვნებ და გავიდა ბანაკიდან, დაადგა სპარსეთის გზას. ვინც ვერ მოასწრო თანგაყოლა, დავხოცევით ან ტყვედ წავასხით.

გიორგის მეტად უამა მტრის უბრძოლველად დამარცხება. მხოლოდ ენანებოდა, რომ ფეიქარხან გაეხწია თვის ჯალაბობით: იმედი ჰქონდა, ხელთ ჩაიგდებდა ლაშქარს, ხანსაც, მის მეუღლესაც და აუსრულებდა დაპირებას ზურაბ ერისთავს.

— გადაარჩიეთ საუკეთესო ცხენებზე მსხდომნი! უბრძანა გიორგიმ.

სწრაფად დაეწყნენ რაზმები. გიორგიმ ახედ-დახედა მებრძოლთ და მიჰმარტა:

— უნდა მოვსწერეთ ფეიქარხანს და მოვიმწყვდიოთ!

წაესწრაფნენ იმედეულნი. მარდათ იარეს. მაინც ვერ მისწვდნენ.

— ეხ, გაგვასწრო! დანანებით სთქვა მოურავმა, როცა ნახა, ფეიქარხან გამხდარიყო მტკვარს.

— აღარ ღირს მაგაზედ ფიქრი: გაქცეულ მტერს არ სდევს ვაუკაცი.

— ვერც შეიძლება იმისი დევნა: ეხლა იგი სპარსეთშია; ჩვენს ხელთ არ არის იმდენი ჯარი, შესაძლო იყოს შევესიოთ თვითონ ირანსა.

— ერთის ფეხით თუ წინ გვევლო, შეიძლებოდა, ჩემო ზურაბ, ჩემის აღ-თქმის შესრულება: ბაგრატიონთ სიძედ გაგხდიდი ჩემს ცოლის ძმასა.

— ჩემი ბედი არ ყოფილა ბატონიშვილი.

— მაინც ავასრულებ ჩემს სიტყვას, განათესავებ ბაგრატიონებს. ეხლა კი...

— როგორ სჯობს ეხლა, რომ მოვიქცეთ?

— უნდა დავსცალოთ სპარსთ. ჯართაგან ჩვენი სამზღვრები და აგრეთვე ლუკთაგანაცა! წარსთქვა სააკაძემ.

და დაძრა ჯარი. გადასჭრეს შირაქი, წინამინდორი, გაიარეს ალიაშათზედ-ზაქათალამდინ და შემოჲყნენ გაღმა მხარესა. ამ ჯარს აღვილადგილ ჩაუვლიდნენ სპარსთა გუნდები. ჩვენები მათ იარაღს ხსნილნენ.

— როგორც ეტყობა, ალაზნის ველი განთავისუფლდა შემოსულთაგან.

— ერთ გზით შემოსულნი, შეიძ გზით ივლტვიან.

— მარჯვედ მოქმედობს მთელ კახეთში ქართველთ ლაშქარი.

— კარგი უდგანან მდევარ ჯარს თავში: დავავედრე მტერთა დევნა ას-ლანიშვილს, ნოღარ ჯორჯაძეს.

— შიშის ზარი დაუციათ ყიზილბაშთათვის.

— ეს, გოდერძი დამიჭრეს, თორემ ცოცხალნი ვეღარ გადარჩებოდნენ ვე-  
ლარც ესენი. ნეტავ ვიცოდე, როგორ არის იგი ჭაბუკი, ინატრა გიორგიმ.

6.

ალდია წშირად დადიოდა გოდერძთან; უელიდა მას: წყლულს უწმედდა,  
ახალახალ წამალს ადებდა. ნაჭრევმა პირი მორჩენისკენ ქმნა.

— ჩემო ჭალო, აღარ არის საჭირო ესე ხშირად ვიარო; აღარც იმდენი  
მოცულა მაქეს: ბევრი ვაჟაცია ომებში დაჭრილი, ყველას სჭირია შეელა, წამ-  
ლობა, უთხრა ძიძილას.

— მაშ ეხლა...

— აი წამლები. კარგად მოისმინე! დაიხსომე, როდის უნდა იხმარო ესენი,  
ან როგორ შეუფერო ავაღმყოფს.

მისცა დარიგება მოვლისა და წამლობის შესახებ. როდესაც ქალმა გადა-  
ცილა მოხუცი ჭიშკარამდინ, იმან გაუმეორა დარიგება.

— თავადაც მორჩება იარა, რახან პირი მომშრალდა, მაგრამ მაღამო ააჩ-  
ქარებს განკურნებას და ეს მეტად საჭიროა ეხლა, როდესაც თითო მაგისთანა  
ვაჟაციი თითო ლაშერად ულირს ქვეყანას.

— მაშ მალე გამთელდება გოდერძი?! შეეკითხა ქალი აღტაცებით.

— ჩეარა მორჩება. პაი, პაი გამთელდება, როდესაც მაგისთანა ღვი-  
ლი აღგეხარ თაქს. აბა კარგათ მოუარე ჩენს. ძვირფას ჭაბუკს!

— სასმელი რომ მოითხოვოს?

— ეხლა შეიძლება. პატარა ყანწი არაყი, წიწანით ლუდი.

— გოდერძი მეტს არ სვამს კარგად მყოფიც.

— ახალი ვაჟაცია და ეყოფა, თუნდაც ერთი ხედეს? უსასმლოდაც ლულ  
თქვენი სისხლი.

— ქალო, ძიძილავ! საკართანოს რაღ არ მიართევ ჩენს ძვირფას სტუ-  
მარს? გადმოსძახა დიასახლისმა, რომელიც დამკლავებული გადმოჩნდა საესე  
საწველლით ხელში.

ქალი გამოტრიალდა ჯეირანიერი ყელმოლერებული და გამოურბენინა მი-  
მავალს ლუდით საესე ჯამი.

— ღმერთო ღიდებულო, იალსრის მადლო და ძალო, შეეწიე ამ ოჯახს, სი-  
ხარული გაუმრავლე, მტრი დაულიე, ულხინე ზალხის მოჭირნახულე გოდერძს,  
დაილოცა კარიაული

და მიჭმართა ქალს:

— თუ გოდერძი სულ ხმალზედ არ იყურებოდეს, დუშმანთან მარად  
ბრძოლაზედ არა ფიქრობდეს, გადაპირევდა შენი სიტურიე; აღარ მოგშორდებო-  
და გვერდიდან. მაინც საით წაუვა ვაჟაცი ცუცხლიან თვალებს?

ქალმა ქუფრ წამწამით ჩამოზეწრა მელნის მორცვინ.

მალე მოჯომინდა გოდერძი. შესძლო ყავარჯინით ეზოში გამოსვლა. მაისის  
მზით გამთბარი ტყის პარკი უალერსებდა ნაავადებს, დღითიდღე აწვეთდა ძარ-  
ღვებში ძალას. აღდიას ერთხელ-ლა დასჭირდა გადმოსვლა ლულელთსოფელში.  
შესძლო ჭაბუკმა ცხენზედ შეჯდომა.

— ეხლა კი წავალ ჩემს გზაზედ, ალდიავ! შენს სიკეთები ხალხს გარდაუხედა.

— არა, ვაჟო! ერთი კვირაც უნდა მოიცადო: აბგარ-აბჯარი დაჭელლის ახლად შეხორცებულ ნაჭრებს. მე რომ შენ ხელა ვიყო და შენს ადგილას, არ გავეშურებოდი, გულს არ დაუკოდდი თავდადებულ ამ ნორჩ სიცოცხლეს.

მაისის ვარდად გარდიფურჩა თეთრი გოგონა.

— ეჰ, არა შეუძლიან ბექავს ჩემს გულს დღესაც უხსნელ ჯინჯილით დაბმულს?! იგი სხვისაა, ბნელ ძალუშით დაბყრობილი მზეთუნასავის! წარსოჭევა გულში მწარედ გოდერძმა.

ალდია კი მარჯველ შემოახტა იორლას: წელთ სიმრავლე გადუბერტყა ახალნორჩო შზერაშა.

— ოჯახიშვილო, ჰაა ოჯახიშვილო! გაისმა ძახილი.

— გახედე ვინაა! მიჰმართა მამამ ძიძილას.

— მხედარი ვინმეა, გოდურძის სანახავად მოვედიო.

— შემოიწვიე, ბექავ!

ქალი შემოუძლეა ახალ ვაჟეცს, იარაღში მჯდომს.

— მოხვედ შემგიღობით, გიგიავ!

— დამხვდით მშვიდობით!

— გოდერძმა! ეტყობა მთლად მოურჩენიხართ, საგებლისათვის თავი დაგინებებია.

— ალდიას წამლობამ და ჩემ მასპინძლების ერთგულმა მოვლამ ფეხზედ დამაყენა.

— შენისთანა ვაჟეცაცის მოვლა სასახელოა და საამო. მაღლობა ლმეროს, ქარგად გხედავთ. რომ მოგიყვანეს, გონჯად გამოიყურებოდი, გამოეხმაურა დიასახლისი.

— სხვა რა ამბავია? ბევრი დავეკარგეთ იმ ბრძოლაში?

— დაგველუბა უსჯულოს ხელით ქარგი ბიჭები. ბევრი კი წაუმძღვარეთ დალოცვილებს შავეთის გზაზედ. დიდებული გამარჯვება დაგერჩა. ჭერახივით ეყარა ჩხოცილი ყიზილბაში.

— ეხლა?

— საუკეთესოდ არიან ჩვენები შეიარაღებულნი, ძველნიც, ახალნიც. გამოგვადგა მტრის იარალი და ცხენები.

— ბევრი მოვიდა ახალი?

— ოცდა რვა. სხვებსაც უნდოდათ შეურთება, მაგრამ ყველა არ გამოგვადგება.

— ჰო, ყველა ვეზე ვაიზიარებს ჩვენს ყოფას. ცოტა სჯობს და ქარგი. სადა ლდებართ?

— ეინვალის სანახებში მოგვნახავ.

— ხვალ ალდიასთან ჩავალ და ნებას მომცემს წამოსვლისას. ამ დღეებში გაეჩნდები თქვენთან.

— მაშ მე...

— შენ პური შეჭამე, გიგიავ ჩემო, და დაბრუნდი: არ გარგა, თუ გამოცდილი სარდალი არ უდგა ჩაზმს.

— დიასტლის კიდეც შეემზადებინა ტაბლა და მოართვა. აჭარეს, დაალე-ვინეს. ისევ გოდერძის წასვლის გარშემო ტრიალებდა საუბარი. ძიძილა დაღონებული იჯდა კერასთან.

— ისე შევეჩერით გოდერძის, როგორც შვილს. გვეძნელება გაყრა.

— კარგ მეომარს არ შეჲშვენის კერაზედ ჯდომა, როცა ხალხი გასაჭირ-შია, თუ გოდერძი არ ყოფილიყო საფურცლის ომში, ძნელი იქმნებოდა იმის თქმა, როგორ გაუმარჯვდებოდა მოურავს; მტერი მრავალი იყო, გიორგის საჭ-ოიოდე კაცი ჰყვანდა; ვერც ზურაბს შეეკრიბნა საქმაო ძალა.

— სააკაძე... აქ იმას ამბობდნენ, მოლალატეა, სპარსთა ლაშქარს მოუძღვი-სო ქართველთ საელეტად. ეხლა ქვეყანას უჩერენა თავის მამულიშვილობა.

— თუ ეგონა, სპარსი კარგ მეზობლად მოგვეყიდება და დაიკავს საქართ-ველოს რუსთ მოსევისაგან. როცა ნახა, მათ ქართველნი როგორ განწირნეს, მა-შინ...

— რად უნდა ჰერნებოდა ეგრე? მტერი მტერია აღმიდან მოვა ის, თუ ჩა-ღმიდან. ყველა ხალხი თითონ იყოს თავის პატრონი!

— ჩვენს ქვეყანას მხოლოდ შესაფერი წინამძღვანი ეჭირება, თუნდა ისე-თი მნენ მებრძოლი, როგორც გიორგი, თორემ სხვის სახვეწარი არაფერი გვაქვს.

— მართალს იტყვი! სცდება თეიმურაზ, რომ მყინვარეთს ემუდარება: დიდია ჩრდილოეთი, ულეველი ხალხის პატრონი და თუ ფეხი ჩამოსდგა ერთ-ხელა, დაგვლუპაფს, დაგვნოქამს. სპარსეთო... ვერ შესძლებს ის შეუზღუდლად პატრონობას საქართველოზედ! სოქვა გოდერძმა.

და მოუბრუნდა მოსულს:

— იქვე მომიცადეთ, სადაც სდგეხართ. გაღმოსავალს ადევნეთ თვალი-რუსი თუ მოდის, ჩატერეგეთ გზა, თუნდ თეიმურაზ უძლოდეს მას წინ!

გაუვსეს ხურჯინი საგძლიო, ტიკვორაც წინწანაქარით, რომ ყველას ენახა, რა პატივით იცის ოჯახმა სტუმრის მიღება.

— მაშ წახეალ, გოდერძ? შეეკითხა ქალი, როცა მარტო. დარჩნენ იგინი-

— წავალ: მოვალეობა მიწევს.

— ბედნიერო! თუ ქალის წესი იყოს, გამოგყვებოდი აბჯარ ასხმული. თქვენს გეერდზედ სიკვდილს რა ემჯობინება?

— ბეჩავ! თუ შენისთანა ქალებიც ბრძოლაში ჩაიხოცებიან, გაგვიქრება კერის მომვლელი. ან ვისი იმედილა გვექმნებოდა დაჭრილთა თუ დაავადე-ბულთ?

— ჩემ სახსოვრად მსურს გაგატანო ეს ყელსაბამი, სოქვა ძიძილამ და შე-ისტა ასხმული მძივი თვის ვერცხლის ჯვარით.

— არ მოვიშორებ ამ შენს შანას არცროს მკერდიდან, ჩემო დობილო, სოქვა ვაუმა

და ჩამოართვა ნათავაზები. ხანჯლის ტარი დაუკოცნა ქალმა მზექაბუქს.

გოდერძის განზრახული პქნდა, საყარაულოზედ გადაევლო, დაშვებული-კუ ეინვალისაკენ; შეცვალა გეზი გზაზედ დამდგარმა: გაღუბვია სიონისკენ ბა-ლებისსევით და დაეშვა მისაქცეველზედ.

— დიდს განსაცდელს გადავურჩი უსწორო ომში; არ ევარგება არ შევსწი-რო სვეტიცხოველსა, არ დაუნთო წმინდას სანთელი, ეტყოდა თავსა;

მაინც ჰედავდა, რომ ქართველთ საერთო სალოცავის გარდა მას იქითკენ იზიდავდა პირადი ხატი, თუმც ძლეული და დამსხრეული, მაინც ძლიერი იმი-სათვის და მიმზიდველი. ტაძარში ლოცვისა და შეწირვის შემდეგ გაემართა დე-დათა სავანისკენ. სთხოვა მეყარეს, მოეხსენებინა! მისი მისვლა წინამძღვარის-თვის. ნინომ თითონ გამოჰედა განთქმულ რაინდს და შეიწვია.

— მაღლობა ლმერთს, ცოტხალს გხედავ, დაუშავებელს! ომის შემდეგ გა-მოაერცელეს, მძიმედ დაჭრილი გაიტაცეს ამხანაგებმა; მერმე ისიც სოქვეს, შორს აქავრობას, გარდიცვალაო.

— პირველი თქმა მართალია: ბრძოლის დროს დამჭრეს ზურგით კერძო და უგონოდ დაცემული გამოვეტანეთ. ჩემი სიკვდილის ხმა კი განზრას გაევრ-ცელებინათ ჩვენებს: შევშინებოდათ, მტერმა არ მიიკვლოსოთ ალდიაც ხელს უწყობდა ამბის გატანას.

— კარიაული? სადა გწამლობრნენ!

— ღულელთ სოფელში. თითონ დადიოდა ალდია. ჩემთან.

საუბრობდნენ მისულ-დამხვედრი. მზირად იყო დედაბერი და ყურმაზვი-ლად: იცოდა, ვაჟკაცი სულ სხვაზედ იყო იქ მისული და უცდიდა, როდის გა-შოსთქვმდა თავის სურვილს. ვეღარ მოითმინა ჭაბუქმა:

— დედავ, ბატონო! შესაძლოა დედოფლის ნახვა?

— არა, შეილო! ცნობის გარეშეა საწყალი ქალი.

— მაინც მინდა თაყვანისცე მის მწუხარებას.

წინამძღვარმა უბრძანა მორჩილს, შეემზადებინა ქალი მნახველის მისაღე-ბად. ოთახში რომ შევიღნენ, თეკლე წამოდგა, თავი დაუქრა წინამძღვარს. და-კვირდა ჭაბუქს და გაულიმა.

— გოდერძი, შენა?

— მე გახლავარ, დედოფალო! მიუგო ჭაბუქმა

და მიუახლოვდა ქალს, დაეყრდნო მუხლზედ, აკოცა კალთას. ქალი დაი-ხარა, ქოჩორზედ შეახო ბაგე.

— როგორ ბრძანდები, დედოფალო?

— გმაღლობ, ჩემო კარგო! კარგადა ვარ. ეს დედა და აქაური დები შეტად ზრუნავენ ჩემზედ. ჩემი ბალლიც კარგად არის, მაგრამ სულ სძინავს, წირსთქვა ქალმა

და დააკვირდა აკვანს.

— უჟ, იშმუშება! თითქო იღვიძებს ჩვენს ლაპარაკზედ.

გარწია აკვანი. პირსაფარი გაუსწორა თოჯინას. გაერთო ჩწევაში. ნანა დაკლილინა. ჩაიფუფქა გოდერძი, წვერ-ულვაში დაულოტა ცრემლმა. დედოფა-ლმა თავი ანება აკვანს, გოდერძს მიაბყრო თვალი.

— მიყვარს გულჩილი ვაჟაცი, ოში ფოლადი, ცხოვრებაში ლბილი, ვით ცვილი! ჩემი ღუარსაბ... ცრემლი არ იცის. როდის-ლა მოვა და ჰნახავს შეილს ტახტის მემკვიდრეს!

შესწყვიტა სიტყვა. გაშტერდა. რაღაცას იგონებდა.

— მეფე ცოტხალია, გოდერძი? გიორგიმ ხომ სისხლი არ აიღო მისგან?

— არა, დედოფალო! გიორგიმ აღითქვეა, რომ ხელს არ შეახებს ცხებულს; ბუმბურაზი არ გასტეხს სიტყვას.

— მოვიღნენ ჩემთან მეფეც, გიორგიც!

- მოვლენ, დედოფალო! მიუგო გოდერძმა  
და ხელზედ აკოცა აქვთინებულმა.
- კარგი, გენაცვალე: გაელვიძება ბალლს. მერე შემოვალთ და კიდევ ვნა-  
ხვათ, შევმართა წინამძღვარმა და გამოიყვანა სტუმარი.
- მიკირს, მაშინვე გიცნო. ესეა საცოდავი მას აქეთ, რაც ვაუკი მოსტაცეს  
და დაუკარგეს.
- დაულუპეს?! ერ მოგახსენათ, ბატონო, თქვენ ევ?

### 9

გრემში დაიდგა გიორგიშ ბინა. აქედან იძლეოდა განკარგულებებს; აქეთ  
ისწრაფიდნენ მომხსენებელნი. ჯელგა-ჯელგა მოუდიოდათ ტყვე ყიზილბაშნი.  
შემუსერილიყო სპარსთა ძალა საქართველოში. ერთს ღა სცდილობდნენ: ქარ-  
თველთ სამზღვრებს გადასცდენოდნენ. ესეც ძნელი შეიქმნა მათთვის: გზაგზა  
მეტად ზარალდებოდნენ. საგძლის წალება შეუძლებელი იყო მათთვის სისწრა-  
ფის გამო; სოფლის გაძარცვა, სანოვაგის გატაცება არ ეგებოდა; ამხედრებუ-  
ლიყო მათ წინააღმდეგ მთელი ხალხი; იძულებულნი იყვნენ ტყე-ტყე ეარნათ.  
ისე დაძაბუნდა მტრი, მეხრეებიც კი სძალავდნენ, მოუდიოდათ. გაიულიტა  
დიდალი სპარსი.

- გაიწმინდა საქართველო ურდოებისგან.
- ტყეებში თუ იმალებიან, სხვაგან მათი ჭაქანება აღარსად არის.
- შემოსილია ტყე თუ ჭალა, ძნელი არის მათი იქ დევნა.
- არც საჭიროა: ძალას აღარ წარმოადგენენ, ჰერმან ვიზრუნოთ აწ შემ-  
დევისთვის.
- გვიბრძანე, ბატონო!
- უა-აბაზი უპასუხოდ არ გაუშვებს ჩვენს მოქმედებას. უნდა ვემზადოთ.  
კახეთში, ქართლში უნდა მოესპოთ მისნი მომხრენი: მტრის ღამხმარე თვითუ  
დუშმანია. ლეკო უნდა წავართოთ შეძლება, მიეხმარნენ შემოსულებს, თუ არა  
და...

- მგელს მგელი ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოავდო.
- ტურებივით დაძრებიან სიბნელეშია, სისხლსა სვამენ უძლურებისას.  
ვაუკაცები ვერ წასულან მათ შიშით სხვაგან: იდროვებენ, დაეცემიან, ანადგუ-  
რებენ.
- ვერ მოახერხეს მათ ალაგმა კახთ ბატონებმა.
- ხალხის ძალით უნდა მოგვარდეს! ჩემი ბრძანება: უნდა განახლდნენ  
ციხეები ომალოში, საყორნეში, კოდორს, შავ კლდეზედ და ჩაიხსას მეციხოვნე-  
ნი. მომარაგდეს იარაღი და სურსათი ამ სიმაგრეებში. იგინი უნდა მოწინავობ-  
დნენ, რომ დროზედ ამცნონ საცხენის, ყვარელს, გრემს ლეკო ჩამოშვება. უნ-  
და შეიქას მთის ბილავები. თუშთა ციხის გამავრებას თუშებს ვავალებ. მანამ-  
დისინ კი თითონ შევალ იმათ მთებშია და მოიყვან მორჩილებაში. არა მგონია;  
ის მთები დვალეთზედ ძნელი საომარნი იყვნენ, სთქვა გიორგიმ.

კახელებს მოეწონათ ესეთი გადაწყვეტილება, ჰაზრითად ეჩვენათ იგი. საკ-  
შაო ჯარი შეიკრიბა სააჯაძის კარს. გარს ეხვივნენ თავი კაცები. შეუძლებლად  
არ მიაჩნდათ ამ სურვილის ასრულება. მხოლოდ ერთში არ თანხმდებოდნენ:  
ლეკეთში ასაკლელად არ ჟომუმღლად გიორგი: მეტად საჭირო იყო თითონ

ჭართლ-კახეთში მისი ნძლავრი მარჯვენა და ოწივისებური თვალი. მოურავმა განუმარტა მათ, ეს მხოლოდ დამსჯელ რაზმის სელა იქმნება მოსამზღვრულეკთა შესაძრუნებლად; მათ ქვეყანაში ღრმად შევლა და ხანგრძლივი ბრძოლა ჰაზრად არ ჰქონდა; ამ შემთხვევაში შეუძლებელიც იქნებოდა იგი. დასტან-შმღნენ.

დაყოვნება არ შეიძლებოდა, საშიშიც იყო: ხმა მივიღოდა ლეკებთან და იგინი გაეცლებოდნენ. დაარჩია ვაუკაცები და შეკაზმა. ჭარულგნენ მას თუში წინამძღვრები და სთხოვეს, ნება მიეცა მათვისაც, რომ გაჰყოლოდნენ.

— არა! თქვენ სხვა საქმე გაქვსთ და საბრძოლო: დაბრუნდით თუშეთს, შეავსეთ რაზმი და იქიდან გადმოლახეთ ლეკთა საშზღვრები. წამოდით მთამთა საყორნეთი, საბაკუნით წიწმახამდისინ. მიეცით ცუცხლი გზაგზა მათ სოფლებს. ციხე თუშთა-ში მოდარაჯე გუნდი დასტოვეთ. იქით გადმოვიკვლევ გზას და შევიყრებით გამარჯვებულნი.

— უსათოდ გამარჯვებულნი! მაინც რამდენსამე კაცს გამოგაყოლებთ: თქვენ ისე არ იცით იქაური წავარნები თუ ხევები, როგორც ჩვენ ვიცით.

დათანხმდა გიორგი. საბრძოლ სავალს დაადგა ხალხი. სალთად მიღიოდნენ: გზაგზა ჯარის გამოკვება ხმლისთვის მიენდოთ.

კოტა დრო დასჭირდათ განზრახულის შესასრულებლად. ილბლით იარეს. კახნი, თუში შეხვდნენ ერთურთს ომგარდახდილნი. მიუდიოდათ ტყვე, ცხენები, მოჰკონდათ თან იარაღი, ნაღავლი ყველა. შეერთებულნი ჩამოეშვენენ ღვთისმშობელში საყორნის დასწვრივ.

ეკლესის მიდამო ხალხით იყო სავსე, შეერთებულ მებრძოლო სიმრავლით. მათ რიცხვს ავსებდნენ ტყვედ მოყვანილნი და ტყვეობისგან ხსნილნი ჭართველნი.

მზიანი დღე. ზაფხულს გაეტეხნა მთის სიგრილე. თოვლი მხოლოდ ლრან-ტეებში იხილვებოდა. მინდორველი ყვავილნარით გადაპენტილი. გადმოჰმზერდა სააკაცე კახეთის სივრცეს.

— აფსუსია, ამ ედემში ვერ ჰყაოდეს ცხოვრება წყნარი, რომ ნახოს ხალხმა კეთილდღეობა. უნდა მოისპოს მტერთ შემოსევა, შინაურიც შულლი ყოველი!

მთელი საქართველოც უნდა დაწყნარდეს. შტერს ფეხი არ უნდა ედგეს შიგ, რომ კეთილი იგემოს ხალხმა; სხვასაც მისცეს შემწეობა ნამეტნავისგან.

— გისმინოს ლმერთმა, ქართველთა ძალავ!

— მისმენს! რად მინდა ხმალი, თუ ვერ შევსძენ ქართველთ მშვიდობას, კეთილდღეობას?

— ეგ დიადი განზრახვა შენი შესაძლოდ თუ არ მიაჩნდათ ქართველთ მე-ცეებს. აწ ლმერთი გვითავას: მოგვიელინა თვისი რჩეული!

გუნებაზედ იყო გიორგი: ადვილად შეუსრულდა ძნელი განზრახვა. ვინ იფიქრებდა, ესე სწრაფად გასწედავდა მტრისაგან სამშობლოს?! ლეკთაც იგე-მა ქართველთ ხმალის ფხა. გახელა ტყვეებს.

— აქ მომგვარეთ ყარა-მურადი!

მოუყვანეს შებორკილი ლეკთა ბელადი. ძარღვიანი კაცი იყო, მაღალ-მაღალი. მარჯვენა წარბი ხმლის ნაკვეთით გადაკვალილი.

— გაუხსენით ხელები!

ეთაყვანა ტყვე დიდ მოურავს. უბრძანა ლექს გვერდს მოსჯდომოდა.

— კარგი ვაჟეაცი, თუნდაც მტერი, საპატივოა!

— რაინდულს იტყვი!

— მომართვით ამის ხმალ-ხანჯალი!

მოართვეს. გიორგიმ ფხა გაუსინჯა ხმალს. მოიწონა, ვაჟეაცის შესაფერიაო.

მურადი ხარბად დაჭყურებდა თავის იარაღს, მისი მარჯვენა შეუგნებლად იწევდა ხმლისკენ.

— აპა შენი ხმალ-ხანჯალი! ცოდვა არის, შენ არ გერტყას, არ გამშვენებდეს.

ლექი განცვითურდა. წაიწია მხარზედ საკოცნად. სააკადემ პირს აკოცა გან-  
თქმულ მეომარს. ხალხი გონს ვერ მოსულიყო. შედეგს ელოდონენ.

— მურად! დაგვისახელე უკეთესნი ჩვენ ტყვეთა შორის: მსურს მოშიწვიო.

დაასახელა. მოიყვანეს. გაუსხნეს ხელნი. სუფრაზედ დასხეს. სხვა ტყვეებმა როცა ნახეს ესე მობყრობა, აღტაცებით ხმა აიმალლეს. ისე განაგრძნობდნენ სა-  
დილს, თითქო ეს შეიარაღებული მტერნიც მათი თანამებრძოლნი ყოფილიყვ-  
ნენ. მოდიოდა სადლეგრძელო სადლეგრძელოზედ. შეიმალლა გიორგიმ ყანწი.

— მურად! გეტყვი შენ, მთელს დალესტანს ამასვე ვეტყვი: მეგობრობა და  
კავშირი თქვენს და ჩვენს შორის! ესე სჯობია: ზღვა ხალხთ ზეირთები მოპერა-  
გნიან ჩვენ დასანთქმელად, თვალუწვდენი მყინვარეთი, დიდი ირანი. გვაქეზე-  
ბენ ერთურთ საბრძოლვად, რომ ადვილად დაგვიმონონ ისეც ცოტანი; რჯუ-  
ლით გვაცდენენ რუსნი ქართველთ, სპარსნი თქვენ, ლეკებს. გვირჩევნის, ორ-  
ნივ უარი ვყოთ, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვებაროს. შევძლებთ იმათ მოგერებას  
თუ მთა, ბარი ერთად ვიბრძოლებთ. გავათავებ ირანთან ბრძოლას, თქვენს ცი-  
ხებს თქვენვე გადმოგცემთ.

ჩამოართვა სიტყვა მურადმა:

— დიდს მეომარს ფიქროც დიდი გაქვს. ნათელ განზრახვას ამსრულებიც  
ძლიერი უნდა. ჩვენც ვიპოვით შენებრ შეენებულს, ქართველთ მეფეო. თქვენ  
წაუძლებით მეზობელ ხალხთ სიკეთის გზაზედ!

თუში ამტია ხმალში გათქმული თავიდანვე ბოროტებით შევმზერდა მუ-  
რადს: აბდიას შინში მოეკლა. სისხლი ემართა. მანამ ბელადი უიარალოდ იმყო-  
ფებოდა, თუში თითქო არც კი ამჩნევდა. ხმალ-ხანჯალი რომ დაუბრუნეს,  
ზავთს და მტრობას აღარ ჰეთავდა. მოახერხა, გაითხოვა მურადი ხმალში. რბე-  
ნა, ჩოჩოლი. მებრძოლ გმირებს გრის შემოერტყნენ. ხმალთა ტრიალი. დაჭრა  
თვალი საკადემ და გადაფრინდა, გააპო წრე, აუკრა ხმალი მურადს, აბდიას; ია-  
რალი დააყრევინა.

— რას ხადი, აბდი?

— ლექს სტანდი ჰმართებს!

— სტუმარია იგი დღეს ჩვენი.

— უნდა ავიღო სისხლი მაგისტრანტი

— ბეჭეთ მივანდოთ გაგასიმართლონ.

დაფიქრდა აბდი. მიკმართა გიორგის:

— დღეს მეფე შენ ხარ, თავად გაგვსაჯე! მაგრამ ის მითხარ, რა ჯადო  
აქვს ემა შენ დაშნას, რომ თითო აკვრიო მახეილები დაგვაყრევინე?!

გაუდგა გზას სააკაძე. გადასჭრა გომბორი. ჩაეშვა ივრის ხეობაში. დაათვარიელა ბოჭორმის ციხე, ინახულა იორის კოშკი. ჩააყენა მეციხოენენი. დაბრუნდა თბილის.

უსიამოვნო ამბავი დახვდა: შურის ციხე ვერ აელოთ. უგონათ; მეციხოენენი წყურვილით ამოწყდებოდნენ, რაღვან ზევიდან მომდინარე ნაკადი მოუწყვიტეს. ჰქონდა ციხეს სხვა გზაც წყალისა: სასახლის სარდაფებიდან ხვრელი ჩასდევდა კლდეში მომდინარე წყარომდინ, მაგრამ ეს გვირაბი ამოქოლილ იყო, ზევიდან ფილაქებით გაწყობილი და მისი არსებობა ორმა-სამმა კაცმა თუ იცოდა.

— ალბათ მიაგნეს საიღუმლო გვირაბს: სხვა სახსარი არა აქვთ წყალის. შოვნისა.

— რა გვირაბს?

— არის! მაგრამ ეს მხოლოდ ორიოდემ იცის. უნდა მოვნახოთ გამცემელი.

ფიქრობდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, ვინ იქმნებოდა გამცემელი. რამდენ-ზემე მიიტანეს გუმანი; თითონვე უარპყვეს. დალონდა გიორგი: დიდი განსაცდელი მოსდგომოდა კარს და თუ შინვე აღმოჩნდებოდნენ მტრის მომხრეები, მეტად გაუძნელდებოდა გამაგრება. მომავალ ომში ნარიყალას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ციხისათვის ჯარი უნდა შემოერტყა და ისეც მცირერიცხოვანი ლაშქარი დაეკინებინა; თუ არა, ბრძოლის დროს გამოვიდოდნენ ყიზილბაში, ზურგიდან მოექცეოდნენ ქართველთ და ორ ცეცხლ შუა გაჭვევლენენ. ციხის აღება იქანიშით არ შეიძლებოდა: მიუდგომელი იყო, დიდ მსხვერპლს შეიწირავდა.

გიორგი რომ ფიქრობდა ამ ყოფაზედ, მისნი ერთგულნიც მისცემოდნენ საგონებელს. ვერაფერი გაერკვით, მოსაზრების გზა. მათ ფიქრთა დენას მაინც აუცილებლად მოჰქონდა შადიმანის სახე. იქნებ იქამდინ დამდაბლდა უძინებელი მტერი სააკაძისა, რომ სახელმწიფო საიღუმლონ გადასცა მტერსა?! იცოდა იმან დათარული. პირად მისთვის ამის თქმა მაინც არ შეიძლებოდა: არ სჩანდა საბუთი. თავის მამულში სცხოვრობდა ეხლა ის, მონაწილეობას არ იღებდა მომხდარ ბრძოლაში.

ისევ კრაწანისის მამულში მოეწყო მოურავი. დიდი მოძრაობა იყო აქ, რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა. იგზავნებოდნენ პასუხებით, სამხედრო ცნობებით. მოსალოდნელ ომს უნდა გადაეწყვიტნა ქართველთ თეითარსებობის საკითხი და საბედისწერო ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ. სარდალთსარდალი სწერდა ბრძანებებს, იღებდა მოხსენებებს. მოკლედ იტყოდა. უბრძანებდა თვეკაცებს, აღნიშნულ დროსთვის მისულიყვნენ თავის ჯარებით. მხოლოდ ერთს სიტყვას აწერდა: გიორგი.

სიტყვის შეუტრუნებლად ასრულებდნენ მის ნებას: სპარსთა შიში ძლიერი იყო, ხოლო ლირსეულ დამცემელად ხალხსაც, დიდეკაცობასაც მარტო გიორგი მიაჩნდათ. კიდეც ეშინოდათ: ძლიერი იყო გიორგის მრისსანება, დაუნდობელი: ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა ურჩებს. მოურავი პირადაც აპირებდა ქართლზედ გავლას, რომ გაემაგრებინა ციხეები და გაემხევებინა ხალხი. სამ-

ცხეში აპირობდა იქიდან წასკლას: იმედი ჰქონდა, მოახერხებდა, ოსმალთა ძალას მოიშველიებდა. შევიდა გიორგისთან ქავთარაძე:

- ნარიყალას უნდა ავიდე და ბრძანება მომეც დარჩეებმა არ დამაკავონ.
- შურის ციხეში?!
- თან აი დემეტრე მომდევს თანდილზეილი.
- რა გინდა მტრის ბანაკში?
- ნამცხვარ წაუღებ: ძალიან უჭირსთ.
- სანოვაგეს დამშეულთათვის?
- ცოტა სასმელსაც!

ერთს ხან თვალი გაუშტერა გიორგიმ თავდალებულს თანამებრძოლს.

— წადი! აი ნიშნად ჩემი ბეჭედი: აჩ დაგაბრკოლებს ჩენი დარაჯვა. არ დაიღუპო თავი უბრალოდ!

— თუ იქ არ გვიშტრია სიკვდილი, დავბრუნდებით.

ხშირბინდი იყო, როდესაც ხურჯინმოკიდებული შეუდგნენ აღმართს. მარტოოდენ ხანჯლები ეკრათ. გზას უხსნიდა მათ თბილისა, მანამ გასცდნენ ქართველ გუშაგებს. გაღმოცვიდნენ სპარსთ დარაჯვი, გარს შემოერტყნენ.

— ეინ ხართ? რა გინდათ?

— თქვენ გშიანთ და გინდათ; ჩენ არაფერი არ გვინდა თქვენგან.

— რა მოგაქვეთ? საიდან?

— რა თქვენი საქმეა?! წაიღეთ ხურჯინები, დაცალეთ. ეს წიგნი გადაეცით გოგია გორგიჯანიძეს: ბატონ შადიმანის ბრძანებაა.

წაიღეს. მისულთ ყარაული დაუყენეს. თითონ გოგია გამოვიდა იმათთან.

— შადიმანი წერება, ყოველდამ მოგაწვდითო სანოვაგეს.

— ვედარ მოვალთ, თუ ყოველთვის ამისთანა აურჩაურს ასტეხენ თქვენი მცენები: გვიგრძნობენ სააჯძესნი და აგვეუწავენ.

— მაინც დაგინახავდენ ისინი, როცა მოგქნდათ.

— გვნახეს, შევვაყენეს. გამოვახწიეთ: ხეეში ათას ადგილას სლგანან სააკაძესნი და რა იციან, სად მიგვაქვს საზრდო.

— მაშ?

— ხვალ ამ ღროს აქ ეიქნებით დაბარგულები და ყიუჩას ნუ ასტეხავენ.

— თითონ დაგხვდებით!

მეორე ღამეს რომ ამოჩნდნენ ბილიკზედ დატვირთულები, გორგიჯანიძე ჩაეგება. ჩამოართვა, მისურა მხლებლებს. მსახურნი რომ გადაეფარნენ, ქაეთარა-ძე მიეახლა გოგიას დაბარებულ სიტყვის სათქმელად და... სწოდა ყელში, იქვე გაგუდა. ჩასტენეს პირში ხელსახოცი, ჩააყუდეს ტრმარაში. წამოიკიდა დემეტრემ. ათიოდე ნაბიჯი და სამშეიდობოს იყვნენ. გარინდებულიყო ტყვე: თუ ვერ სუნთქვადა. შეიტანეს გიორგისთან, წინ დაუხეთქეს. გაელიშა. გამოქითხეს, ხუნდებ ქვეშ ალაპარაკეს შადიმანის ერთგული.

— გამცემელი ღირსი არ არის ხმლით სიკვდილისა, მაგრამ სირცევილად ასიც გეყოფა, რომ დაკლულ ღირიეთ ჩამოგიტანეს.

მიუბრუნდა მხლებლებს:

— გაიყვანეთ, მოპკვეთეთ თავი!

## უკანასკნელი ლაპა

1

ახლაც ბარდის ზეცა ზანტად,  
მოყინულზე თოვლი ღეგბა.  
ჯანდი ჩაწეა ალაზანთან —  
კლდეებს მიედმოედება.  
ნაძვის ტოტი დათვლილა, —  
თეთრი დათვის თათებია,  
ბალში სხედან დათვებივით,  
ღამე გაუნათებიათ.  
საით წახვალ ამ ღრმა თოვლში,  
კაცს არ უჩანს სახე, თვალი.  
ჭობი იყოს, ოლონდ ქოხში  
ღადაღადებდეს ნალვერდალი,  
გედგას შავი ზედადგარი  
შემჭვარტლული ქვაბის ბუდე —  
ვერ მოგუნებს ცხრა ზამთარი  
ნაძვნარებში მობუტბუტე...  
მოგაგნებენ, გაფრენილო  
დაკარგულო თვალის ჩინო,  
ძირს თოვლია გაფენილი —  
ბინა ცაში გაიჩინო?  
შინ მახეა დაუგებული —  
სახლში როგორ დაიძინო?  
სად იქნები, რა გეგულვის,  
დაკარგულო თვალის ჩინო!...  
ძილი თვალს არ მოეკიდა,  
ღამე მიდის, ღილა ღეგბა.  
ახლა დედა შემოვიდა —  
საწოლს უნდა მოლაგება.  
როგორ ჰერცის წარბზე, შუბლზე,  
მოლად ალერსად გაღიაქცა!  
ატიტად და აბრეშუმზე  
რჩილი გაძლა და ღიაწვა... .

„თვალმაყვალავ, რა თავზარი  
დაგცემია ამიხსენი?!

მე გავთავი, იმავ ჯურით  
კვდება გული მამიშენის“ ...  
ჩაპეტეს და ჩათუთქულა,  
ცრემლი სცვივა ლაპალუპით,  
არ მიხედომ — საღა თქმულა —  
შვილი ვის ჰყავს დასალუპი!  
გუშინ ვარდისუერი ჰქონდა,  
ამლა თრთვილი გადაჰკვრია.  
თვალი როგორ დაულონდა,  
რა ნაღველმა გადარია?..

\*  
\* \*

არ უშვებდნენ — გამოუშვესა, —  
გაერთობა ჰაერზედა.  
გულჩხვეულს რა მოუხდა,  
ეს რა ფიქრი ჩაეწვეთა!  
საღამომ რომ ცა დანისლა —  
ბებერ ნაძვებს მიეფარა,  
აჩიდილია, ხმა გაისმა —  
ურუანტელმა დაუკარა...  
— მთვარე თუა სახემკრთალი —  
გარსკვლავები მყვანან თან!  
შენი თვალის ნაპერწყალი  
მინათებდა შორიდანა!  
შენი თავი შევიგულე  
მომავალმა შორი გზიდან,  
თვალმაყვალავ, შენმა გულმა,  
შენმა სახემ მომიზიდა...  
ირგვლივ თეთრი ნაძვებია,  
თოვლის თექა დაუქველდათ —

ეძინებათ, არ წვებიან, —  
 ასე დომაც გაუძნელდათ.  
 გამოიცნეს: თვალმაყვალას  
 ქვლავ ის ვაჟი შეხვედრია, —  
 თავზე თოვლი დააყრეს  
 ტოტებით. ვერ შეხებიან...  
 — მეც გელოდი, — ამბობს ქალი, —  
 დილას აქეთ, ამ ხეებთან,  
 წენი თვალის ნაპერწყალი  
 მართობდა და მამხნევებდა.  
 კომეცშირელს რად მაკარეთ,  
 რად დამტოვეთ მამაჩრდომ?  
 თქვენ წახველით, მე დამკარგეთ,  
 მფარავდნენ და არ მაჩინდნენ!...  
 — იცრემლები?  
 — არა, ცვარი  
 დამცემია წამწამებთან...  
 — რატომ სტირი?  
 — თანამგზავრის  
 გულცივობა მაწამებდა...  
 — თვალმაყვალავ, მშენიერო,  
 დედას როგორ ვამეტებ.  
 როგორ დასთმობ შენიანებს,  
 რა იძელი ვაიძედებს?  
 იცრემლები?  
 — ერთი წვეთი  
 დამცემია ლოყის თავთან...  
 — რატომ სტირი?  
 — გეფიცები,  
 შარტო შენზე ფიქრი მკლავდა...  
 — მჯერა, ჩემო...  
 — ვერ დავრჩები,  
 გამცილე ამ მრდამოს,  
 ვეღარ მნახავს დედაჩემი,  
 მამა მიწამ ჩაიტანოს...  
 — კიდევ ცრემლი?  
 — დიალ ცრემლი...  
 გამიყოლე კვალდაკვალა!  
 — მომყე, თუ კი დაველშევით,  
 ჩქარა, ჩემო თვალმაყვალავ!...  
 აქ ფანჯრიდან სანთლის შუქი  
 გადაეკრა თოვლის საბანს....  
 დელის ხმა: „ის ჭარუკი  
 ვინ მოსულა, ნახეთ სწრაფად!  
 სით მიჰყავს თვალმაყვალა,

მომეშველეთ, დამიხსენით!  
 მოიტაცეს, წარყვანეს  
 საყარელი ქალი ჩვენი!“...  
 ა... — იცრემლები? დედაშენი  
 წამოგვასევს ათას მღევარს...  
 დარჩი, ჩემო... გადავრჩებით,  
 საქმე კარგად გათავდება...

\* \* \*

ისევ ძველი მღუმარება,  
 სახლია თუ საპყრობოლება  
 დედა ართობს ნებანება,  
 ნიავაც არ ავრძნობინებს...  
 — ფლაჩემო, ელვა ზამთარი  
 არ სჩვევია, რატომ ელავს? —  
 დაინახე ალაზანთან  
 გაიელვა საშინელად?  
 — გელანდება! ეს ხომ აზრად  
 არ მოუვა თვით განგებას! —  
 თუმცა ვხედავ, რა ლამაზად  
 გაიელვა, გველნდება!  
 გელანდება, მოარიდე,  
 მოაშორე მინებს თვალი!  
 — დედაჩემო. კიდევ, კიდევ,  
 კიდევ სამი დავითვალე!  
 ნეტავ საით გაღიარა,  
 თვალი თუ აქვთ დაქანული? —  
 ჩაქუტნენ, ალრალდნენ  
 ერთად დედა და ქალწული...

## 2

მამაშ იცის შვეოთი, ერთი  
 ანთება და გავეშება,  
 თუ არვინ ჰყავს დასაფლეთი —  
 თავისთავთან უნდა შებმა...  
 ...მაგრამ, ი კამათია,  
 თევით მას ჰევიება ზორბა-ზორბა,  
 ახლა ყველას აატია,  
 როგორ მოხდა, რად დაზოგა? —  
 — საუკლავო, სით წახვალ,  
 რა საქმეში გამოდგები?  
 როგორ იომენ, სახლში ქალთან  
 გყავდა ქვეყნისამომგდები, —  
 ტყველგასული მაწაწალა,

ქაცისმკვლელი საზიზრისი  
 რად დაპფარე, რად აცალე,  
 დროშე რატომ არ გვითხარი?...  
 „„ამოეარებს მისი ჯიში, —  
 სამარეში ჩამაწვინა:  
 თვალმაყვალა კომევშირში  
 შესულაო შარშანწინა?!  
 ხედავ, ცეცხლზე საზარელი  
 სახლში მიზის მტერი თურმე,  
 ყელს გამოეჭრი ჩემი ხელით,  
 ჯოჯოხეთში გავისტუმრებ!“  
 ბჭობა მოჩხა ლამის სამზე,  
 მამა სახლში მოდიოდა.  
 მოდიოდა, მაგრამ თავზე  
 ოცდათო ლოდი ედვა!  
 თოვლიან გზას ლამბის შუქი  
 ეცემოდა შენობიდან.  
 „ერობაში“ ლაფდასხმული  
 ბალში ტანჯვით შემოვიდა.  
 სახლში შედის! ანგარიში  
 ახლა ზუსტად ცოლსაც სურდა.  
 მოერია რაღაც შიში  
 და საწოლში ძლიეს შეცურდა...  
 მუშტისოდენ თვალით ჭერი  
 მოიჩინა ორჯერ, სამჯერ,  
 თან იცხუა: დაიჭირეთ  
 და სიკვდილი მიუსსჯეთ  
 მაწანწალას, თვალმაყვალას  
 წაყვანას რომ აპირებდა,  
 მე კი ცამდე ამიყვანეს,  
 ნეტარება მატრებდა!...

### 3

დასამალი ვის არ ჰქონდა, —  
 ვერ დაბალებ მანც კარგად:  
 რაც ჩაფლეს და მოაგონდათ,  
 სწორედ ის არ დაიკარგა.  
 თან ათრიეს სკივრი თოთ,  
 თოთ თოთბრის ჩაიდანი,  
 გათხვეწენებ, გაჰქინენ თოთონ,  
 ისინც თან ჩაიტანეს...  
 ჯერ კი ამას უგდეთ ყური  
 სვერებით ბაზეს რომ ალაგებდა,  
 ბოროტი და მერილური  
 გუშინ მაზრას განაგებდა,

ძველმანებით შეიმოსა —  
 ახლებს რომ იმარაგებდა,  
 არც კავშირი, არც მიმოსვლა  
 ძლარ ჰქონდა ქალაქებთან:  
 — სასწავლი იცის ბედმაც,  
 ბედისწერას ვერეინ ვერსად  
 და ვერასგზით იცალებდა, —  
 ლემერთი სჯიდა უარესად!  
 ნისლზე ბშირი, როგორც მტევრი  
 შემოერტყა საზღვრებს მტერი,  
 სახლში, კარში შინ და გარეთ  
 დახვდათ ძმა და მეგობარი.  
 განა ეს კი არა კმარა?  
 გადიბირეს თვალმაყვალაც! —  
 რაც კი მითქვამს ახლობლებთან,  
 პარტიზანებს აცნობებდა...

\* \*

გარეთ ბარინის ზეცა ზანტად,  
 მოყინულზე თველთ დვება.  
 ისევ ელავს ალაზანთან,  
 ცხადია თუ მოლანდება?  
 რა მოჰყება ამ დიდ ზამთარს!  
 გოლიათის თანაბარი  
 სადღაც ზვავი ჩამოზუვდა  
 და წალეკა მთადაბარი.  
 ვერ მიაგნო ქალაქს ზეავმა —  
 მედიდურიად მთაზემდგარი  
 უკზო არი, იქ თუ ავა  
 ისევ წყნარი სახედარი...  
 — ვერ მიაგნო? როგორ არა,  
 ვინ შეჰევლა მიამიტად —  
 რა ღვთის რისხვა მოგორუვდა  
 კახეთით და გრიალით.  
 ქარი ადგა მძაფრზე მძაფრი,  
 მიწაც იძვრის შიგრაშიგა,  
 ცხა მდინარე ჩაღის ძაბრში,  
 დედამიწა გამოშიგნა.  
 წყალზე ვდგავართ, აზანზაჩრდა  
 ჩემი ეზო, ჩემი კარი,  
 სატომ ელავს ალაზანთან?  
 ჩქარა ბარები შემიკარი!  
 — ველანდება! მოგდე ყური,  
 რა გრიალებს და რას ვხედავ?  
 ნამდვილად ის უბედური

გაიყვანეს დასახვრეტად!  
 — ზარბაზნებს ხომ არ უშენენ?  
 მოწა სკდება ზნზარითა!  
 — ტყვით მას რას დააკლებენ —  
 თუ დახვრეტენ ზარბაზნითა!...  
 — რად ხარხარებ გაგიუებით?  
 რად იცინა ამ გვარადა?  
 კარში აღარ გაგიშვებენ —  
 შენი ენის ხმა გავაჩრდა...  
 ...გულზე ცეცხლი დამაყარა  
 თვალმაყვალას საჭირელმა.  
 უძილობა არ მატარა,  
 რაღაც შიში აციფრდა  
 თუ გაცივდა, ცხრა ღამითაც  
 არ გათბება ქალის გული,  
 ცხრასვე თვალის ხამხამით და  
 უხრით გასტებს ქალის გული!  
 სადარდელი აღარ მითხრა, —  
 შენ რა გემის ქალის გულის?  
 თუ გაცივდა დიდხანს, დიდხანს  
 არ გათბება დანისლული!  
 რად არ სტირი? არ შეშინდი  
 საკუთარი სიმკაცრითა,  
 რომელ ყბელმა დაიქარნოს —  
 კაცის ენა ვინ გაცვითა!...  
 ....იქნებ სიტყვას ვერ იპოვის?  
 გაქნილია ძველისძველი,  
 ან რა უთხრას, მისი ტოლი  
 ჟერაც არ არის უცოდველი.  
 სოტყვა იცის უცეკრი,  
 ახლაც მარჯვედ მიახალა:—  
 „ტყვისა ხმარობს უმეცარი —  
 ბრძენს ენა აქეს იარაღად...  
 ქალის გული საჩკეს ჰეგვა,  
 აღბეჭდავს და წაშლის სწრაფად  
 რომელიმე ცალკე საგანს,  
 რომელიც მას დაწაფა.  
 დამნაშავე აქ სისხლია,  
 ქალს სიცუცხლე ენატრება.  
 შენც ხომ იყავ მავის ხნისა —  
 რაღა ახსნა გვეკარება?...  
 ....ბრწყინვალეს და მაღალ სახელს  
 ლაქა მოხვდა წარუშლელი,  
 ხანჯალივით დამაჯახეს:  
 „გლალატობს ქალიშვილი!“

არ დამინდეს, ულმობელად  
 მაგინეს და გამაშავეს!  
 რა მეთქმოლა? რა დაცმალო —  
 თვითონ მე ვარ დამნაშავე!  
 ღიდაცაცობა, რიღი, ძალა  
 სულ მტკერივით გამეფანტა,  
 რადგან ვიღაც მაწანწალა  
 აქ შენიშნეს ლამე ქალთან!  
 თვალმაყვალამ, ჩემმა შვილმა,  
 ჩემმა ლვიძლმა გამათავა...  
 მხოლოდ სული შემარჩინა —  
 ისიც წავა თავისთავად.  
 რა მიშველის, რა გიშველის,  
 გამართლება გვინდა სრული,  
 არჩევანი დადგა შენი:  
 ქმარი გინდა თუ ასული?!  
 ...დედა ფიქრმა გაღიყოლა,  
 საგონებელს ვაპყვა მძიმეს...  
 ისევ ელვა, ისევ ძრწოლა,  
 დილამდეც ვერ ჩაიძინეს.  
 ისევ ბარდინის ზეცა მშვიდად —  
 ბარაქა არ დაელია:  
 აღლის სისქე ზეწარს შლიდა,  
 გზები აერდაერია...  
 დაბლა ვაკეც დათოვლილა, —  
 რა მოელით საცოდავებს?  
 იმ სოფლებში რად ყოფილა  
 ლუკმატურის სიცოტავე?  
 ჩაიტანოს ზვავმა, წყალმა,  
 მიწა აქვთ და ბარსაკვეთი  
 აღვე, ნახე თვალმაყვალა,  
 კარგად ნახე, რას აკეთებს!

#### 4

რა უძირო ზამთარია —  
 დაბინდულა, დღეცა ბნელა,  
 თვალს ლრუბელი აფარია,  
 თოვლი გასდის ნელა-ნელა.  
 ნავი ქალზე სათუთია,  
 დახრილა და წელი სწყდება.  
 ჩამოაგდებს ცხრაფუთიან  
 ზვაცს და ისევ გასწორდება.  
 თოთქოს პქონდეს თვალი, ნამდვილ  
 გუშაგივით უდგის ფანჯრებს;  
 დაკონკილი თოვლის ნაბრით  
 მდოუმარებას უდარაჯებს.

„ეს ბალნარი ჩემთ არი,  
 ბალის ახლომ რატომ ელავს?  
 მინებს იქით ცრემლიანი  
 ის ვინ არის მარტოხელა?  
 თენდება თუ მომელანდა,  
 ნასლია თუ რაზმებია?  
 ალაზნიდან აშლილან და  
 აქეთ მოიზლაზნებიან...  
 უნდა ცყოთხო ბებერ ნაძვებს,  
 მათ მოდგმას და მათ წოდებას:  
 კაცი თუ კი ერთხელ დასცეს  
 ხელმეორედ გასწორდება?“  
 რატომ ალარ მოსვენა —  
 რა ფიქრებში გაღიყვაჩვა!  
 ეს რა იყო? მამას ენა  
 კედლებშიაც გადის კარგად:  
 „გელანდება, მიგდე ყური,  
 რა გრიალებს და რას ვხედავ...  
 ნამდგოლად ის უბედური  
 გაიყვანეს დასახერეტად!“  
 ვაჲ, შენ ჩემთ თვალის ჩინო —  
 განა ესეც მელოდება?  
 ტყვისაგან წაქცეული  
 ნაძვისავით ვერა დგება!  
 ჩაფუთნულან, ჩასვლემიათ,  
 მთელი ღამე ღვანან ასე,  
 ერთი ფერი დასცემიათ —  
 დათვებს როგორ დავამზგავს!  
 ასე წყნარი, უზრუნველი  
 ძილი ვიღას ლირსებია,  
 გულშიაც ას ბუზლუნებენ,  
 ფიქრებით არ იქსებიან...  
 ...რა ფიქრებმა გააფრინა  
 თვალმაყვალა ამ ღამითა,  
 ვინ მოუსმენს:  
 — ალარ ბინა,  
 არც მშობლები ალარ მინდა!

### 5

— ახლა, როცა ქარიშხალი,  
 თუ გრიგალი წამოვიდა,  
 შეწრიალდა კაცი, ქალი  
 გაღმიდან და გამოლმიდან,  
 როცა თავზე წამოვაღვა  
 ეშმაკების ზღვა ღაშქარი —  
 გადვიყაჩვოთ მთებში, რაღვან

დაგვოლეწია მტერმა კარი!  
 შეილის ძებნას, შეილზე კვნესას  
 წმით თავი მიანებე!

ყაჩალები არ დაგვესხან  
 უწყალონი, ჩქიანები,  
 მიალგე-მოალაგე,  
 უნდა დავძრათ დასაძრელი.  
 პატრიონი და მოამავე  
 ასე იზამს ჭკუამთელი...  
 რამ აგრია, საღ გარბიხარ,  
 რა გაყივლებს, რა მომხდარა?!  
 სიით, სიით!

აკი გითხარ,  
 თვალმაყვალა ას მომკვდარა!

\*  
\* \*

და პირია, უერწასული  
 გაცყურებდა დახრილ ზარას —  
 ეგეც ტანჯვა!  
 არც ასული,  
 არც მეულლე მიექმარა.  
 მარტომ შეჰქანა, მარტომ დაძრა  
 მაფრაშა და კიდობანი.  
 ალაყაფში ფრთხილად გაძერა,  
 ნახა ფეხქევშე ეგდო ბარი. —  
 დაიხარა, ოფლი მოსდის,  
 ბარი კბილით დაიკავა.  
 გზა განგრძო: „საღამომდის  
 ნასაყდრალთან მაინც გავალ!“  
 კიდევ შესდგა. ფიქრი, შიში,  
 ბრაზი, ბოლმა, ერთად ეცა:  
 „ცოლი, ცოლი!“ ჩოგორც გიემა  
 შეჰქივლა და ჩაიკეცა...  
 დიღხანს თრთოდა. აღვა შფოთით.  
 გადახედა ბალს და ნაძვნარს —  
 დათველილა. ნაძეის ტოტი  
 არ აპირებს წამით დაძრას.  
 ასე მშვიდი, უზრუნველი  
 ძილი ვიღას ლირსებია?  
 არ აწვალებთ სევდა ძევლი —  
 ეპვებით არ იქსებიან...  
 — აქ ვცხოვრობდი? აქ ვიყავი?  
 ჩემი იყო ეს სახლკარი?  
 ჩოდის, რატომ ალარ მახსოვე,  
 ჩემიანი აქ ვინ არის?

დაემხო და აღრისლდა:  
 — ჩემო ტკბილო ეზო-კარო,  
 ჩემო მიწავ, სად გინილო,  
 საკოცნელად მოგევარო...  
 ნეტავ რისთვის შემიქმნის  
 ქონება და მყუდროება?  
 ახლა მუქთად დაიტოვეს  
 მტარევალების ურდოებმა!...  
 ახლა შხამიც გამერის,  
 ამ ცეცხლს რალა ვაანელებს,  
 ზეცა თავშე დამენვრის!...  
 ..დანას თავი დაანებე!  
 დამინახეთ? ვინ მიქერდა,  
 დაანებო თავი დანას?  
 გული რატომ გამიჩერდა  
 ეს რა ჭირმა გამიტანა?  
 ..დაანებე დანას თავი!...  
 დამინახეთ, მხედავთ განა?  
 ამ მახვილით დასკლავი,  
 ვაგლახ, აქ მე არიონ მყვანანი  
 სად გამექცა თვალმაყვალა,  
 რა ფიქრებმა გადარის...  
 სად წასულან, სადა მყვანან,  
 მეჯობრები სად აჩინა?  
 გადავლო თვალი ნაძვნარს —  
 გული ლამობს ამოვარდნას,  
 გული ერჯის — ნახლიც დაწვას,  
 სხვაგან ჩისტვამს ამის ბადალს...  
 იარა და რა იარა.  
 მუხლში ღონე დაუშრიტა,  
 რაღაც ასი ნაბიჯიც ვერ  
 გადაედგა ჯერ ჭიშკრიდან.  
 შეეყარნებ ძველი ძმებიც,  
 აქ ურმების იდგა წყება.  
 ჰკარებს: თქვენი ბრწყინვალებაც  
 ალბათ აქთა მობრძანდება...  
 კიდევ ერთი, კიდევ ორი,  
 სულ რვა გარბის გახვითქული,  
 ერთმანეთის თანასწორი  
 პირშავი და ავიგულის...

6

ნამქერიან ნასაყდრალთან  
 ჯერ ნამქერი თვეეტინეს,  
 დახვრიტეს და ახლა ზანტად  
 ზეცა ათოვს დახვრეტილებს...

ვინ გადივლის ამ არეზე —  
 შიში როგორ დაიძლევა!  
 მგელი მიღის სამარესთან —  
 ის კი აღარ დაიძრება.  
 გაინაბა, ჩაილუნა,  
 თვალწითელი ადგა შემდეგ  
 და საქვეყნოდ ჩაიღმუვლა  
 „მომეშველეთ, აგვაშენები!“  
 შავ დამეში რა აღმუვლებთ,  
 როგორ მოკერეს ყური სხვათაც?  
 რა თვალები გაახურეს,  
 რა ფუსტუსი გაიმართა!...  
 დამშეულან, დახარბებით  
 შემოეგლნენ საფლავს წრეთა;  
 შაგრამ რაღაც მანქანებით  
 ყურში რაღაც ჩაეწვეთათ...  
 გაინაბნენ. შეეშინდათ?  
 განა ბევრი დააყოვნეს?  
 დატრიალდნენ ისევ მშვიდად, —  
 თითო კვნესაც დააყოლეს...  
 ბებერ მგელმა ჩაიმლერა,  
 გადაშალა თოთქის გეგმა:  
 „გამოვცადე, ვილას ახსოვს  
 მყვიდრებზე თავის გარავება,  
 სამაყოდ გადაიქცა“  
 კაცის მოყვლის ქადაგება,  
 თხარეთ, ძმებო, ჩვენსკენ არის  
 მათი ენა და განგება“...  
 გაიელვა, დაიქუხა,  
 ზემო სერმა მისცა ბარი,  
 მგლები ქექამ შეაწუხა —  
 ნახეს მყურიო მისაფარი!  
 მაგრამ დანდო!  
 საფლავიდან  
 მოჩვენები ამოსულა,  
 ისევ ჩეხარა! სად წავიდა,  
 მაღლა ყოვნა რად მოსხულდა!  
 ალაზანთან ჩატომ ელავს —  
 ჩა ლამაზად იქლავნება!  
 ეს აჩრდილოც მარტოხელა  
 იელვებს და იქაჩება...  
 სად წავიდა, ჩა ეწადა,  
 სად დაეცა ქალიშეილი?  
 ნასაყდრალთან დაეცა და  
 თოვლი უძეეს ბალიშივით,  
 ნეტა საით იპარება?

განამულა გასამკრად—  
 თვალზე ხელს არ იფარებდა,  
 ერთი სიტყვაც არ წამოსცდა.  
 ერთი ტრემლიც არ ციმციმებს,  
 მწუხრი გულს არ ეკარება...  
 გული მისრის მძიმე-მძიმედ —  
 თვითონ კი არ იპარება.  
 „ვაჲ, შენ ჩემო თვალისჩინო,  
 ცხრამთას იქთ გაფრენილო,  
 ქვეშ თოვლი მაქვს გაფენილი,  
 შენთან მინდა ჩავიძინო.  
 აღარ ვჩანდე, ამოვვარდე  
 მამიანად, დელიანად,  
 შენ კი იყო, თვალწინ იდგე“...  
 ვინ ბუტბუტებს სუვლიანად?  
 „შენ გნატრობდი, შეგხაროდი  
 ტყველგავარდნილ პატიზანელს,  
 მარწმუნებდი, ახლა როდის  
 ახდეს ჩწმენა და მიზანი“.  
 გული მისრის, მაგრამ საით,  
 ამ ქარბუში საით წავა —  
 წავა, მაგრამ ნატრიასვით  
 როდის მოვა თავისთავად?!

7

აფერ მძიმე ბარეიანი  
 ქარავანი ნადოჩების:  
 — აქეთ, აქეთ, კარგი არი  
 დასამალი ადგილები!  
 აქეთ, რომ ვერ დაგვინახონ  
 თავგასულმა ყაჩალებმა,  
 ამ ხევებში არებს ახსოვს  
 კაცის ხმა და ჭაჭანება!  
 — აქეთ! მაგრამ ავსულივით  
 წინ მიუძლივთ მერთალი კვალი.  
 ზოგგან თოვლითავსებული...  
 ვინ ყოფილ! კალი!  
 — აქეთ, აქეთ! ნასაყრალი!  
 ხედავთ ქვებს და დაბალ კედლებს!  
 ავაზავნი და მტარეალნი  
 იქ ვერაფეხს დაგვაკლებენ!...  
 ...ცხადია თუ ელანდებათ?  
 თოვლში როგორ მიაგენით?  
 რატომ დასთმეს „ბელადებმა“  
 თავის ციხე-სიმაგრენი!  
 ხელზე ჰქონდათ თითო სკიფი,

თითო თითბრის ჩაიდანი,  
 შეჰყინოდათ კბილზე კბილი —  
 ვერ გახსნიდი ბასრი დანით:  
 — აქ საიდან? რა უნდოდა?...  
 ქალიშვილს და საყდრის კედლებს  
 მიაფურითეს დაუნდობლად —  
 მამას ცეცხლი შეუკეთეს:  
 — აი წუხელ აქ ჩახოცეს  
 ბოლშევიკთა ერთი წყება!...  
 შენი შვილი საფლავს ჰკოცნის,  
 ერთგულებას ეფიცება!...  
 მამა დაპეტო, დედა დაპეტო,  
 არ გაივო მათი ხვეწნა, —  
 უმიზეზოდ და უსავნოდ  
 მტრის ბანაქში გადიხვეწა!!  
 — მესმის! ამან ამირია,  
 ამიწეწა თბილი ბინა!  
 ცოლიანი ნადირია,  
 გვარიც ამან შემირცხვინა.  
 მტერს რას ეტყვი, რას გაიგებს? —  
 როცა მამა დათმო შვილმა.  
 ეს რა არის! რანაირად  
 მიმქრალა და გათოშილა!  
 ...უკრს მიუგდებს — არ სცემს გული,  
 აღარც სუნთქვა! გარდაცვლილა!  
 თვალიც თოვლით აქვებია —  
 „მისი დაკვლა არ მხვდა წილად!  
 ნასაყრალთან რა უნდოდა,  
 რა უნდოდა საფლავებთან?“  
 წიხლი დასცა დაუნდობლად,  
 რალაც ცეცხლი აწამებდა.  
 „რა საზარი ფერი ადევს,  
 რა ჯანდაბა დამართვია!  
 შვილია თუ მტერი არი,  
 მამა ვარ თუ ჯალათი ვარ!  
 გამაშორეთ! მაგრამ საით...  
 დაგვათენდა ეს ტიალი!  
 მტერი მოდის წარლენასავით  
 და ნისლივით ხეტიალით.  
 მტერი მოდის, როგორც ზვავი...  
 ეს რა ისმის მაღლობიდან,  
 ეს რამ დამკრა ელვასავით,  
 ეს რა ზარი წამოვიდა?  
 განა ხმაა ზარბაზნების —  
 მათი მეხი და ზრალი?

ლანდი არის საზარელი,  
 დარისხული, პრაზიანი".  
 დილის ბინდში მოწანწალე  
 გაჰქიოდა გააუთრებით:  
 „მეუფეო, შემიწყალე,  
 შემიწყალე გეველრები" ...  
 აქ კი ვიღაც მწარედ ჩხავის  
 „დაანებე თავი დანას,  
 თორებ ის არსანახავი  
 აქეთ მოღის თანდითანა!"  
 — წამოვიდეს! არა, არა!  
 ღმერთო ჩემო, კიდევ ცოტა...  
 ყელს გამოვჭრი... ვერ დავთარავ  
 თითქოს ახლა შეძეცოდა...  
 დედმამასაც არ ინდობდი,  
 უგუნურო თეალმაყვალა,  
 ეპა, ვისი რაინდობით  
 იწვებოდი, აქა გყვანან...  
 რას მიცერით? ამ ნაგანით  
 დავხერეტავდი რომ მენახა...  
 ახლა რა ვქნა? ახლა ვვძი  
 საზიზღარი გვამი დამხედა!  
 ჩქარა, თორებ დაგვეწია  
 ჯამბაზების ზღვა ლაშქარი!  
 ჩქარა თავი დავალწიოთ —  
 დაგვილეწა მტერშა კარი...  
 ...მოგრევინავენ! არა, ზანტად  
 კი არ მოიზლაზნებიან.  
 ნისლია თუ ალაზანთან  
 გადმოსული რაზმებია?  
 მეხია თუ საიდანაც  
 ნისლი მოღის, ზარბაზანმა  
 მთადაბარი ჩაიტანა  
 ან წალეკა მიწა ზუაქმა.  
 ელვამ შუქი მოაფრქვია —  
 რას გაუძლებს თვალის ძალა.  
 ჩანელდა და ცოტა გვიან  
 საღლაც მეხი დაიკალა.  
 დილის ბინდში მოწანწალე.  
 არნახული ლანდი არი:  
 „შემიწყალე, შემიწყალე,  
 ღმერთო, გული დარღიანი" ...  
 აქეთ მოქრის დედაშენი,  
 ქარიც ვეღარ დასწევია —  
 „აბა სად ხარ, აბა, შეილო,  
 რა თავზარი დაგუმია!"

8

დილა მოდგა, თებერვალმა  
 შუბლი გახსნა ჯავრიანი.  
 მზე გამოჩნდა, ყველგან მრავლად  
 უთვალუვი ჯარი არი.  
 აი თუ რა გრიალებდა,  
 რა ელვდა ამ ღამითა,  
 თვალმაყვალა რომ უცემერდა  
 შავი თვალის ხამხამითა,  
 მამამისი რომ უსმენდა  
 გულში ციებცხელებითა —  
 ზარბაზნები მოაგორეს  
 უზარბაზარ ცხენებითა.  
 ვარსკელავებით მოიფინა  
 მოერები, უზოები,  
 აი თურმე სად ყოფილან  
 „დაკარგული“ მეზობლები.  
 გვაჰჭვებდონენ — გავთელენო,  
 ჩეენ კი გამოვვსარჩლებიან,  
 ეს აამდენი ყურისმედები  
 და პატრიონი გაუჭინია.  
 ალისფერი ალამი აქვთ  
 ამართული ზორბა ბიქებს —  
 აი ჩაგრულ ადამიანთ  
 შეება ამათ მოგვანიშეს!

\* \*

თითქოს ჰქონდეს თვალი, ნამდვილ  
 გუშაგივით უდგა ფანჯრებს —  
 ძეველი ნაძერი თოვლის ნაბლით  
 მყუდრეობას უდარაჯებს —  
 „ეს ბაღნარი ჩემი არი  
 სტუმრებს უნდა მოვევებოთ,  
 ის აღას ჩანს, ცრემლიანი,  
 სად წავიდა, მეგობრებოლ  
 შენ სად იყევ, შენ გელოდა,  
 შენ ეგონ დახვრეტილი,  
 უიქრითაც შენ გევლებოდა  
 გულმოკლული, დაღვრებილი.“  
 — აქეთ, აქეთ! ამ ნაძვებთან,  
 უეჭველად აქ იქნება!  
 ღამლამით ჩომ წითელ ძმებთან  
 ესწრებოდა ფაზულ კურებს...  
 საიდუმლოდ თავმოყრილებს  
 დასცემიან გუშინ მტრები,

ჩქარა, თორემ თვალმაყვალს  
დაღუპული ვეგონები!  
...კართან შესდგნენ. მინებს იქით  
მწუხრი იწვა წუხანდელი...  
შიგნით მწუხრი, სხეულში კი  
ჩადგა ცივი ურუაზტელი.  
„აღარ ჩანან. სად გამჭრალა

მეგობარი სანატრელი,  
ის პატარა თვალმაყვალა  
გულლია და გულნათელი“  
— აქეთ, აქეთ! სახლებია,  
იმ საბრალოს აქ უვლია,  
რა მდუმარე ნაძვებია,  
რა ნაბდები ახურიათ!...

## ლაპილ პირველი

სვანური ნოველა

მამა-შეილი — კვეტი და ციოყ რიჩვიანები ალიონზე გამოფილნენ ცხენებით მულახიდან.

ფერმერთალი ნისლი ისევ უძრავად იწვა ახლო-მახლო ხევებში და მდინარის — ეკალ-ბარდით დაფარული ნაპირების გაყოლებაზე.

ალაგ-ალაგ, სალი კლდეების ვიწრო დარჯააში მომწყვდებული მულხრას გაორკეცებული ხმაური და ალიაქოთი, თუმცა შიშნარევი ურუკოლის მომგვრელი, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ მოსასმენი, კარგა ხნით იმორჩილებს მგზავრის ყურადღებას; ძალაუნებურად უსმენ და უნებურად უკავშირებ ფიქრთა სრბოლის, მდინარის ტალღების იღუმალ ხმაურს.

მთის ბილიკი შესტიამდე პარალელურად შიჟყვება ჭყომოდ, კლდოვან ხეობაში მიმავალ მდინარეს.

ტურისტების ბაზის პირდაპირ — მესტიის პირველ ხიდთან მულხრა მარცხნივ უხვევს და დაბურულ ხეობაში განაგრძობს სვლას, ხმაური კი ერთხნის ისევ ალიზიანებს ხიდთან შეჩერებული მგზავრის დამორჩილებულ სმენას....

ხიდის ბოლოდან, რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე აღმართი იწყება. ალმართს საცალფეხო — მიხევულ მოხვეული ბილიკი ასდეგს, რომელიც ორ გორծებს აერთიანებს; მარცხნივ, პირველ გორუკზე უზარმაზარი, სამი მხრიდან გვირგვინმონგრეული კოშკი დგას. კოშკის კედლები ხაეს შეუფერადებია.

ალაგ-ალაგ ხაესი სიძველის გამო გაშავებულა.

ალაგ-ალაგ მუჭი, აგურისფერი გადაპერას.

ალაგ-ალაგ კი ნაზი, მომწვანო ფერი შერჩენია, რომლის ზედაპირი ხავრდის ბუსუსებით აბილია:

კედლების ნაპირები ქარსა და წვიმას დაულრღნია, გამოუფიტავს, მაგრამ სტიქიის და ასეული წლების ულმობელ კედებას ბევრი მაინც ვერაფერი დაუკლია მისთვის. ამათ აღამიანიც მიშველებია; ოდესღაც თავისი წინაპრების საამაყო და საიმედო — აწ უქმად მდგარი თავშესაფრის დაშლა უცდია. ორ-სამგან კოშკს მტკაველის სიღრმეზე უჩინს ლრუები კედელში. აფეთქება უცდიათ ქვის გამოსაყენებლად ახალი სახლის მშენებლობისათვის, მაგრამ იმ ლალუმის ძალაც უძლეური ზამომდგარა სუუკუნომით ერთმანეთშე მჭიდროდ დაკრული და დაღულებული ქვების დამაკავშირებელ ძალისთან.

მერე გორაკს — უფრო დაბალს და მეტ ფართობიანს ფიცრის მჭიდროდ შეკრული ლობე აქვს შემოვლებული; ლობის იქთ — გორაკის შუაგულში ქვითყირის ორსართულიანი შენობა დგას შელესილი და კირით შეფეთქილი, რომლის მთავარი, საქმაოდ მარტივი აგებულების ორსართულიან ქვითყირის შენობაში ტურისტების ბაზაა გამართული, სადაც გარდა იშვიათი სტუმრებისა, ღამეს ათვენ და ისვენებენ სვანეთის შორეული სოფლებიდან მესტიაში საქმეზე ჩამოსული ან გზადმიმავალი სვანები.

რიჩგვიანებიც აქეთ მოეშურებოდნენ.

აღმართის დასაწყისში უხენები შეაყენეს. შეისვეხეს. კვეტიმ ისევ ახედა ცას, მზე ჯერ კიდევ ვერ ამოსცილებოდა მოპირდაპირე მთაზე ურიცხვი ჯარის შუალებივით აწვდილი ნაძვის კენწეროებს.

მთაგრეხილის უსწორმასწორო პროფილის გასწვრივ გაფენილი — ლრუბლის ნაირ-ნაირი ფორმის ქულების ზემო ფენებში — ტყვიისფერს ნელ-ნელა ერეოდა ისტვერი; ისტვერის ალისფერი და მოყვითალო სცელიდა. მოყვითალო ფერი კაშკაშა გარაყიფით ევლო აღმოსავლეთის მხრიდან, ლრუბლის გაფანტული ქულების ნაპირებს.

ნატყვაირი ორბის ფრთასავით დაბლა დაშვებული და აბურდული წარბის ქვეშ დაიჩრდილულ ფოსში ელგარე თვალით ცოტა ხანს უმზირა კვეტიამ ნაძვის კენწეროებს და ლრუბლის ქულების ნაპირებზე ფერთა ცვალებადობას. მისი თვალიდან თითქო სიხარულის და კმაყოფილების იღუმალი სხივი გამოყრობდა. წამოსცლის წინ კომკაშირელი ვაჟის შიშით პირჯვარი რომ არ გამოსახავს, „ყოვლად ძლიერი“ შალიანის სახელი არ უხსენებია და მაინც მშვიდობით რომ დაასრულეს მგზავრობა;

— მარჯვედ მოდიოდნენ გზაში!... — შეაქო ცხენები ცალთვალა კვეტი რიჩგვიანმა, ქორისაგან შეშინებული ქათამივთ ირიბად გადახედა შვილს, გაუღიმა, — უნაგირიდან გადაიხარა, ციოყის ცხენს მოუალერსა; თითქო ამით მხედრის გულის მოგებას ლამობდა. არც თავისას აწყინია — ფაფარზე ჭადა-უსევ ხელი; გრძელ, შავ ფაფარზე, აბრეშუმის მოსასხამის გრძელი ფოჩივით რომ ბზინავდა...

— ნაწვიმაზ ბილიკზე სიარული ხომ უფრო სჭირს, მეგონა დროსაც ჩვეულებრივზე მეტს მოვანდომებდით? — შენიშნა ციოყმა.

— ნამეტანი აღრე მოგვივიდა ჩამოსცლა!...

— რა მოგვაშლიგინებდა?

— არ იცი? — გზას რომ აღგოხარ — ყოველთვის ჩქონდ; წუხელი მოსვენებით არც კი მიძინა, დაწოლისას გულში ჩამყვა და იღარ მომასეენა ალინამდე...

— მეც ასე მემართება!...

— შენი სხვა!... — მრავალმნიშვნელოვნად მიუგო კვეტიმ — შენ იმ ეშმაკებზე — გოგოები, რომ ჰქვა — იმათზე ფიქრი თუ არ მოგასვენებს; სხვა რა შეაშთოთებს ვაჟის გულს ძილში...

— რატომ, სხვაც ბევრია საფიქრალი!... — გაუბედავად უპასუხა ციოყმა. ეტყობოდა, კარგად მიუხვდა მამა. მამაშვილმა ლიმილით გადახედა ერთმანეთს.

ციოყმა ქვემოდ მოცდა ამჯობინა, გორაკის დასაწყისში; მამამ კი ორჯერ ჰაერში გაიქნია გრძელტარიანი მათრახი, ხმაღაბლა შესძახა ცხენს არ-

ლაც თავისებური; გამხნევებული ცხენი ფიცრის მჭიდროდ შეკრულ ღოპეს-  
თან შეაყენა, უზანგებს დაეყრდნო, აიწია. ცხენის მოუსევნრობის გამო ქანა-  
ობა რომ არ დატყო, მარჯვენა ხელი ღობის ფიცრის წამწვეტებულ თავს მოს-  
ჭიდა, ეზოში გადაიხედა. ციოყის თქმის არ იყოს, ადრე იყო. არავინ სჩანლა.  
უნაგირზე დაეშვა ნელნელა. ცოტახანს მოიცადა. გაღმა გაიხედა. მესტიის  
შოედანი, სახლები და კოშკები მოათვალიერა. არც იქ სჩანლა ვინმე. თვალიე-  
რებაში ისევე თავის საქმე მოაგონდა, გულმა ველარ გაუძლო; წამოიწია, უზან-  
გებს დაეყრდნო, ეზოში ერთხელ კიდევ გადაიხედა. ვერც ახლა მოჰკრა თვალი  
ვერავის. „დავიძახებო“ — გაიფიქრა. შეყოყმანდა. აღბათ ჯერ კიდევ ყველას  
ეძინა. დაღის ძილი კი თითონაც ხომ იყის როგორი ტებილია.

ხელი ჩაიქნია რიჩგვიანმა ცხენი მოაბრუნა და თავქვე. დაეშვა.

ციოყი უკამაყოფილოდ დაუხედა.

— არ ისვენებდი, შუალამეზე აპირებდი წამოსვლას!...

— რა ვქნათ შეილო, წლოვანებასთან ერთად მოუთმენლობაც იზრდება  
აღამიანში...!

მამის მორჩილმა პასუხმა შეილსაც მოულბო გული. აღარაფერი უთქვაშს.

კვეტიმ ცოტახნის მერე მეავე წყალი ვაიხსენა.

ხიდთან ბილიკი ეშვებოდა ქვემოდ. ბილიკი წყარომდე და წყაროსთვის  
იყო გაკვლეული.

მეავე წყალი კლდის ნაპრალზე მიღგმულ ზის მოგრძო ლარზე მორაკრაკებ-  
და; ლარის გული უანგისფრად შეელება მეავე წყალს. აგრეთვე მთელი კალა-  
პოტი, რომელშიაც მოედინებოდა. ქვებიც, მიწაც, რომლებსაც ეხებოდა უნ-  
გისფრად გამოიყურებოდა.

მამაშეილმა ცხენები კლდეზე ამოსულ, ფესვებგაშიშვლებულ ხეზე. მიაბა,  
შემდეგ რიგრიგობით მეავე წყალს დაეწაფენ.

უზმოზე უგემური ეჩვენათ. სახელოთი ტუჩები შეიმშრალეს; ირგვლივ მი-  
მოიხედეს, კლდიდან ჩამოშვებულ ქვების გროვაზე დასხდნენ.

კვეტიმ უმაღლე — ქამარში გარკობილი ქისა მოიმარჯვა, თავი მოუხსნა  
და შინაური — უსწორმასწორობ დაჭრილი თუთუნით, რომელსაც მწვანე ფე-  
რი შეჩრენდა აქამდე — ყალიონია ამოავს; მერე ციოყისაც გაუწოდა თუთუ-  
ნი. ფაქტა ქისაში ორი თოთი ჩაქყო, თუთუნი ამოიღო, მაგრამ წუთიერი ყოფ-  
იანის შემდეგ ისეც უკანვე ჩაქყარა. ჯიბეში ქალალდი არ ეგულებოდა მის გა-  
სახვევად.

კვეტი მოუხვდა.

— ქალალდი გინდა?.. მთელი გაზეთი წამოვიდე! — გულის ჯიბიდან  
ამოაძრინა მოკეცილი გაზეთი, შეილს გაუწოდა. ციოყმა კი — დახედა თუ არა  
გაზეთს — ფერი ეცვალა, წამოდგა, გაზეთი ხელიდან გამოსტაცა მამას, თი-  
ოონ შეინახა გულისჯიბეში, შემდეგ ქამარი და ახალოხი შეისწორა....

კვეტი გააოცა შეილის საქციელმა. ცალი თვალით ირიბად აპხედა.

რამ აგაუხაკურა ბიჭი?.. — ისეთი რა მოგეჩქვენა!...

— აღამიანო, ეს გაზეთი თავს მირჩევნია! — მაინც სად, როგორ მიაგნებს  
ნოლმე შენახულს და გადამალულს!.. — წაიბუტებუტა თავისთვის.

მამამ თავი გაიქნია მხოლოდ; ისე დაიბა, ყალიონის მოწევაც მიავიწყდა.  
ფიქრს გადაჟყვა მოხუცი... ეს გაზეთი თავს მირჩევნია, დიდი საქვეყნო ამბა-  
ვი თუ სწერის იქ... მამა ხომ მამაა, მაგრამ შეილის გულის მესადუმლე ალ-

ბათ არასოდეს არ ყოფილა ბოლომდე. ამ ასკეში მაინც — ვაუს გული მარტო საიდუმლოებით აქვს სავსე... ტყეში — წაქცეული ხის გამოტანა რომ გაიფიქ-როს, იმასაც საიდუმლოდ ინახავს.

სახისმიუბრუნებლად ქურდულად გახედავდა ხშირ-ხშირად ცალთვალა კვეტი.... მისი თვალების, მისი სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა. საიდუმ-ლო იქნებ სიყვარულია მარტო... მაგრამ არ შუაშია გაზეთა?!...

ამ ფიქრებში თავისი ჭაბუკური გულისძერის წუთებიც მოაგონდა კვე-ტის: მეც ხომ ვმალავდი, მაგრამ მაშინ სხვა იყო, ეს ამბავი აკვინშივე სწყლე-ბოდა ქალისთვისაც და ვაჟისთვისაც. ახლა კი თავისუფალი არჩევანია: თუნდა იმერეთიდან მოიყვანენ ქალს. სვანეთს ამით ვეღარავინ გააკვირვებს.

ციოუმა გააწყვეტინა აკვიატებული ფიქრები.

— აღარ მოაწია დრომში?

— ...ახლა მგონი დავიგვიანეთ კიდეც!...

ორივენი ერთად წამოდგნენ

ციოუმა ცხენები ახსნა. მოშავოს აღვირი მიუბრუნებლად მამას გაუწოდა. მამა მდინარისაკენ იყურებოდა.

გაღმა, მდინარის მყუდრო უბეში, სადაც წყალი კლდის ოჩიბად დაშე-ბულ ქანთან შეჯახების შემდეგ დონჯად შედიოდა და ოღნავ შესამჩნევი ტრიალის შემდეგ მეორე მხრიდან ისევ ქაფორიეულ ნაკადს უერთდებოდა, რა-ლაც უცნაური მოეჩვენა კვეტის. ბოლოხანებში, რაც მხედველობა შეუსუსტდა ხშირად ეჩვენებოდა რაიმე არ ასებული უცნაურობა; ახლაც ასე დაემართა.

დიდხანს არ უშერია. ოხჯერ აჩქარებით გააფურთხა დიდი ცრუმორწმუ-ნესავით — წაიბურტუტა რაღაც თავისთვის და მოტრიალდა. შეილის გამოწ-ვდილი ხელი რომ შენიშნა — აჩქარებით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი — აღვი-რი ჩამოართვა და პირველი აპუვა ბილიკს ფეხდათეს. ბაზამდე არც კი ღირდა ცხენზე შეჯდომა.

ბაზის ყარაული ძახილის გაგონებისთანავე გამოემართა ქარების გასაღ-მად. მამაშვილი უმალვე იუნო. გაეხარდა. ქულის მოხდით მიესალმა. ძველი ნაცნობები იყვნენ.

მამაშვილს ეზოში წინ გაუძლვა. ამბები გამოჰკითხა, სახლის წინ ბაღ-ჩაში გამართული გრძელი ხის სკამი გადასწინდა. სოხოვა დამსხდარიყვნენ ნამგზავრნი.

კვეტიმ მეორე სართულისაკენ ანიშნა თვალით — დირექტორმა თუ გაი-ღიოდა...

— დირექტორი ჩვენზე აღრე დგება ხოლმე... დაჩვეულია.

— კაი ჩვეულება! — შენიშნა კვეტიმ.

პერანგის ამარა დირექტორი პატარა ბიჭუნათი ხელში დილაადრიან გადმოეყუდებოდა ხოლმე მეორე სართულიდან ხის პატარა აიგანზე.

ბავშვის ბრალი იყო.

ძალიან აღრე იღვიძებდა იყო; და რაეი გაიღვიძებდა, მოსვენებას აღარ იძლეოდა. ხელებს იქნევდა, უაზროდ გაპყვიროდა დაუსრულებლად.

ხმა საქმარე ბოხი პქნდა — ალბათ თავისავე ხმით იყო მოხიბლუკი.

მამა იძულებული იყო ბავშვი გაღვიძებისთანავე გაეყვანა ოთახიდან, რათა დედამისს მაინც — ახალ ნაავაღმყოფას მშვიდობიანად განეგრძო ძილი.

ახლაც დილაადრიან ბიჭუნამ სიხარულით შეჰყვირა, რაწამს აიგნიდან ცხენები შენიშნა... .

დილის სუსხისაგან მოწითალო — იისფრად აფორეჯებული ხელები სიხარულით შეათაბაშა, მთელი ტანით აცმუტდა...

— ძიებს მოუყვანიათ? — შენიშნა დირექტორმა.

ბავშვის მოუსვენარმა შეძახილებმა, დაჩაჯთან საუბაზში გართული სვანების უურადლებაც მიიქცია. რიჩვიანებმა მაღლა აიხდეს. დირექტორმა მოასწრო მისალმება. რიჩვიანები უმალვე წამოცვიდნენ ზეზე. ქულმოხდილნი შეიძრულად მიესალმენ.

— გუშინ გელოდით, ხალხო, რა იქნით!...

— დიალ, მართალია, გუშინ უნდა ჩამოესულიყავით, მაგრამ ოჯახურმა საქმეებმა დაგვამჩკოლა...

— მაინც რა იყო ისეთი!..

— ვინ მოთელის!...

თავის გასამართლებლად სხვა ვერაფერი მიუგეს. რამდენჯერმე გაიხედეს აივნისკენ. საიდანაც დირექტორი ელაპარაკებოდა, მაგრამ უმალვე დახარეს თავები მორჩილად...

დირექტორს უურადლება არ მოუქცევია მათი უხერხულობისათვის, ბავშვი არ უსვენებდა... მის შექცევას და დაშოშმინებას უნდებოდა კაცი.

— ცხენები თქვენია?...

— ჩვენი გახლავთ! — კვეტიმ ოქროსფერი სირმით მოკაზმული შავი, სვანური ქუდი ამაყად თავზე დაიხურა და გაბედულად გაუსწორა ცალი თვალი დირექტორს. ბავშვს ხუმრობით მარხახის ტარი უჩვენა — დაემუქრა — ნუ ეშმაკობო. კვეტის წვრილი ლიანაცრისფერი თვალიდან მიუხედავად საპატიო ასაკისა ჯერ კიდევ გამოკრთოდა შეუბოვარი ძალისა და სვანური სისასტიკის იერი. მისი ახოვანბა, რაინდული აღნაგობა კიდევ უფრო აძლიერებდა ამ შთაბეჭდილებას...

— ერთობ კაი ცხენები გულით — როდის შეიძინეთ?!...

— გასული წლის შემოღომაზე, ბალყარეთში გადავედით საგანგებოდ...

— უცხენოდ ძნელია. სვანი ვერ გაძლებს ისე... ბილიკებისთვისაც მისწრებაა... საღაც კაცი ვერ გაივლის აღვილად, იქ ამათ უნდა უტიო, კუდში ხელი ჩავლო და მიჰყვე...

— რომელი ბილიკებისთვის?! — გაიკვირვა დირექტორმა. — ავტოების და აეროპლანების გამოჩენის შემდეგ სვანისთვის ბილიკები რაღა სახსენებელია...

ყველამ უნებურად გაიხედა სამხრეთისაკენ. საავტომობილო გზას ლენჯერის პირველ მოსახლემდე ძლიერ სწოდებოდა თვალი, მერე იგი ლატალისაკენ უხვევდა, გორაკები ეფარებოდა...

— მე თითონ ემუშაობდი!

— ერთად ვიყვაით. ჯერ ხაიშში, მერე ბერის გადასასვლელზე. ვთხრიდით, ვასწორებოდით მიწას. ხან ვაფეოქებდით. სახალისო იყო, თუმცა ზოგჯერ ერთობ ძნელი და სახიტათოც კი...

— მერე?

— გზა მესტიამდე მივიყვანეთ და ჩვენც მშეოდობით დაგმრუნდით!...

— მერე?..

— მესტიამდე კი არა — მულახის პირველ სოფლამდე! — გაუსწორა ცი-  
ოყმა.

— მერე, მერე?!

— მაგრამ მოგეხსენებათ, სეანეთი იქითაც გრძელდება. მულახის შემდეგ  
კიდევ ბევრია საზოგადოებები: იფარ, კალა, უშგულ...

— იქითაა რაცაა! — კვლავ ჩერია ცოკი...

— მერე?... იქითაც იქნება! — მოუჭრა სიტყვა ღირექტორმა.

დირექტორის პატარა კაბინეტში არაფერი არ იქცევდა ყურადღებას გარ-  
და სტალინის სურათისა.

რიჩვიანები შემოსვლისთანავე დიდ — შუშიან ჩარჩოში ჩასმული — კე-  
დელზე ჩამოყიდვებული სურათის პირდაპირ დასხლნებ და სულგანაბული შეს-  
ცემოდნენ ბელადის მოლიმარ სახეს...

დიდხანს უყურეს.

მერე კი, ვინაიდან დირექტორი, რომელიდაც საჭირო ქალალდის ძებნაში  
გართული საუბრის დაწყებას აგვანდება, ციონიმა ფანჯარისკენ ფრთხილად  
გასწია სკამი; რათაზე იდაყვი ჩამოსირ — გარეთ გახედა. შემდეგ ახლად  
ნაყიდი ნაჯახის ბასრაპირს ფხა გაუსინჯა, მშეიდად აყოლა და ჩააყოლა ცერი.   
თითის გამკვრიცხებული, ალაგალაგ დამსკდარი კანი ონავაც ვერ გრძენობდა  
ნაჯახის პირის სიბარეს; მხოლოდ ესიამოვნებოდა როგორლაც — ოდნავ —  
ბასრი პირის კანზე შეხება, თითქმ მოუთმენელ ქავილს იცხრობდა... ბოლო  
ალარ უჩანდა ამიტომაც თითის მოძრაობას ნაჯახის პირზე...

დირექტორს კი, მიუხედავად მედიდური შეხედულებისა, სუსტი ნერვები  
ჰქონდა უთუოდ; საჭირო ქალალდის ძებნაში გართული — ცალ თვალს მალუ-  
ლად — ნაჯახის ბასრ პირზე ციონის ცერის მოძრაობას აყოლებდა, ტანში  
აერეოლებდა ამ სანახაობის ხილვა, ცერზე სისხლის წვეთის გამოჩენის მოლო-  
დინში ვეღარც ქალალდისთვის. მიეგნო, ვეღარც სიტყვის დაწყება მოეხერხე-  
ბია; თუმცა კარგა ხანია მოიტიქირა — რა ეთქვა და როგორ დაწყო მამაშვილ-  
თან საუბრი იმ საქმეზე, რისთვისაც დაიბარა...

თავისთვის კი უქმაყოფილოდ იმეორებდა გულში: „ვეღარ გაათავა ამ  
დალოუცილმა ფხის სინჯვა“ — თ. თქმით კი ვერ ეთქვა. უხერხელი იყო: ამოდენა  
კაცი, ბავშვივით მშიშარა და ნერვიული!... გაეცნებოდათ რიჩვიანებს.

ვერათერი იხსნიდა, გუშინ აღმასკომიდან, ციონზე გადასაცემი წე-  
რილი რომ არ მოგონებოდა და ამით ვაჟის ყურადღება არ მიექცია...

— წერილი აქ მიღები! — გულისჯიბეზე დაიდო ხელი დირექტორმა —  
დიდი მოხარული ვარ, მაგრამ... ჯერ ჩვენ საქმეზე მოვილაპარაკოთ, თუ ვერ  
მოვრიგდებით შეიძლება ვერც წერილი მიიღო!..

— ალბათ მოვრიგდებით!... შენიშნა კვეტიმ და ვაჟს გაულიმა...

— ციონ! — დირექტორმა მის ხელს თავისი თეორი, მოლურჯო ძარღვებ-  
ამობურთული ხელი დაადო, — ხილები უნდა შევაკეთოთ; განსაკუთრებით —  
სადაც ტურისტები ეტანებიან. ეს სამუშაოები ჩვენს გეგმაში შედის და უნდა  
მოვაგვაროთ კიდევაც. სახელდახელოდ, გამოცდილი და სანდო თქვენს მეტა  
ვერავინ მოვიგონე — ამიტომ შევაწუხეთ. საცაა ტურისტები მოვაწყდებიან...  
ბევრი ღრმა ამაზ დარჩა...

— ზაფხული იწყება, დროულია! — დაემოწმა კვეტი.

— ერთი თვე მაინც გვაქვს... სეზონი უფრო აღრე არ დაიწყება!..  
— ვინ იცის თუ კარგი ამინდები იქნება — ხვალაც შეიძლება გვიწვიოს  
ერთი-ორი...

მამაშვილმა წუთიერი ყოყმანის შემდევ თანხმობა განაცხადა.

— სამუშაოს ავილებთ, ცხადია — მხოლოდ!...

— გასაგებია, პირობები გაინტერესებთ!...

— პირობები!... მამაშვილმა ერთმანეთს გადახედა, სხვა კიდევ ხომ არა  
ფერია...

— პირობები და პირობები! დინჯად წარმოსთქვა დირექტორმა. ჩვენ  
წორის პირდაპირი მორიგების საქმეს ერთი გარემოება აბრკოლებს: შარშან  
ბეჭის მიღამოებში ხიდების შეკეთება და საერთოდ მათი მოწესრიგება თამში  
ხერგიანს ჰქონდა დავალებული. ხელშეკრულებაც არსებობს ამ საქმეზე, წელან  
ცეკებდი. — დირექტორმა ისევ აურია ხელი ქალალდების ხვავში, მაგრამ მალე  
მიანება თავი და სუუბარი განაცრო:

— ფულის ნაწილიც მიღებული აქვს, შესრულებით კი არაფერი შეუსრულებია... ბეჭის, პირველ ხიდთან ფიჭვის რაზდენიმე მორის ჩამოზიდვა ხომ საჭ-  
მის გაკეთება არაა, თვალის ახვევაა მარტო. ტყუილად არ ყოფილა გვარად:  
ჭერიანი... შეიძლება პასუხიც აეოს...

ამ ლონისძიების სამართლიანობასა და განხორციელების აუცილებლობაში  
მაშაშვილიც დაეთანხმა დირექტორს.

— თუ ის ამ საქმის გაგრძელებას ითავებს, მე მგონია შეუამხანაგდებით  
და ერთად შესრულებთ, უფრო მაღეც იქნება, ძალა ერთობაშია!..

— ... მაგრამ საქმე ისაა: — როგორი ძალები იყრიან თავს!

— ესეც მართალია ჩემო კვეტი! — მაინც რას გულისხმობ ნათქვამში!..

ვაუს უნდოდა ეპასუხნა, ისევ მამამ დაასწრო:

— არ მოხერხდება, რაჯი მაგ საქმეში თამბი ურევია...

— ?...

— თამბი თუმცა ჩვენი შორეული ნათესავია და ახლო მეზობელი, მაგ-  
რამ ცოტა უკმაყოფილება გვაქვს ერთმანეთში.

— გვემუქრება: — ისე მოგიწყობთ საქმეს, ვერსად სამუშაო ვერ იშვე-  
ნოთ.

— მართალია? — მიუბრუნდა დირექტორი ციოყს.

— სულ არა, მაგრამ ნაწილობრივ მართალია...

— ბოროტი კაცი ყოფილა. ყველას მომღურება არ ვარგა!

— ზოგის არც მაგის ეშინია...

— სამუშაოს შოვნაზე ნუ იღარდებთ — მიუბრუნდა დირექტორი მამა-

უშილს. — ვისაც სურვილი აქვს მუშაობის და შესრულებაც შეუძლია — რა  
უშაგი!..

რიგვიანებმა კმაყოფილებით გაიღიმეს.

დირექტორი სწორედ მომზადებულ ქალალდის სუფთა ფურცელს და-  
ცეკროდა. ერთხელ კიდევ გადასინჯა გონებაში: ნათქვამი და მოსმენილი.  
წერას შეუდგა...

— წერილს გავატანთ ხერგიანთან; ჩემს გადაწყვეტილებას შევატყო-  
ზინებ.

— პირადად გამოიძახეთ, წერილი ვინ იცის — გასჭრის?

— რითიმე ხომ უნდა შევატყონო, რომ ჩამოვიდეს... სწორედ ამიტომ.  
გატანთ!...

კვეტიმ პირდაპირ მოუჭრა.

— შეიძლება წერილიც ვერ მივუტანოთ...

— მულახში ხომ ბრუნდებით?...

— ებრუნდებით, მაგრამ მაინც... მოგახსენოთ: უქმაყოფილება გვაქვს  
მასთან: კაცი რომ დაგემუქრება და გაგლანდავს, უხერხულია მერე მასთან  
ახლოს გავლაც კა არა თუ დალაპარაკება და...

— მაშ რა ვენათ!

კვეტიმ მხრები ასწია მხოლოდ.

— ამ საქმის საჩქაროდ გამორკვევაში და მოგვარებაში თქვენ ჩემზე ნაკ-  
ლებად არ უნდა იყოთ დაინტერესებული. რა დიდი ამბავია წერილის გადა-  
ცემა!...

კვეტის თითქო თავისმართლება უნდოდა რითიმე — ირიბად აპხედა ტი-  
რექტორს...

ციოყმა აცალა მამას. იქნებ მის ჩაურევლად მოგვარებულიყო საქმე...  
მაგრამ შეატყო თუ არა მამა ცავ უარზე იღვა, თითონ იკისრა. წერილის  
გადაცემა...

— თუ მარტო წერილის გადაცემა მოაგვარებს საქმეს, მომეცით...

დირექტორმა ბარათი კონვერტში ჩასდო. წებოიან ნაპირებს კონვერტისაშ-  
ენა გაუსვა — დახურა და ციოყს გადასცა.

— საქმის მოგვარიბისთანავე შეგატყობინებოთ და... მუშაობას შეუდგე-  
ბით. ფასზედაც მაშინ მოვილაპარაკებთ!...

ციოყმა უბეში შეინახა კონვერტი, მაგრამ ცოტაზნის შემდეგ ისევ ამოილო  
და კვეტის ჩააბარა...

— მერე მომეცი...

გამოსამშვიდობებლად გაწვდილი ხელი კვეტის ჰაერში შერჩა.

— დღეს ბერძოში უნდა ავიდე — მოაგონდა დირექტორი — თავშესაფარის  
დავხედავ. იქაც მყავს მუშები დაყენებული.

ცხენს ხომ მომაქრავებთ!...

— რომელსაც ამოიჩევთ!..

— რომელი სჯობია სამგზავროდ! — წამოდგა დირექტორი — ფანჯრი-  
დან გახედა ცხენს.

— ორივე კარგა! — დინჯად შენიშნა კვეტიმ...

— წითელფაფარიანი მგონი უკეთესია!

მამაც დაეთანხმა შვილს, რომ წითელფაფარიანი სჯობდა მის შავ-  
ფაფარიანს.

— წითელფაფარიანი იყოს... რა ელირება ბერძოდე?!

— პირველად არ ქირაობთ, თითონ უკეთ იცით!...

— ვიცი, მაგის მეტს რას ვაკეთებ, მაგრამ ყველა ცხენი და ყველა ცხე-  
ნის პატრონი ხომ ერთნაირი არა, თავისი საქონლის ფასი პატრონმა უფრო  
უნდა იცოდეს!...

ციოყი ყოყმანით გაამხელს:

— თქვენთვის ხუთმეტ მანეთად ელირება!...

— არ გცოდნია, ოცი იყოს. ერთ საათში წავალ...

— მეც რომ გამოგყვეთ?!.

— კვიცი ხომ არა ხარ — დირექტორთან ერთად მამაშვილმაც გაიცინა.  
— შეიძლება!

ციოყის ტუჩები უცნაურად გაიჭიმა სიხარულისაგან. წერილის გადაცემა  
რომ დაუკიტყდა დირექტორის — იმის მიღებაც უნდოდა... ხერგიანთან მისატა-  
ნის კი არა — თავისი წერილის...

ციოყის გასაცარი სმენა ჰქონდა. ახლაც მან პირველმა მოჰკრა ყური  
შორეულ ზუზუნს. როცა ხმა გაძლიერდა, მაშინ დანარჩენებმაც მიაქციეს  
ყურადღება; თეთნულდის მხარეს იწყეს მზერა.

თუმცა ჯერ არსად სხანდა, მაგრამ ყველამ უკვე იცოდა, აეროპლანი  
იყო.

დიდი ხანი არ გასულა, რაც ამ ფოლადის არწივმა მესტიაში ბუდე  
გაიკეთა.

ახლა სამი დღეა, აღარ მოფრენილა. ქუთაისში წასასვლელად მომზადე-  
ბული მგზავრები მოგროვდნენ. რიგი გაიმართა.

უამინდობამ, უღელტეხილზე კრუხივით მოყალათებულმა ლრუბელმა  
დააბრკოლა; მაგრამ როგორც კი ლრუბელი შეთხელდა, მისმა, სიხარულის  
მომგერებმა ზუზუნმა ისევ გამოაფხიზლა მესტიის ცის თალი, მთა, ბარი და  
მოსახლეობა.

თეთნულდს შორიახლოს ჩაუქროლა თამამად, რამდენჯერმე წრიულად  
შემოუარა მესტიას, შემდეგ ზუზუნს უკლო და აეროდრომზე დაეშვა მსუ-  
ბუქად.

ციოყიმა, მასთან და დირექტორთან ერთად — ფანჯრიდან რომ ადევნებდა  
თვალს აეროპლანის მოფრენას — ხმადაბლა წარმოსთქვა:

— მოფრინდა, მოფრინდა!...

მამამ შეხედა ციოყის, გაუღიძა.

— შენსავით მგონი წასასვლელად მომზადებულ მგზავრებსაც არ გახარე-  
ბიათ მისი მოფრენა!...

— მიყვარს და იმიტომ! — შენიშნა ციოყიმა.

არ გასულა დიდიხანი აეროპლანის მოფრენიდან, რომ ციოყის ყურადღება  
ხელმეორედ ნაცნობი სახელის შორეულმა ძახილმა მიიქცა.

აეროდრომიდან ტურბაზისაკენ ვიღაც ცისფერახალოხიანი ვაჟი ველური-  
თავგამეტებით მოჩბოდა.

როცა იგი მესტიის მოედანზე სასტუმროს გაუსწორდა და მის აიგანზე  
გადმოყუდებული ხალხი შენიშნა, რაც ძალა და ლონე ჰქონდა, სამჯერ  
შესძახა:

— ლაპილ...

— ლაპილ...

— ლაპილ!...

დაწესებულებების და ქუჩის გასწვრივ ორივე მხარეს მდებარე სახლების  
ლია ფანჯრებში უმალვე გამოჩნდენ ცნობის მოყვარენი.

ცისფერ ახალოხიანმა ვაჟმა მესტია-ჭალას ხიდზე გაიჩინა, ბაზისაგენ  
მიმავალ გზას გავყვა გორჩაზე, ფიტრის ლობესთან — მთავარ შესასვლელში  
ერთხელ კიდევ შესძახა:

— ლაპილ...

და ქანცუამოლეულმა სირბილი ჩქარ ნაბიჯზე შესცვალა. ბაზის შენობის წინ ხის გრძელ სკმზე დაეშვა ულონოდ.

ცისფერი ახალობიან ვაჟს დილით ბაზისაკენ მომავალი ენახა ციოყი მამას-თან ერთად და ამიტომ გამოემართა თვითონაც აქეთკენ, რომ ციოყისთვის პირადად ეხარებინა ახალი ამბავი.

ციოყი ლაპილის გაგონებაზე შექრთა, მაგრამ ას შეიმჩნია იმდენად. მას-თან ერთად კაბინეთში მამა და დირექტორი იმყოფებოდნენ...

„ლაპილის“ პირველივე გაგონებისთანვე ფანჯარაში გადაეყუდა და ყური მიუგდო.

მთხრობელის სიტყვები: „ლაპილი მოფრინდა“ — გაიგონა თუ არა, კარე-ბისაკენ გაექანა.

მამის ძახილი:

— სა მიხვალ ბიჭო! — კიბეებზე დაეწია, მაგრამ არ უპასუხნია; კიბეებზე აჩქარებით დაეშვა ციოყი. გარეთ — სახლის კუთხეში მიბმული, თავისი წი-თელფაფარიანი ცხენი ახსნა ისე, რომ არც მთხრობელს და არც მის გარშემო შემოკრებილ ცნობისმოყვარეთ ას შეუნიშნავს — მსუბუქად მოახტა. უკანა ეზოდან ბოსტანში გადაეშვა. ბოსტრით მულახის შარი გზაზე გავიდა და ორ-ჯერ უჭირა ცხენს მათრახი. მესამედ კი მუქარით აქნია ჰაერში...

...მიკეროდა ციოყი ცხენით მულახისაკენ, ფიჭებით — წარსულისაკენ...

ლაპილი ავანშივე იყო დანიშნული მეზობელ ჩართოლანის ვაჟზე; მა-გრამ უბედურმა შემთხვევამ უდიროდ მოუღო ბოლო ამ ნიშნობას. ჩართოლა-ნის ვაჟი უცაბედად კლდეზე გადავარდა, როცა მამას სათიბში ახლდა და ეხ-მაჩებოდა.

დედმამა ჯერ ვაჟის გასვენებას, შემდეგ კი მასზე ფიჭეს გადაჰყვა და ლაპილიც ნელნელა მიიღიწყა.

ლაპილის მშობლებსაც იმ ზომამდე დაუბნია გონება ამ შემთხვევაში, რომ ღიღხანს უბედური გოგონას ხელმეორედ დანიშვნაზე და გათხოვებაზე აღარ უფრისიათ.

როცა ლაპილმა მესტიის შვიდწლედი დაასრულა და მშობლები შვილე-ბის განათლებით დაინტერესებული მეზობლების მაგალითთ გამხნევებულნი ლაპილს ჭუთაისში უპირებდნენ გავზავნას — სწავლის გასაგრძელებლად, გო-გონას მეორედ ეწვია უბედურება...

ლაპილი და ციოყი სკოლაში შეხვდნენ და სკოლაში დაუახლოფდნენ ერ-თმანეთს. მათი დაახლოვება გვიან მოხდა, უკანასკნელ — მუშვიდე ჯგუფში ყოფნის დროს.

ეს მოკლე ხანიც საქმიანის აღმოჩნდა, რათა თავთავიანთი გულის საი-დუმლოსათვის მიეხვერდებინათ ერთმანეთი და მერე დროებით მეგობრობის პირობაც დაედოთ, მაგრამ მორიგმა უბედურმა შემთხვევამ დროებით აქ შეს-წყვირტა მეორებებ ქალვაკის ურთიერთობა.

მესტია ზეიმობდა; მესტია კი არა — მთელი სვანეთი, რაღაც სწორეთ მეს-ტიაში იყო თავმოყრილი უმრავი ხალხი ზემოსვანეთის ყველა კუთხიდან — ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული.

მესტიაში — იერობლანის მოფრენის წლისთავს განსაკუთრებული სიხა-რულით აღნიშნავდა და ეგებებოდა: დიდიც, პატარაც.

აეროდრომის ცენტრში მთვლემარე ფოლადის არწივის გარშემო თავ-  
მოყრილ ხალხში წამდაუწუმ გაისმოდა მხიარული შეძახილები...

კველა საზეიმოდ იყო მორთული.

მამაკაცებიდან — ზოგს ნადირობის გატაცებით მოყვარულს და უნაკლო  
მსროლელს, თოთქი წამოერო.

დღესასწაულზე იქნება სროლაში შეჯიბრება გაიმართოს და.. ხალხში თა-  
ვის გამოჩენა მაინც სხვაა... .

გამარჯვება თითქო უფრო გშვენის...

მურზაყან პირველიც, ბალყარეთიდან ახლად დაბრუნებული ჭიმს არ  
დაჰქლებია. თან ერთად-ერთი ქალიშვილი და მემკეიდრე ლაპილიც წამოიყვა-  
ნა: „უკვე დაქალებულია, ხალხში გავლა და თვალისათვის წყალის დალევინე-  
ბა არ აწყენს“ — ფიქრობდა თავისთვის.

ტანადი, შესახედავად მიმზიდველი გოგონა მარტო იმით იწვევდა მშობ-  
ელში უქმაყოფილებას, რომ მის გვერდით ერთ წუთსაც არ ჩერდებოდა.  
გარბი-გამორბოდა, ნაცნობებს ეძებდა, მხიარულობდა, ცელქობდა ტოლებში...  
თითქო ტყვეობიდან დაეხსნა თავი და კველაფერი უკვირდა, კველას შეჭხა-  
როდა...

მამას კი სურდა გვერდით პყოლოდა. ხალხის ყურადღება მიეკუთა. ეა-  
მაყა: — ასეთი ქალი მყავს გასათხოვარიო; მაგრამ ამაოდ. ვერ უხვდებოდა  
გულის ნადებს ლაპილი, მწყრალად მზირალ მურზაყანს.

როცა სახლში დაბრუნების დრომ მოაღწია — ამის შესახებ კი დროზე  
უნდა ეფიქრა მურზაყანს, რადგან მესტიაში ლამის გათევას არ აპირებდა, —  
გან ერთხელ კიდევ ჩამოუარა აეროდრომზე ჯგუფავად შეკრებილ, აყა-  
ყანებულ ხალხს.

კერძად მოჰქრა თვალი ლაპილს. „რა ალქაჯი მყოლიაო — ფიქრობდა და  
ამ ფიქრებში ივიწყებდა კველაფერი...“

როცა აყანებულ ხალხში ყოფნა მოსწყინდა: — ცხნის მაინც დავხე-  
დავო — გაიფიქრა. აეროდრომის ლობისაკენ გაიხედა. მისი ცხენი ლობისგარეთ  
ება. აქედან არა სჩანდა, მგზავრების მოსაცდელი — ერთსაჩთულიანი ხის პა-  
ტარა შენობა ეფარებოდა იმ ადგილს... მურზაყანი ნელი ნაბიჯით გაემართა.  
ლობესთან მიახლოებულს თავისი სახელი შემოესმა.. ვიღაცამ დამცინავ კა-  
ლოზე წამოიძახა ხმამაღლა: „მურზა-ყანი...“

მურზაყანი კედლის კუთხემდე მივიღა. სახლის უკან, ჩრდილში მჯდარი  
სამი კაცი ბაასობდა გულაბიდილად...

— ჩამოედოა — თქვეს, მაგრამ, არ მინახავს დღეს!...

— ხომ გითხარი შეშინებას...

— უფიქრია — ჩემს მეტი მამაკაცი გვარში აღარ მყავსო. რომ შევაკვდე  
უკაბედად — სისხლის ამღები აღარავინ დაჩიჩებაო და... შერიგება ამჯობინა  
იმიტომაც...

— ასე იქნებოდა! — სთქვა ბოლოს შავქუდიანმა შეახნის სვანემა. ერთი  
სიტყვით ძალის ტყავის ფასად შემჩრა პირველის მოკვლა; თუმცა  
კაცმა რომ სთქვას არ ეკუთვნოდა ასეთი სასჯელი... მთვრალი იყო, რა გაეგე-  
ბოდა — მაინც რაღა მაშინ პერა ხელი მამაჩმის...

— შენც დალეული იყავო...

— ძალიან... იმან მიშვევლა...

ამ სიტყვებმა სული და ხორცი შეუშფოთა მურზაყან პირველს. ყინულზე ფეხშიშველა გავლილსაკით შეაქრიყოლა და შეაწრიალა. წამით ისიც მოეჩვენა — თითქო შეილის საფლავზე იდგა — მოსისხლის სიტყვები — შეილს — სოთრანსაც ჩაესმა: შეიძრა სოთრანი, ამოიგმინა სიმწარისაგან, წამოდგომა სცადა, მაგრამ უმწეო ტერარს გახრწნილი კიდურები უმალვე დააწყდა, გულმკერდი ჩაექცა და... მურზაყანის ფეხშვეშაც თითქო მიწამ დაიწია... შე ტრირტმანდა ვეებერთელა კაცი, ხელვები გაასავსავა — კედელს მიეყრინო, გაინაბა სანამ გონჩე მოვიდოდა და სულსაც მოითქეამდა...

მერე მობასეთ მოჩენებასავით წინ გამოეჭიმა, შეჩერდა წუთით — გაბორტებული თვალებით მიაშტერდა ერთ მათგანს — დაიჩავლა:

— ბიტი, სოთრანის მოკვლა შეგარჩინე, მაგრამ იცოდე ტრაბახს ან შეგარჩენ...

მეტი არათერი წამოსცდენია. ზურგი შეაქცია და ჩქარი ნაბიჯით აეროდრომის შუაგულში შეჯგუფული ხალხისაკენ გაემართა.

— თავიდან დაიწყება ყველათერი! ბლუსავით წაილულლულა მურზაყანის ნაპატიებმა მოსისხლემ...

რამდენიმე წუთის შემდეგ ბიტი ხელმეორედ შეეფეთა მურზაყანს. ბიტის ლაპილი ეპოვნა და რიღაცას სთხოვდა მორჩილად, ალბათ „მაპატიოს მამა-შენმა ლაყბობა“ — მეტი რა ჰქონდა ლაპილთან სათხოვარი.

მაგრამ გვიან იყო უკვე.

მურზაყანი წუთით შესდგა. მიწას გაუშტერა თვალი... ვერ გადაეწყვიტა რა მოემოქმედა. რაც მოხდა ალბათ მალე ხალხიც გაიგებდა და უფრო მეტი სირცხვილი იყო მაშინ... ერთი ნაბიჯი წინ — ლაპილისა და ბიტისაკენ გაიხედა. ლაპილს თვალების და თვის მოძრაობით ანიშნა მოშორებოდა მოსისხლეს... ლაპილმა სცადა, მაგრამ ბიტიმ უმალვე მაჯაში სტაცა მარცხენა ხელი — მარჯვენა კი თოთვის საკიდს შეავლო...

მურზაყანმა ველაზ მოითმინა, ერთი ნაბიჯი კიდევ წალგა წინ — შეჰყვირა და ხელითაც ანიშნა ბიტის — განჩე გამოღიო.

მის ყვირილს ხალხის უმრავლესობის ყურადღება არ მიუქცევია; გასაფრენად მომზადებული აეროპლანისკენ ჰქონდათ შიბყრობილი თვალი და ყური...

ბიტის არც კი შეუნიშნავს — ლაპილთან ლაპარაკში გართულს, როგორ შემოეცალა გარშემო ხალხი, როგორ გარბოდნენ აეროპლანისაკენ, რათა ხელოს ენახთ არწიეთ გაფრენის მომენტში...

ბიტიმ შიშით მიმოხედა გარშემო. სხვა გზა და ხსნა აღარ იყო: ლაპილს ახლა მხარზედაც მოავლო ხელი. თავისკენ დაითრია, აიტაცა, მკერდზე აიფარა გაფაირებული და განციფრებული ბავშვი...

... მურზაყანს დაუგვიანდა... მაინც ესტოლა. შეილის საკუთარი ხელით მოკვლის საშიშროებმაც ვერ შეაჩრა. მოსისხლე საიკვდილოდ დასჭრა მურზაყანის ნასროლმა ტყვიაშ — ლაპილ კი ერთი ნეკნი ჩაუმტვრია მხოლოდ.

რაღაც ქირურგი მესტიაში არ იყო იმ უამად, ლაპილს სახელდახელოდ შეუხვიეს ნატყვიაზი გვერდი. პატრონის ნებადაურთველად აეროპლანში ჩასვეს და მფრინავმა ქუთაისს მიაშურა დაჭრილი სვანის გოგოთი... ბიტის წაყვანა აღარ შეიძლებოდა... იმდენი სისხლი დაკარგა დაჭრილმა და ჭრილობაც ისეთი ჰქონდა მკერდის აუში — მარცხნივ, რომ საეჭვო იყო მისი გადარჩენა...

ასეთი შემთხვევა პირველი იყო ახალგაზრდა მფრინავისთვის. ამიტომაც უფრო მეტი სიტრატნილით, ავაღმყოფი რომ ა შეწუხებულიყო — და მონდო-მებით მიჰყავდა თვითმფრინავი.

ლაპილი კი გამყოლის, მეორე მფრინავის გვერდით იჯდა ნაბადწამოხუ-რული. ტკივილსაგან ხანდახან გაბმით კვენესოდა თვალდასუქული. თითქა სიზმარში იყო და უცნაური რამ ხილვა სტანჯავდა...

ცოცქს აღარც ცხენი ებრალებოდა, აღარც თავი.

ფაფარაშლილი, წითური ცხენმით მიჰქროდა მულახისაკენ, მიჰქროდა და თან იმ აეროპლანის — რომელითაც ის გოგონა მოფრინდა — მძლე ზუზუნი-ვით უწილდა ყურებში ცისფერახალუხიანი ვაჟის თავგამოდებული შეძახილი: „ლაპილ!..

მალე ავიდა მულახში ციოყი. შარაგზილან გადაუხეია, ვიწრო ჩიხით ლაპი-ლის კასტისაკენ გაეშურა.

... როგორც კი მურზაყანი ცოლითურთ ბალყარეთში გადაიხეწა, მეზო-ბლებმა უმალევ მისი კოშკის დანგრევა და ავეჯის განიავება მოინდომეს. კოშ-კის ქვას მშენებლობაზე გამოიყენებდნენ, შორილან მოზრდვა აღარ დასკირ-დებოდათ.

ციოყმა იწყინა. დროზე მიუსწრო. ლაპილის პატივისმცემელმა, თავმომ-წონე ვაჟმა ჯერ ხანჯალზე დაიდო ხელი, მაგრამ ამით მეზობლებს ფერი ვერ აცელებინა; მაშინ ლაპილის გამოგზავნილი წერილი, — რომელიც ციოყმა ფოსტალიონს გამოართვა იმ პირობით — ბალყარეთში გაფუგზავნი მის შშო-ბლებსო — საფულედან ამოაძრინა და საქვეყნოდ წაიკითხა. ლაპილი იწე-რებოდა:

„ჭრილობა მომირჩა. ჯერ კიდევ საავადმყოფოში ჭარ; შემდეგ კი იქნებ ჩემს მხსნელ მფრინავს, უფროს ამხანაგს და კეთილის მრჩეველს გაუყვე თბი-ლისში, სწავლა დავასრულო, მერე თუ გამოვლეჭი და ვივარგე, იქნებ საფრე-ნოსნო სკოლაშიაც მოვეწყო; მაშინ ავიაციას მოვახმარებ მთელ ძალისნეს“...

— ვთქვათ ამ მოვლე ხანში მოვეინახულოს, მაშინ?! გამომწვევი კილოთი იკითხა ციოყმა წერილის კითხვის დასასრულს. და რაღაც ხმა ვერავინ გასცა, თითონცვე დაადასტურა:

— ჩამოსცვლით კი ადრე თუ გვიან უსათუოდ ჩამოვა!...

კრინტი არავის დაუძრავს. მაჩთლაც, რითი უნდა ემართლებინათ თავი ლაპილის წინაშე. თუ იგი მართლა, მულახში თავისი აღგილსამყოფელისათვის თვალის გადავლებას მოისურვებდა.

წერილში და ციოყის სიტყვიერმა მუქარამ ლაპილის კოშკი დანგრევას გადაარჩინა; დანგრევით შეიძლება ვერ დაენვრიათ, მაგრამ ისე დააზიანებ-დნენ — საცხოვრებლად აღარ გამოგლებოდა — გაპატაზდებოდა.

გაზაფხულზე კოშკის სახურავი გულმოლგინედ შეაექთა ციოყმა. დარბაზი და მაჩუბიც გასწმინდა, წესრიგში მოიყვანა. ნივთებს კი ხელი არ ახლო, რო-და გორც იყო დალაგებული და მობნეული ლაპილის წასვლის დღეს — ისევე დასტოვა...

საბჭოში მადლობა უთხრეს. დაგვიფასებს მზრუნველობას თუ მართლა სახელოვანი დაბრუნდაო; მანამდე კი სოხოვეს დაინტერესებული მოგზაურე-სახელოვანი დაბრუნდაო;

ბისათვის ბინის და კოშკის შინაგანი მოწყობილობა. დაეთვალიერებინა და აქცენტი.

როცა ციოყი მულაბში იმყოფებოდა, თავისუფალ საათებში ამ დავალებასაც ასრულებდა...

... ახლა ციოყმა ლაპილის კოშკის წინ შეაჩერა ცხენი — ჩამოხტა. მახლობლად — თამაშობაში გართულ პატარა ბიჭის დაუძახა, ცხენი ჩააბარა.

— ატარე ცოტახანს, გაოფლილია!..

ბიჭმა სიხარულით სტაცა აღვირს ხელი — გასწია. ცხენი მორჩილად გაჰყვა.

— შორს არ წაიყვანო!... — მიაძახა ციოყმა...

ბიჭმა გაუცინა. თავი დაუქნია...

ციოყმა ბოქლომით დაკეტილი მაჩუბის კარი გააღო, წუთით შეჩერდა, თითქო ეშინოდა შესვლისა...

შუბლზე მოისვა ხელი, აბეზარი ფიქრუბისაგან თავის დაღწევას ლამობდა... მერე ფრთხილად გადააბიჯა ზღურტლს. მაჩუბში სინესტის სუნი ტრიალებდა... თითქო მიწა, კედლები და ყველაფერი — რაც ელაგა, დაობებულიყო...

კარგა ხანია მაჩუბის კარი არ გაღებულა. ირგვლივ მიმოიხდა: ბნელში ჯერ ვერაფერს არჩევდა. თვალი ნელნელა შეეჩინა. ლია კარიდან შემოჭრილი სინათლე მოპირდაპირე კედლამდე აღწევდა, მკრთალად ანათებდა: მარტივად მოჩუქურობებულ — მრავალ თაღებიან მწერიეს საქონლის საღომისას. შუაგულში დაუანგულ ჯაჭვზე ჩამოკიდებულ თუჯის ქვაბს, გაცემულ კერას ნაცრითა და თხელი ფიქალის მოზრდილი ნაჭრებით მოფენილს. იქვე ახლოს იდგა ჩუქურობებით აჭრელებული „კარაცხვილი“ — ჭიებისაგან დახრული და მტკრით დაფარული.

კერის მარცხნივ და მარჯვნივ, უსწორმასწორად ნაწყობ ქვის კადელთან — სიბნელეში, უწესრიგოდ ეყარა და შვიდი წლის განმავლობაში თვლებდა სხვადასხვა საოჯახო ნივთები: ხისა და თიხისაგან ნაკეთები ჯამები, კოვზები, დიდი გოხები, ზოგი ბზარიანი ნაპირებმომტკრუელი, ზოგიც მთელი...

მარცხნივ, კარადის ზემოთ, იჩიბად ეკიდა ჯიხვის უშველებელი, ცერის-სისხო — უთვალავ რეოლებიანი რქები.

რქების ქვემოთ ხის გრძელ სკამზე იღო ორი დიდი, — მოწნული კალათი და თიხის ჭურჭელი — წყალის შესანახი.

დარბაზიც მოინახულა ციოყმა.

აქაც: სიბნელე და მტკერი.

საჯახო ნივთები მიყრილი კუთხეში. ამათ შორის მხოლოდ სპილენძის დიდი ქვაბი თუ მოქცევდა ყურადღებას, რომელიც სვანეთში ასე ძვირად ფასობს.

დარბაზიდან გარეთ გამოვიდა, — კიბე აიარა. კოშკის კედლის გასწროვ და კიჩში შევიდა.

დანარჩენი: მუბანი, ხოშა და ხოხრა ლაგბანდებიც მოინახულა. კიბები შეასწორა და ბოლო გაუმდეგრა იატაკზე.

სახურავზე შეისვენა მარტო.

მულახ-მესტიის გზიტკეტილს გაჰქედა. არავინ სჩანდა მომავალი:

იჯდა ციოყი და სივრცეში — მეტიისაკენ უაზროდ თვალებმიპყრობილი ფიქრობდა დაუსრულებლად: როგორ შეხვედროდა მას, მიელოცა ბედნიერე-

ბა — კიდევ უფრო დიდი წარმატებები ესურეებია თუ... დამალულიყო და არა-სოდეს არ სჩენებოდა.

... მაგრამ როგორ გასძლებდა მის უნახავად — იმ ვოგოსი, რომლის სახე-ლის გაგონება, უბრალო ხსენება და მოვონება, — გულს სიამით უცხებდა და უძერებდა.

აღრე რომ შეეტყო მისი განზრახვა — (თუმცა ჩამოსვლას ყოველთვის ელოდა მისას და მეზობლებსაც არწმუნებდა თავიდანვე) ჩამოსვლის შესა-ხებ — მაშინ რამე ჭიკვიანურს მოიფიქრებდა წინდაწინვე; აბლა კი რა უნდა გადასწყიოთს.

ლაპილი საცაა მულახში ამრევა და ციონისაც იქითხავს უსათუოდ; თუმცა შეიძლება სხვატრივ არ იყალროს, მაგრამ ბავშვობაში, სკოლაში ერთად გა-ტრებული წუთები ცოტახნით მაინც დაავიწყებენ ყოველგვარ უპირატესობას და... ლაპილი მეგობრულად მიესალმება ციონის; ამშებს გამოჰკითხავს... მერე ალბათ წავა მალე და შეიძლება ახლოსაც აღარ გაიკაროს — შეიდი წლის წი-ნად თავისად რომ სთვლილ უკვე — იმ საბედისწერო შემთხვევას თუ არ ჩაე-შალა მათი მეგობრული ურთიერთობა.

...არა, ქალაქი, სწავლა, მფრინავის სახელი უთუოდ აიძულებენ ლა-პილს — ცოტა უფრო თავდაქმერილი მოქეცეს ცოლითან. თორებ რალა საერთო მათში გარდა იმისა, რომ ორივენი ერთ სოფელში დაიბადენ, სვანურ კერას-თან გაიზარდნენ და სულ ცოტახნით სწავლობდნენ ერთად სკოლაშიაც.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა — მით მეტი შიში და გაუბედაობა იყობობ-და, სულით და ხორცით იმორჩილებდა ახალგაზრდა სვანს.

...აშინებდა იმაზე ფიქრიც, რომ შეიძლება მათი შეხვედრა ერთმანეთთან მშეიღობიანად არ დასრულებულიყო.

იქნებ ციონის იმდენი ძალონე ველარ მოეკრიბა განშორებისას, რომ თავი შეეკავებინა, თავის და უნებურად ხანჯალზე არ მოესვა ხელი... უცაბედად ლაპილი არ შემოვდომოდა... ის ვოგო — სიცოცხლეს რომ უჩჩევნოდა, მზრს მაგივრობას რომ უწევდა თითქო... თუ მისი აღარ იქნებოდა, არც სხვისი ყო-ფილიყო... მაგრამ ხომ ფუჭად ჩაივლიდა ყველაფერი. მაშინ რაღა საჭირო იყო მისი კოშკის თავგამოდებით დაცვა, მის ბინაში ყოველი ნიერისათვის ესოდე-ნი ალერსით და სიყვრულით მზერა...

...თუ კოშკში შეხვდებიან განმარტოებით ერთმანეთს და თუ ლაპილი უარს ეტყვის მეგობრობაზე, მაშინ ყველაფერია მოსალოდნელი...

...თუმცა სვანს ქალზე იარაღი ჯერ არ უხმარია, მაგრამ შეიძლება ესეც მოხდეს...

უნებურად ხანჯალისკენ წაილო ხელი, შეერთა... ხანჯალი წელზე აღარ ეყიდა: „გზაში თუ შემაწყდა, თუ დავკარგვო“. შეშუოთდა, მაგრამ უმაღვე მოაგონდა — ხანჯალი ხელოსანს რომ ჩაუტანა — ტარზე ავარდნილი ძელის დასამაგრებლად.

გული დაუმშვიდდა — ძევს თავის გადაწყვეტილებაზე ფიქრს დაუ-პრონდა...

ლაპილის სახლის კართ წამოსვლისას ღია დასტოა ციონმა. იფიქრა: მოვიდეს, დაათვალიეროს თავისი ძველი სამყოფელი, საღაუ პირველად გაახი-ლა თვალი და ბავშვობაც გაატარაო.

მყუდროებაში მთვლემარე მაჩუბსა და დარბაზში რამდენიმე წუთით შეიძლება შეჩერდეს ლაპილი: თავი დახაროს, თვალ მოხუცულმა მეტსიერებაში აღადგინოს წარსული. ყური მიუგდოს და... მოისმინოს ხელახლა: მშობლების საუბარი, კინ კლაობა, რჩევა-დარიგება. წარმოიდგინოს მათი გარევნობა—გამომეტყველება, ჩატულობა, შემდეგ კი თვალცრუემლიანმა — ყოფილი პირები ნაბიჯის გადადგმისთანავე გაჭვანტოს ფიქრები და მოჩვენებანი — შორეულ მხარეს, კავკასიონის თოვლ-ყინულიანი მთაგრეხილის გადაღმა გადახვეწილ მშობლების შესახებ.

...ერთხელ კიდევ მოავლოს თვალი გაციებულ კერას და გულში დამკვიდრებული სინანულის გრძნობებით გამობრუნდეს უკან... მურზაყანს და დედას ვინ იცის იქნება ალარც ახსოვთ პატარა ლაპილი, შეიძლება ფიქრობენ, რომ უკვე მიწამ შეითვისა და შეისისხლორცა მისი სხეული... როცა მოიცილის — ლაპილი უსათუოდ მოსძებნის მათ და სიხარულის ცრემლებსაც აღვრევინებს ორვეს... თუ მაშინ დაიჭირეს, მამას ახლა სასჯელი მოხდილიც ექნება; თუ არა და ვინ იცის როგორ არიან ამ ხანად, როგორ ცხოვრობენ...

ლაპილი ისევ გადაავლებს თვალს ნესტიან დარბაზს, გაციებულ კერას, დაენაგულ ჯაჭვს... მის მეხსიერებაში რომ სამუდამოდ აღიბეჭდენ და ყოველ შეხედვაზე მასში აღვიძებენ წარსულს, შორეულ მოგონებებს....

...ბნელი მაჩუბის კარებამდე თუ მიაცილებენ ეს გრძნობები და მოგონებანი ახალგაზრდა მფრინავს. გარეთ მას მზე და ხალხი შეეგებება, გათხება, გამხიარულდება და მალე, თუ საბოლოოდ არა — ღროებით მაინც დაივიწყებს. ყველაფერს, რაც ბნელსა და წარსულს ეკუთნის...

როცა გასავათებულმა, სახე გაოფლილმა ბავშვებმა ცნობა მოიტანეს სოფელში — ლაპილი უკვე მოდისო — ციოცმა დედა მოსძებნა და დაარიგა:

— თუ მიყითხოს, სახლში არ არის-თქო, უთხარი!..

— რატომ შეილო, რა დაგიშავდ... მთელ სვანეთს გაახარებს მისი ჩამოსვლის ამბავი... შენ ყველაზე უფრო არ უნდა გიხაროდეს?!..

ციოცი პასუხისგაუკემლად გამობრუნდება მაჩუბისაკენ.

დედამისი კი ცხენზე ვაური სითამამით მჯდარ ლაპილს ეზოსკარებთან — ჭუჩაში შეეგებება, ჩამოსვლაში მიეშველება, გადაეხვევა.

ქალები ხარბად — რამდენჯერმე გადაკოციან ერთმანეთს. ლაპილი მაგრად ჩაბლუჯავს ხელებით მოხუცს, ციოცის დედა კი ფრთხილად, მოწიწებით უხება მხოლოდ მის ტანსაცმელს.

მეზობლებს, ცნობისმოყვარე — მორცხვად მზირალ ბავშვებსაც მიუბრუნდება ლაპილი — ხელს ჩამოართმევს, მოიკითხავს, გაამნენევევს, ბავშვებს — ზოგს აკოცებს. ზოგს ლოცვაზე და კისერზე შეგახებს ხელს. მიუალერსებს... ვერც ერთს ვერ სცნობს.

შვიდ წელიწადში ახალი თაობა შესძენია მულას; ყველა ლაპილის წასკლის შემდეგ დაბადებულა ან წამოჩიტულა.

ლაპილის ტოლები კი ახალ სხანან; ზოგი სწავლობს, ზოგი სამუშაოდაა წასული, ზოგი სახლში იბალება, რატომდაც მორცხვობს, გარეთ არ ჩნდება... შორიდან, სარკმელებიდან უთვალთვალებენ სანატრელ მეზობელს და სტუმარს...

ციოყიც სხვებსავით, დარბაზის ახლად გამოჭრილ ვიწრო სარქმელიდან უთვალთვალებს... გული მხდალსავით უცემს, უცნაურად ქანაობს ვანიერ მეტრდში.

დედამისი ბავშვებით გარს შემოხვეული ლაპილს ფუსფუსით მოუძღვის სახლისაკენ...

ლაპილი ციოყის მოიგონებს.

ყოველთვის ახსოვდა, მაგრამ მოხერხებულ დროს ეძებდა...

— სულ დამატიშვილა!... — იმართლა თავი; — მესტიაში ვეღარ მოვასწავი ციოყის ნახეა, მულაბში დაბრუნდაო — მითხვეს. ტურბაზის დირექტორმა წერილიც კი გამომატანა მასთან... გამეტემრა... მოვიდა, სახლშია?!... — იკითხავს ბოლოს ლაპილი.

დედა ციოყის გასაგონად ხმამაღლა უპასუხებს:

— არ მოსულა!... — ხელით და თვალებით კი ანიშნებს: — არ ვიცი რა დაემართა — იქ იმალება, დარბაზშით...

ლაპილს გაეცინება. — ციოყი უთუოდ მორცხვობს, ან... იქნებ უკმაყოფილოა რითმე... არასოდეს მიწყენინებია... ეს კია, რომ ერთი წერილიც არ მოშიწერის შეიდი წლის განმავლობაში...

— იქნება დაბრუნდა და ვერ შენიშნეთ! — ხმამაღლა უპასუხებს ლაპილი; მაცდურად, ციოყის გასაგონად და — მიუპატიუებლად შევა დარბაზში.

ლაპილი რომ დარბაზში აცეცებდა თვალებს, ყოველ ბნელ და ნათელ კუნჭულში ეძებდა ციოყი — ვაჟი უკვე იჩის ლაგბანდაში იჯდა და სმენად იყო გადაქცეული... დედაზე გული მოსდიოდა და თავის თავზე ეცრებოდა — თავივით რომ მოემწყვდა კიჩეში...

თუმცა დედა დაარიგა — არ გამცეო, მაგრამ ამავე დროს გუნებაში უკა- ჟვედურებდა...

...რა ვუყოთ, რომ ისე დაარიგა... მერე ჩატომ არ უნდა აღმოაჩნდეს მშო- ბელს იმდენი გამოცდილება, დაკვირვება და მიხვდრილობა — ფიქრობდა ციოყი, — რომ თავისი ვაჟის გულშიაც ჩაიხედოს, დაკვირდეს — ნათვამს არ დაუჯეროს...

ვინ იცის ადამიანი რას არ იტყვის, მით უმეტეს იმ ასაკში და ისეთი თავ- მომწონე, როგორიც ციოყია...

ყველაფერი ხომ სიტყვა-სიტყვით არ უნდა გაიგო...

დედა ახლობელია ყველაზე...

დედას მით უმეტეს არ ეპატივება ასეთი გულგრილობა და დაუკვირვებლობა... ზოგჯერ არც კეუთა და არც გადაჭარბებული თავმოყვარეობა ნებას არ გაძლევს პირდაპირ გამოსთვეა, — გაამხილო რაც გაწუხებს, გაინტერესებს და ხანდახან სულსაც გიშვითობებს.

მსმენელი ცოტას მაინც ხომ უნდა მიხედეს თავისთვალ, მიხედეს და უწამლოს ყველგვარო საშუალებით რაც ხელთა აქვს. დედას მით უფრო ვეა- ლება... ჩაიხედოს შეილის გულშიაც, თუ შესაბრალებელია შეიბრალოს და მოუაროს...

...ლაპილი ფრთხილად მიაბიჯებდა დარბაზში... თვალები გულუბრყვილოდ დაუჭყიტა ძებნაში გართულს... ხანდახან გაოცებით იქნევდა მკლავებს, რომ იმ ბიჭის ლანდსაც ვერ მოჰკრა თვალი...

დარბაზში არავინ იყო — კარებთან მდგარმა ციოყის დუღამ კიჩხ ლაგბან-დისაკენ ანიშნა ლაპილს — იქ იმალებაო... .

ლაპილმა ნაზარ, ეშმაკურად გაიღიმა...

„ცუდად მომწყვდეულა თუ მართლა იქ იმალება“...

კოშკში ასასვლელი კიბის მეორე საფეხურს ვაუტრი ნაბიჯით მისწვდა, (პირველი ჩატეხილი იყო) დანარჩენები ფრთხილად აიარა, ჭრიალი რომ არ დაეწყო.

შესასვლელთან კედელს გაეკრა, ციოყის დედას, რომელიც ქვემოდან ადევნებდა თვალყურს — ხელი დაუქნია — თითქო ემშვიდობებოდა, მერე ხოხია ლაგბანდის კარი ფრთხილად შეაღო და შევიდა... ვიწრო — დაბალჭე-რიანი — პირველი სართული კოშკისა ცარიელი იყო.

შეყოყმანდა ლაპილი. ცოტა იწყინა კიდეც... „აღარც ისე პატარები ვართ — ციოყი კეკემალულობის თამაშს რომ მიმართავს“ — გაიფიქრა... უხერხულად მოქჩენა ძებნის გაგრძელება... თან არავინ ახლდა; რას იფიქრებდა ხალხი.

...მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც სძლია ყველაფერს, რაც წინ ელო-ტებოდა... რისთვის უნდა ემალებოდეს ციოყი, როცა ლაპილს ასე ენატრება შისრ ნახვა, მასთან ლაპარაკი... გზაში, აქეთ რომ მოეშურებოდა, ეგონა: ციო-ყი სოფლის დასაწყისში ცხენით და ამხანაგებით შემეგებებაო... არ გაუმართლდა... რას ნიშნავდა ასეთი შიში და მორცხვობა?...

თავისი მაინც არ დაიშალა. იმდენი გამბედაობა ყოველთვის ჰქონდა ლა-ჭალს, რომ თუნდაც მარტო — ვაუს გამოსდგომიდა საძებრად, მარტო ვაუს კი არა — ციოყის, თავის ციოყის, რომელთანაც ბევრი რამ ჰქონდა საერთო შვი-დი წლის შემდეგ დაბრუნებულსაც...

ხოხიაღან მუტირისაკენ აჰყვა კიბეს.

ძნელობა ირგვლივ.

კიბის უკანასკნელი საფეხური ბოლომდე ვერ სწვდებოდა ზემო — შემდეგ სართულში ასაძრომს, ჭერში რომ იყო ოთხეუთხედად გამოჭრილი...

სიბნელეში ხელები ააფათურა, იღაყვებით დაეყრდნო, აიწია. ჭერში ასას-ვლელის ნაპირზე ჩამოჯდა; აღარც დასვრას ერიდებოდა, არც დაღლას გრძნობდა იმდენად — ნაეგზაფრი; თუმცა სიბნელეში და მტკერში კარგა ხანია ბორიალობდა, იმ ბიჭის პოვნის უძლეველმა სურვილმა შეიძყრო თავიდანვე.

ციოყი არსად სჩანდა. მაგრამ ლაპილი მთელი არსებით წინდაწინვე გრძნობდა, რომ მისთვის მახლობელი გული საღლაც სულ ახლოს ფეთქავდა. ძალილონებს უორყეცებდა და ხალის უძლიერებდა ამის შეგნება...

კოშკის ბნელი სართულების მრუმარებაში, თითქო მართლა გაისმოდა რომაც — გულის ცემის მსგავსი, რომელიც მარტო ლაპილის ყურსმდე აღ-წევდა.

სიბნელეში ხანდახან კედელს მიეყუდებოდა, ყურს მიადებდა ცივ ქვას და განჩაბებოდა... ციოყის გულის ცემის მოჩვენებით ხმა უფრო გარკვევით ესბოდა მძშინ..., ნამდვილად კი ლაპილი თავისივე გულის ცემას უგდებდა ყურს და თავდავიწყებული სტრშებოდა იმით...

სიბნელეში — წინ გაწვდილი ხელების ფრთხილი ფათურით მან მოსძებნა ზემო — მორიგ სართულში — რიპში ასასვლელი კიბე. ფიჭვის მსხვილი მორი — ძალო-ახლო, საკმაო სილამეზე ამოკვეთლი საფეხურებით.

დაიხარა, ნელ-ნელა, ბავშური ფორთხვით აჭყევა საფეხურებს. მორი ოდნავ ქანაობდა, მაგრამ ჰაერში გამოპრიმედილ გოგონას ეს ოღნავაც არ აკრთობდა... თუმცა სიფრთხილე მანც საჭირო იყო; უცაბედად იმ სიბრელეში უშეელებელი მორი რომ წამოქცეოდა, უსაოური ქვეშ მოჰყვებოდა ლაპილი; სასიკვდილოდ დაშავდებოდა; დაშავებაზე ვინ აჩივებდა — სიჩუბილი იქნებოდა მფრინავისთვის ასეთი მარტინი.

კიბის შუამდე რომ მიაღწია, სინათლეც გადმოეფინა.

ჰაერში გამოჭრილი ასასვლელიდან მქრთალი სინათლე ეშვებოდა ზოლებად. კიბის თავი აქაც ვერ სწვდებოდა ქერამდე... იდაყვებით ასასვლელის ნაპირზე დაყრდნობილი — წვალებით ავიდა რიპში. ეს სართული კარგად იყო განათებული. სინათლე თავისუფლად ეფინებოდა დასავლეთის მხარეს, კედელში გამოჭრილი მაღალი და ვიწრო სარკმლიდან...

ლაპილმა პატარა შესვენების შეძლევა — ისევ შესდგა ფეხი ფიჭვის მორჩე გამოჭრილ საფეხურზე... ირგვლივ მიმოიხედა... ცივი, უსწორმასწოროდ ტელელში ნაწყობი ქვების მეტი არაფერი იყო... ამ ერთფეროვნებას სარკმელი თუ ამრავალფეროვნებდა ცოტათ მანც — და სარკმელიდან შემოჭრილი სინათლე თუ ხდიდა უფრო მიმზიდველს დანარჩენებთან შედარებით...

ახლა უფრო თამამად და აღვილად მიწევდა მაღლა, რაღაც აქ სიბნელე ჸელს აღარ უშლიდა ასელაში, ყოველი საფეხურის მოძებნასა და ფეხით მოსინჯვაში...

ლაპილი რომ ლალად მიწევდა სულ მაღლა და მაღლა, ცროყი ხაფანგში მომწყველეულივით წრიალებდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ყოველ სართულს უხმოდ უთმობდა მფრინავ გოგონას... ქურდულად მიილალებოდა ზემოდ, სულ მაღლა და მაღლა... მაგრამ რა მიზნით, რისთვის — თითონაც არ ესმიდა კარგად... რაღაც უხილავი ძალა ბატონობდა ახლა მასზე და უსიტყვოდ ასრულებინებდა ყველაფერს...

...თითონაც ხომ ძალიან უნდოდა ლაპილთან შეხვედრა, მის სიახლოეს ყოფნა; მით უმეტეს აქ — კოშკის სიმარტოვებაში და მყუროვებაში; მაგრამ თუ მანც ვერ ისრულებდა გულის წადილს, ეს ისევ მისი უცნაური გულის ბრალი იყო, ვერ დაემორჩილებია ყმაშვილს იგი...

... „თუ არ დამანება თავი, თუ ბოლომდე ამოჰყევა — რაღაც ზიტას შემათხვევს — ან შემომაკვდება, ან... სახურავიდან გაღმავდებს უთუოდ!“ — ფიქრობდა თავისთვის ციოყი. საგონებელში აგდებდა, ალნებდა ვაჟს ეს აკვატებული ფიქრები, რაღაც სხვა გამოსავალი ვერ ეპოვნა. „მანც რა კეუა აკვატებული ფიქრები, რაღაც სხვა გამოსავალი ვერ ეპოვნა. „მანც რა კეუა იყო აქ ამოსელა, ამ ხაფანგში. თუმცა ვინ იფიქრებდა, რომ ლაპილი მიუხდებოდა ეშმაკობას და აქაც კი ამოჰყებოდა. მასაც ალბათ რაღაც ძალა უნდა ეწეოდეს აქეთ... თორებ ისე უბრალოდ თავს არ შეიწუხებდა... ისეთი გოგო არაა“...

„მაშ რაც მოსახლენია, მოხდეს“...

ამ გადაწყვეტილებით ხობრაც დასთმო ცოტყმა; კატისებური სიფრთხილით სახურავზე აიპარა და გაინაბა...

ლაპილმა კი ამასობაში უკვე ხოხიაში ამოჰყო თავი; ამოჰყო და გული შეუკუმშა სიცალიერებ... აქაც რომ ასავინ დაუხვდა...

კინალამ იმედი დაკეარგა იმ ახილებულ ბიჭთან შეხვედრისა. იმზც დააეჭკა: აქ რომ მომწყველეულიყო ციოყი ხმაურის თუ არა, რაიმე ოდნავ გასაგონება: აქ რომ მომწყველეულიყო ციოყი ხმაურის თუ არა, რაიმე ოდნავ გასაგონება:

ფაჩუნს. მაინც მოვკრავდი ყურსო... ისე უხმოდ, ისე ფრთხილად როგორ მოახერხებდა ასვლას ის შეჩვენებულიონ...

...მაინც არ მოეშვა. გული არ გაიტეხა. ხოხრა ლაგბანდის კიბეს დასწევდა, ასვლაში ხელებიც მოიშველია — რადგან მორი. საგრძნობლად ქანაობდა.

უცებ ყურები სცევიტა — გაინაბა. ახლა კი მოესმა ლაპილს რაღაც ჭრიალის მსგაცს. გაიფიქრა: „უფორდ ის ბიჭიაო“ და ცოტა ხანს კიდევ მოიცადა... მერე ღიმილით აიხედა მაღლა... გულმაც აგრძნობინა — „რაღაც“ სანატრელის სიახლოეს ყოფნა... ლაპილის ლოყებსაც რომ არ სჩვეოდა საერთოდ — ქალური სინაზის და მორცხვობის გამომხატველი მქრთალი სიწითლე წამოეპარა. ახლა...

...ციოუმა ვერც ერთი თავისი გადაწყვეტილებათაგანი ვერ შეასრულა. ასასვლელის მეორე მხარეს — სახურავის დაქანებაზე ჩამოჯდა; თანაც ხელები მაგრად ჩასჭიდა ინსტიქტურად ყავრის ნაპირს... ამ უფსერულიდან გადავარდნაზე ფიქრი კი არა, უბრალოდ გადახედვაც — ურეოლას გვრიდა... თვალს არიდებდა... ხან ხუჭავდა რაღაც არჩვეულებრივის მოლოდინში, ხან ოცნებით შორს — თეთნულდისაკენ იმზირებოდა...

ამ ფიქრებში და განცდებში არც გაუგია, არც შეუნიშნავს როგორ გაჩნდა ლაპილი კოშკის სახურავზე. მის ზურგს უკან... მარტო ხელის ფრთხილი და როგორც თვითონ მოეჩვენა — ნაზი შეხება იჯრძნო... ასეთი სიფრთხილით, ასეთი მზრუნველობით — სხვა არავინ შეეხებოდა ციოუს თუ არ ლაპილი; მიუხედავად იმისა, რომ მათ „ბევრი რამ“ აშორებდა ერთმანეთისაგან...

...როცა ამ შეხების უმაღვე შემკრთალმა უკან მოიხედა, სიტყვით ვერ შესძლო გამოთქმა, მაგრამ ისე კი აგრძნობინა ლაპილს: ბედნიერება სწვეოდა მისი სახით ციოუ რიჩვეიანს...

უხმოდ მიესალმა ლაპილიც...

მერე მფრინავმა უფრო თამამად ჰქითხა:

— აქ რას აკეთებდო, ციოუ?!

რა ნაზად წარმოსთქვა მისი სახელი ამ გოგონამ... ვაჟს ამის შემდეგ ხმის ამოღებისაც ეშინოდა; ვინ იცის, როგორი იქნებოდა მისი ხმა ლაპილის ხმას-თან შედარებით!...

...მაინც ვაბედა. უპასუხა:

— სახურავს დავხედე!

ლაპილმა ჯერ გაულიმა, მერე კი წყრომით მიუგო:

— რატომ გამოიქცაი მესტიიდან?... — მამაშენი გაოცებული შემეგება — გამეხუმრა: თუ შენი გამოჩენა ასე შეაშინებდა — არ მეგონაო... ღირექტორიც გაკვირვებული და ცოტა ნაწყენი იყო: ცხენს შეპირებიხარ!...

— შევპირედი! — თავაულებლად მიუგო ვაჟმა; — მაგრამ სხვანაირად არ ხერხდებოდა... მამაჩემი ხომ იქაა — არც მისი შევთაფარისი ცხენი ჩამორჩება ჩემსას — ტოლები არიან...

— მაინც რამ აგაღებინა ხელი პირობაზე?... მართლა ჩემთან შეხვედრას მოერჩდე!... — არ მასხოვს შენთვის რაიმე დამეშავებიოს... ახლაც კეთილი სურვილებით მოვედი...

ვაჟმა ლმობიერად შეავლო თვალი. თითქო სთხოვდა: განაგრძე, მესია-მოქნება შენი ლაპარაკი — მე ყურს გიგდებო...

— რას იტყვი ციოუ, მართალია?

ციოყი მხრებს აზიდავს მარტო.

სათქმელი ბევრი აქვს, მაგრამ ვამშედაობა არა ჰყოფნის—დალაგებით ვა-  
მოსთქვას... ლაპილი წაიჩოქებს, ცალი ხელით ყავარს დაებჯინება, სულ ახლოს  
მიუჯდება ციოყის, ისე ახლოს, რომ მისი მხარი ვაჟის მკლავს ეხება ოდნავ...

— გიყურებ და ვეღარ ვცნობილობ, თითქო ლაპარაკიც დაგვიწყებია  
ამოდენა კაცი... არც მეკითხები რამეს, არც მიპასუხებ.

... მე კი რამდენი ახალი მაქვეს სათქმელი შენთვის!...

ვაუ დარცხვენით შეხედავს. ამას თითონაც გრძნობს: მასპინძელს. ასეთი  
ცაჭირობი ვერ ჩაეთვლება ზრდილობად...

ლაპილი წამოიწევს, ირიბად გადახედავს, ვაულიმებს და უფრო ახლოს  
მოუჯდება...

„რა გრძნობაა ეს გრძნობა, რაც გსურს, ვერ გამოვითქვამს, ვერ გამოვიხა-  
ტავს, ვერ გაგიბედია. ყველაფერს უკულმა აკეთებ შენი თავის, შენი სურვილის.  
წინააღმდეგ“. — ფიქრობდა ციოყი.

ამასაც კი მოესწრო ამ სახატრელ წუთებს: ლაპილი გვერდით უზის და  
თვალის გასწორებასაც ვერ უბედავს... როგორც სჩანს სიყვარულის მწვერვა-  
ლები ზოგისთვის უფრო ძნელი დასაპყრობი ყოფილა — ვიდრე უშბასი, თეთ-  
ნულის, იალბუზის... სათითაოდ ყველასთან უცდია ბედი და ნახევრად გა-  
მარჯვებული მაინც გამოსულა, თუ მთლიანად არა... აქ კი, კოშკის სახურავ-  
ზე — მფრინავი გოგონას გვერდით მყოფს, მისი მოსვლის შემდეგ — მუხლებში  
იმდენი ძალა აღარ შეტანა: ზეზე ამდგარიყო, ზრდილობიანად, სიხარულით  
მისალმებოდა...

— ციოყი, გამაგებინე: გაგეხარდა თუ არა?.. — ეჭვით და უქმაყოფილო  
კილოზე ჰკითხავს ლაპილი...

— ვერ გეტყვი!.. — შეპხედავს, ისევ დაპხრის თავს: თითქო ლრმა ფიქ-  
რებში გართულს ახლა მისთვის აღარ სცალია...

... მაგრამ ბოლოს მაინც ვეღარ გასძლებს, მორცხვად ჰკითხავს:

— არ მეტყობა?!

— რა? — განვებ ჰკითხავს ლაპილი.

— ... ის, რომ გამეხარდა...

— არ გეტყობა!, — მიუგებს ლიმილით, მერე ყოყმანით დაუმატებს:

— მაგრამ ვგრძნობ, რომ... და ესეც დიდი რამ არის ჩემთვის!...

ციოყიც დაუდასტურებს თავისთვის — გულში.

შეიძლება მართლა ისე არ ეტყობოდეს, განეგნულად.. თუმცა მეტი რაღა  
უნდა შეეტყოს, ხმას ვეღარ იღებს კაცი... მოულოდნელი სიხარულისა და...  
მაგრამ, მართლაც ხომ ფრთხი შეასხა ლაპილის დამრუნებამ. დიდიბანია,  
ძალიან დიდი ასე აღარაფერი გახარებია... და თურმე დიდი სიხარულიც ისევი  
გამოვაშტერებს, როგორც დიდი უბედურება!...

შეიძლება არასოდეს აზ ჰქონია შემთხვევა — ასეთი სიხარული განესაღა  
მის გულს. და... ამიტომაც დაემართა... მხოლოდ პირველ — დროებით გაფრი-  
ნილ სიყვარულს თუ მოჰყვება ამგვარი სიხარული; მოჰყვა კილევაც. შეიდ წე-  
ლიწადს ნატრობდა ამას ციოყის სული და გული...

... როგორ ემუქრებოდა ციოყი ლაპილს ერთი საათის წინ, გუნებაში, თა-  
ვისთვის... მოკვლისაც კი უპირებდა, მაგრამ... ყველა მუქარა თითქო ქარმა

წაიღოთ; ქარმა კი არა — უფრო ნიავმა, ისეთმა სტრატეგია და უსუსურმა, ზოგჯერ თმის ლერძოსაც რომ ვერ შეარხევს რიგიანად...

ასე მსუბუქი და უდღეური ომოჩნდა ვაეის მუქარა...

— ლამაზი იყო ძალიან! — ოცნებით წარმოსთქვამს და უკან მოიხედავს ლაპილი...

— რა? — ჰეთხავს ვაეი...

— უშბა, ციოყ... ზემოდან, აეროპლანიდან, მე ზემოდან დავცემუროდი მას, ვემუქრებოდი, თავს ვუყადრებდი გუნებაში, დავცინოდი კიდეც, ის კი ფიქრობდა ალბათ: „ვაი რატომ ჩემს ხელში არა ხარო“...

უშბა გარინდებული შემომცემუროდა, წარბშესრელად... შეიძლება გული მოსრობდა, მაგრამ ოდნავაც არ იმჩნევდა. მთასაც შეშვენის სიღინჯე... ბოლოს მაინც მოშჩიბლა მისმა ველურმა სიმშვერიერები. ძალიან ლამაზია შეჩვენებული, თავზე — თითქო დაღესტნიდან ქარის მიერ მოტაცებული, შამილის ჩალმასავით მოპევევია უცნობი თოვლ-ყინული, ტანი კი არაფერს არ იკარებს. მისი მხრები სალი კლდისა, ასევე მეტრი... უცერ: თვალები აგერევა, აგი-ჭრელდება და უნებურად უასაკო, მრისხანე ჭალაროსანს მიამსგავსებ...

— ლამაზია და თან მართლაც უზომილ მრისხანე... ზოგჯერ მიუკარუ-შელი როცა ხელით შეეხები, აღვილად გაგრძნობინებს რა დაგარწმუნებს... დღითხანს კუტრიალეთ შარშან...

ლაპილის მოეწონება — ციოყი რომ ტრაბახით არ დაასრულებს. არც სჩეკევათ სვანებს, საერთოდ. თითონაც იცის — შარშან ალპინისტების ჯგუფ-თან ერთად ციოყიც რომ ავიდა უშბაზე.

თვალი შეავლო უშბასთან მოურიდებელ, მაგრამ თავისთან — პატარა მოტრინაც გოგონასთან ასე მორცებე და მორიდებულ სვანს....

ლაპილი ხშირად იყურებოდა თეთნულდის მხარეს; სახეზე ცბიერის ლიმი-ლი უთამაშებდა; თვალებსაც ნაბავდა ხოლმე მეტის სინაზით.

ლაპილი ეშმაკობდა; კარგა ხანია — მიუხვდა ციოყი... როგორც კა იგა თვალს მოარიდებდა, ციოყი უმალვე, თავის მიუბრუნებლად, ქურდულად, ხარბად, გატაცებით უმჩერდა... ასე უნდოდა ემზირა მისთვის, რაც შეიძლე-ბოდა მეტ ხანს, რაღვან ლაპილს უეცარი გამომშვიდობების შემთხვევაში — კარგა ხნით ჩატჩენოდა ხსოვნაში მისი სახე... ხან მედიდური, ხან ბავშვური, ხანაც ქალური სინაზით აღსავსე გამომეტყველება...

... მიუხვდა ლაპილი; განვებ იმზირებოდა ისე დაუინებით თეთნულდისაკენ.

მაგრამ რა წამს თავს მოაბრუნებდა — ციოყი უმალვე მოაჩინილად მოარი-დებდა თვალებს, თვითონაც გრძნობდა — სატურად ვერ ასრულებდა ამას, არ იყო დახელოვნებული. მისი წინაპერები ყოველთვის პირდაპირ უცემრონენ, ალბათ: „თვალებით სკამდენ სატრიფოს“... მაგრამ მათ — ამგვარ ქცევაში ნა-ქლებად ლვოოდა უთუოდ — ტრიობის ცეცხლი..

სამაგიეროდ ლაპილი არ ერიდებოდა, არ მალვდა — გაბედულად უცე-როდა ციოყის, გალერებოდა თვალებით... მისი სახე ახლაც ისე ხიბლავდა გო-გონას, როგორც მაშინ — შეიდი წლის წინათ...

ციოყის მოგრძო, სასიამოგო შექმნედავი სახე ჰქონდა. მთის ულმობელ მზისაგან კანგაბრინჯაოსტერებული... ფართე შუბლს ზემოდან მუქი წაბლის-ფერი თმა უმშვენებდა — კვემოდან კი სწორი, გრძელი და ზომიერი სისქის

წარბები, რომელთა თავები სიამაყის ნაოჭის ქვემოდან ჩვეულებრივ არ უკრ-  
თდებოდნენ ერთმანეთს...

შავშავი წარბების ქვემოდ ღრმა ფოსოებში, ყოველთვის, რაღაც შეუ-  
პოვრობის, გაკირვების და ყურადღების გამომხატველი თვალები ელავდა,  
მკვირცხლი პატარა, ჭროლა... ცხვარიც ლამაზად გამოკვეთილი ჰქონდა. იგი  
უფრო სიამაყის იერს ფენდა, მკვრივად, ლოყის კუნთებ ჩამოქნილ, — ენერ-  
გიულ სახეს... ტუჩები მრჯვე ხაზოვანი, საშუალო სისქის, ნიკაბი, მკვეთრად  
მოხაზული ოდნავ შესამჩნევად შუაზე გაყიფილი...

ძნელია ასეთი ბიჭი ადვილად ვინმეს დაუთმოს გოგონამ...

— ციოყ, ხომ არ გიპოვნია ვინმე?... გაკირვებულ ვაჟს თითონაც გაკ-  
ვირვებით შეხედავს, უფრო კარგად განუმატავს...

— მეგობარი თუ იპოვე... ქალი!...

ციოყი წამოდგება. ცალხელს თეძმზე შემოიჭობს. ზემოდან უფრო თამა-  
მად დახედავს ლაპილს... თავს გაიქნევს უარის ნიშად...

— მაშ არავინ გყავს?

— არა, რატომ გაინტერესებს?!

— ისე... მაინც რატომ არ უნდა მაინტერესებდეს ჩემი ყრმობის ღროინ-  
დელი მეგობრის ცხოვრება...

— შენ, ლაპილ!?

— მე? მრავალმნიშვნელოვნად ჰქითხავს გოგონა. თითონაც წამოდგება.  
მხარზე ხელს დადებს ვაჟს. ისევე გაიღიმებს თავისებურად, თითქო მისთვის  
შველაფერი ცხოვრებაში: ღიმილია და ღიმილით ეგებება...

— მე? — ერთხელ კიდევ ჰქითხავს და დინჯად უპასუხებს... — მყავს!

ციოყი ისევ სახურავზე დაშვება. მაგრად ჩაეჭიდება ყავრის ნაპირებს  
ხელებით...

ხანგრძლივი დუმილისა და ყოყმანის შემდეგ ციოყი ენის ბორძისით იყით-  
ხავს ჩემად, ისე ჩუმად, რომ ამ კითხვამ მარტო ლაპილს ყურამდე  
მიაღწიოს...

— ახალგაზრდაა!?

— შენსავით ახალგაზრდაა! — მშეიღად მიუგებს ლაპილი.

— რატომ ჩემსავით?

— სხვას ვის შევაღარო!

— სადაურია?

— შენსავით სვანია!

— ლამაზია, მაინც!... ოდნავ შესამჩნევი, ღაუნეით ჰქითხავს ციოყი...

— სწორედ შენსავით ლამაზია!

— ჩემსავით! — მწარედ გაიღიმებს ვაჟი; — ძალიან ლამაზი ყოფილი

მერე არც თავის სიმაღლეს დაივიწყებს:

— ჩემსავით მაღალი თუა?!

— შენსავით მაღალია. ხმაც შენსავით ბოხი აქეს, ლაპასკი, ხომ... ლაპა-  
რავიც შენსავით ღინჯი და გამოზომილი უყვარს, ყოველ სიტყვას ისე უფ-  
რისილდება, თითქო სესხულობდეს...

ციოყი ხელდება, მაგრამ ჯერ ისევ თავის შეეავებას ამჯობინებს...

ლაპილის ყოველ პასუხს ფარულ დაცინებად ღებულობს...

— შენი ამორჩეული ჩემი ორეული ყოფილა სწორედ... — შეჩერდება, სათქმულს ერთხელ კიდევ შეამოწმებს გუნებაში, მერე ხვეწით მიმართავს ლაპილს:

— ლაპილ, რადგან მე და ის გარეგნულად ერთმანეთს ისე დაგვამსგავსა გამჩენმა და ამ მხრივ მეტოქეობის საშუალება მოგვისპო, მოდი — სცადოს და გამეჯიბროს. არც დოლში გავექცევი, არც სროლაში, თუ ვინდა... ცეკვაშიაც შენ ხომ გიყვარდა ცერულის ყურება... თუ ვერ მაჯობა!...

და ცალ წარბს მედიდურად ასწევს ვაჟი...

— როგორ დაუთმობ შენს თავს ჩემზე უარესს?!

— მართალი ხარ ციოყ. კარგია, რომ ასე მაფასებ და მიფრთხილდები!..

— შენთვის... კარგია, მაგრამ... — შეყოყმანდება, გაიცინებს... — მე რაღას მარგალი... რას ნიშნავს ჩემთვის...

— იგივეს, რასაც ჩემთვის... ჩემდამი პატივისცემა არ დაგეკარგება...

— მაგრამ შენ თუ!...

— მე თუ დამჯარე, ყველაფერი გეკარგება, არა?! — მოთმინებაც?!

— მოთმინებაც, პირველ ყოვლისა...

ხომ სხვისად, ხომ დაკარგულად მიაჩნდა ციოყს — უკვე შვიდ წელიწადს გულში დარღათ ნატარები სიყვარული ამ გოვნის; მაინც ლიმილით და ოცნებით უცეკროდა. ცქერის უკვე აღარ ეშინოდა, აღარც ერიდებოდა. რაც ერთად აჩინ იმ ხნის განმავლობაში ასეთ მცირე წარმატებას მაინც მიაღწია...

... რაც გამოსაჩივევი იყო — თითქმის გამოარკვია და კარგად დაიხსომა. დიდი შეურაცყოფა იყო მისი ახალგაზრდული თავმოყვარეობის, მაგრამ... შეურაცყოფილი კი ყოველთვის უფრო გაბედული, უფრო უხეშია როგორლაც. ამას ციოყიც გრძენობს ახლა.

ლაპილის დაკარგვა ათასგრი შეურაცყოფაზე უფრო მძიმეა, მაგრამ უფრო მეტსაც აიტანს, ოღონდ ლაპილს თუნდაც სხვის ხელში ისეთივე მკვირცხლს, ბეღძიერს და სახელოვანს ხედავდეს...

— ციოყ! — მიმართავს ლაპილი წუთიერი ჩაფიქრების შემდეგ. — შენ ხომ არაფრი დაგრჩენია ტურბაზის დირექტორთან?....

— არა! — ყოყმანით და გაკვირვებით მიუგებს ვაჟი...

— სულ არაფრი!..

— რა უნდა დამრჩენოდა?...

— წერილი!...

მოგონდება ციოყს...

— პო, მოხსრა — მაგრამ არ გადმოუკია.

— წაიკითხ.

ციოყი გამოართმევს, შეატრიალებს ხელში.

— მერე იყოს, რა დროს წერილის კითხვაა... ლაპილი არ მოუშეგება — თითოვე გადაუხევს კონცერტის ნაპირს.

ციოყი გადაავლებს თვალს წერილს...

— ლაპილ, კარგ ფეხზე ჩამოხვედი... აქედან შეიძლება ერთად წავიდეთ...

— რა იყო, მოტტა!..

გამოართმევს, წაიკითხავს.

ოფიციალურ ბლანქზე სამი ნაბეჭდი პწყარი სიხარულით აუსებს თინი-  
ვეს გულს...

ლაპილი მიულოცავს, ხელს ჩამოართმევს კიოყს...

— შენ, ძმაო, აღარ ხუმრობ თურმე. რატომ არაფერი მითხარის...

მსროლელთა მომავალ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მი-  
საღებად იწვევდნენ კიოყს.

კიოყი სიხარულს მალავს... მაინც უნებურად ეღიმება...

— ლაპილ, ამის შესახებ მერე.. აღარ მახსოვს შემპირდი თუ არა; მაგრამ  
შენი ამორჩეულის სურათი მაინც უნდა მაჩვენო. სახითაც მინდა ვიცნობდე —  
ვინაა სვანეთში მეორე — ასე რომ მგავს!?

— თითქო ჯერ არ გენახოს!...

— სად, როდის მაჩვენე!?

— ?...

— დამცინი თუ, როგორ მივიღო ასეთი პასუხი?!

— მე შენ დაგცინი?.. — იწყენს ლაპილი.

— კარგი... ოღონდ ის მაჩვენე... იმის სურათი...

— რაღაც ასე გაინტერესებს, რა გაეწყობა, თუმცა გარწმუნებ...

— სიტყვით არა, სიტყვით ვერ დავრწმუნდები. თუნდაც ერთხელ... შო-  
რიდან დამანახვე...

— ახლოდან იყოს, ბიჭო — რა მოხდება?

ლაპილი ჯიბიდან ამოიღებს მრგვალ ჩარჩოში ჩასმულ ნივთს, — შეა-  
ტრიალებს...

— „რა შუაშია სარკე“ — გათევორვებს სვანი. „შეაჩვენოს ქალი ეშმაქმა...  
პო, იქნება სარკის ზურგი იხდება და იქ ინახავს ლაპილი...

ლაპილი რამდენჯერმე შეატრიალებს ხელში სარკეს, დახედავს, ზედამის  
გაორთავებული და მტრე ვარდისფერი, პატარა ტერიტორიული დიდებანს, ისე დიდ-  
ხანს სწორდებს გულმოდგინედ — ისე აპრიალებს სარკის ზედაპირს, რომ ცი-  
ოს მოთმინება ეკარგება... უნდა ეცეს ხელში, გამოსტაცის სარკე და შორს  
გადაისროლოს...

... რა შუაშია ახლა ეს ნივთი, რა ღირებულება და დანიშნულება აქვს ამ  
მომენტში, როცა ცოლის უკვე საბოლოოდ გამორკვეული და გადაწყვეტილი  
ბედი, უკანასკნელ სერიოზულ დადასტურებას ელის...

... ბარემ აპხადოს თავი...

— ისე გაჩვენებ... ხომ გესმის?!.. — სითამამით შეუტევს კიოყს, პატრიში  
ნაერდით გათმამებული გოგონა და ებონიტის, კრიალა, მრგვალ ჩარჩოში  
ჩასმულ სარკეს ტერიტორიაზე მიადებს...

„ხომ ხედავო“ — გაუჯავრებს და მკერდზე მიენდობა მის ალერს მონა-  
ტრებული...

კიოყი თავს რომ ასწევს, ნამდინარეესავით თვალებს მოისჩესავს და გა-  
ოცებით იჩველივ მიმოიხდავს, მარტო მაშინ შენიშნავს: ყველაფერი სალმოს  
ბინდში გაუჩინარებულა უკვე... დრო გასულა...

... ლაპილი გვერდით დგას — მასთან. მხარზე იღაყვთ ეყრდნობა და  
თვალს არ აშორებს...

გოგონა ქვემოდ სოფლისაკენ მიუთითებს გაკვირვებული, — საღაც ბინდ-  
ბუნდში აქა-იქ თვალი სჭყიტეს ელნათურებმა...

— საიდან მოდის სინათლე?!

— მესტიიდან! — მიუგებს ციოცი...

ლაპილი წუთით ჩაფიქრდება — ვაუის პასუხით კმაყოფილი და მერე  
ხელახლა იკითხავს:

— სიხარული...

პასუხის მაგივრად მეგობრულად გაულიმებს ციოცი...

ვინ არ მიხვდება... ყველამ იცის... ყველა იცნობს ჩვენი ბედნიერი ცხოვ-  
რებისა და სიხარულის შემოქმედს...

# ტ በ የ ማ እ ዘ ድ

იაკობ ბალახაშვილი

## გორის ლიტერატურული ნარცელი

გორის საოსტატო სემინარიელთა ლიტერატურული წრე  
გაფა-ფრაველას მონაწილეობით

გორის საოსტატო სემინარიელებს საკუთარი ლიტერატურული. წრე ჰქონდათ დაარსებული, რომელშიც შედიოდნენ: ლუკა ჩახიკაშვილი, თეოფილე ხუსკივაძე, ლაზარ აღნიაშვილი, ალ. ნათაძე, დავით კარიჭაშვილი და სხვნი.

წრის წამყვან წევრად ითვლებოდა ვაჟა-ფშაველა. თეოფილე ხუსკივაძე გაღმოგვცემს: „თუ ჩაიმე ახალი წიგნი გამოვიდოდა ქართულ ან რუსულ ენაზე, ამას ვაჟის ხელში ვნახვდით. ყოველს ახალს მოძრაობას ლიტერატურაში ვაჟასაგან შევიტყობდით.“

ამღრისთვის წრის ხელმძღვანელმა ალ. სალარიძის ცნობით... „შეისწავლა ჰერაკლიტი, სოქრატი, პლატონის „რესპუბლიკა“, ეპიკური, გარაიკოთხა ბეკრი, კინტი, ბოკლი, დრეპერი, ლებბოკი, სენეკა, „современныи социализм“ ლაველესი, „მეცნიერთა მეტამორფოზა“ კორტესი. და ბოლოს მოუბრუნდა პომეროსს, ვირგილიუსს, დანტეს, მილტონს, შექსირს, ბაირონსა და ფონტესს.“

ამას დაუმატეთ რესი და ქართველი კლასიკოსები. ყველა ამათ ვაჟა ჯერ თვითონ სწავლობდა და ითვისებდა, ხოლო შემდეგ აცნობდა მათ თავის წრის ამხანაგებს.

ლიტერატურული წრე აწყობდა, როგორც სხვა მწერლების, ისე საკუთარ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვებს. ყველა დიდის ყურადღებით ისმენდა ხოლმე ვაჟას აზრს წაკითხულ თხუზულებაზე. თეოფილე ხსუნკივაძე ერთ ასეთ შემთხვევის შესახებ სწერს:

„პირველი ჩემი საყმაწვილო მოთხოვნა „ჩიტის ბუდე“, შემდეგში სხვა სათაურით „ჯეჯილში“ დაბეჭდილი, წავუკითხე ვაჟის (სხვა ამხანაგებთან თაურით „ჯეჯილში“) და გასწორება ვთხოვე. ლუკამ დიდი სიმოვნებით მომისმინა, ზოგიერთად და გასწორება ვთხოვე. ლუკამ დიდი სიმოვნებით მომისმინა, ზოგიერთი ფრაზა შეამოვლა, ზოგიც სულ ამოშალა და შრომა დამიღოცა. მხოლოდ მითხოვა, რომ გრძელი ფრაზები არ მეხმარს წერის დროს და მოქლე ფრაზებით მეწერა“.

1881 წლის სექტემბრის თუ ჩეტომბრის დასაწყისში საოსტატო სემინარი ელთა წრეს დროებით მიეკედლნენ ალექსანდრე გარსევანიშვილი, შემდეგ ცნობილი ხალხოსანი და პედაგოგი ალექსანდრე ხახანაშვილი — მერე ლა-ზარევის ინსტიტუტის პროფესორი.

აზლად შეძენილ დროებით წევრთა თანდასწრებით წრემ უახლოეს ხანში მოაწყო ჩუსული ენის მასწავლებლის ნოვოსპასსკის რეფერატი და კითხვა ნეკრასოვის ლექსებისა. ალ. გარსევანიშვილი თავის მოგონებებში ამის გამო სწორს:

„...მ საღამოს დავუსწარ რუსული ენის მასწავლებლის საუბარს. ნოვოსპასკი, ამ მასწავლებლის გვარია, პოეტ ნეკრასოვის ნაწარმოებს კითხულობდა, საღაც მხატვრულად აწერილია რუსი ქალის დახასიათება. ალაგ-ალაგ გაჩერდებოდა ხოლმე და საჭირო კომენტარიებს აკეთებდა. მისი აუჩქარებელი და მკაფიოდ გაძლიერებული ახსნა-განმარტება მე ძალიან მომეწონა.“

საუბრის შემდეგ ჩაიზე დამპატიუეს. რაზიკაშვილი ჩემს გვერდით იჯდა და მელაპარაკებოდა ნეკრასოვის მნიშვნელობაზე. ზოგიერთ ამ პოეტის ნაწავეტს ზეპირად იმზობდა. განსაკუთრებით მოსწონდა იმ ლექსის ნაწყვეტი, საღაც პოეტი მიმართავს მკითხველს ასეთი სიტყვებით: „წადი მასთან, ვინც დამკირებულია და ცხოვრებისაგან შეურაცხყოფილი. იყავ შენ მათი მფარველი. საღაც ისმის მტიმე სუნთქვა და მოქალაქის მწუხარება, იქაც იყავ პირველი.“

მასწავლებლების გარდა რეფერატებს კითხულობდნენ მოსწავლენიც. ერთი ასეთი რეფერატი წაკითხულ იქნა ვაჟა-ფშაველას მიერ სოფრომ მგალობლიშვილის ბინაზე იმხანად გორში მცხოვრებ მუშა მგოსნის იოსებ დავითაშვილის შემოქმედების შესახებ. გორის საოსტატო სემინარიელთა ლიტერატურული წრის წევრი გვიამბობს:

„მოკლე ბიოგრაფიული ცნობების შემდეგ, რეფერენტი შეუდგა მგოსნის პოზიის დახასიათებას: მან მიაქცია ყურადღება ლექსების დადებითს მხარეს.“

— მე, — სთქვა ვაჟამ, — წინააღმდეგი ვარ იმ შაბლონური დაფასებისა, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგმა მოკრიტიკები ჩვეულებად გახადა: გადაფურცლვენ წიგნაეს, ამოკითხავენ ავტორის გვარს და თუ ის ნაკლებ ნაცნობია, გაბედულად წამოიძახებენ: ეს უნიკო... ეს ლექსი არ ვარგა, ამას საშუალო ნიჭი აქვსო, იმას რომა არ უვარგაო და სხვა ამგვარი. ასეთი სუბიექტური საზომით მგოსნის დაფასება არა თუ მიუღებელია, არამედ მავნეა და უნაყოფო.

ვაჟამ მრავალი ლექსის შინაარსი გაძლიერება, აღნიშნა მათი მთავარი აზრი და დავვიმტკიცა ნათლად, რომ გლეხი-მგოსნი ნამდვილი რეალისტია და საღიონებულიშის მატარებელი. იოსებ დავითაშვილის პოეზია — ეს სინამდვილის საჩვეულო. მგოსანი იმას სწერს, რაც თავის თვალით უნახავს, ან რაც მას ცხოვრებაში გამოუკიდია. მისი შემოქმედების ლეიტმორივია: ზრუნვა სწავლა-განათლებაზე, ზრუნვა მის გავრცელებაზე მორეულ გლეხობაში. ასეთ კატეგორიის ლექსებს დიდაქტიური ხასიათი აქვსო, მაგრამ ისინი მაინც არ ჰქონები გავენ მნიშვნელობას; მგოსანი გასაგები ენით არიგებს თავის მოძმეულს: ი.წავლეთ, გეყოფათ ძილი, გააღეთ თვალიო.

ამ პატარა რეფერატს კამათი არ გამოუწვევია. თბილისიდან მოსულმა მეტვე კლასის მოწაფემ მიხ. გელევანიშვილმა სთქვა საბოლოო სიტყვა და სხვათა შორის შეაღარა დავითაშვილი რუს პოეტს კოლუმნს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი მგოსნის შემოქმედება უფრო მრავალფეროვანია და მრავალშერვისა, ვიდრე კოლუმნისა. დასასრულს ალტაცებით მოიხსენია დავითაშვილის სახელი და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. გაუმარჯოს, — სთქვა

შალალი ხმით გედევანიშვილმა, — იმ გლეხ-მგოსანს, რომელმაც აიღო თავისი ქალამი იმ მიზნით, რომ მაღლა აღემართა „სწავლისა და განათლების ღრმაშა-ალამი“.

ეს ლიტერატურული სალამო იოსებისთვის იყო ღირსახსოვარი: მუდამ დამ-ცირებულმა მგოსანმა აქ, ახალთაობის წრეში, მთამინა წრფელი და გამამნე-ვებელი სიტყვები. უნდა გენახათ მაშინ მისი ბრწყინვალე სახე! ლოკები გაუ-წითლდა, თვალები ცრემლებით აევსო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქანდაკივით იჯდა სკამზე და ყურადღებით ისმენდა სჯა-ბაასს. ასეთი ბეჭინი-ერი წუთი საბრალო მგოსნის ცხოვრებაში სამწუხაროდ ძალიან იშებათი იყო“.

ამ რეფერატის რამდენიმე ხნის შემდეგ დასახელებულ წრეში აღმოჩენილი გარსევანიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რასი მგოსანი კოლუოვი და მისი შემოქმედება“. თვითონ ალ. გარსევანიშვილი ამის გამო სწერს:

„ჯერ აეწერე კოლუოვის ოჯახური მდგომარეობა და მისი აღზრდა, შემდეგ შევეხე მგოსნის ლიტერატურულ მომზადებას, რომლითაც იგი სამ-წერლო ასპარეზზე გამოვიდა.

ამ საგანს ღაწურილებით შევეხე, ვინაოდან კოლუოვი ზოგიერთ მსმენელი-სათვის უცნობი მწერალი იყო. ამის შემდეგ მგოსნის ლექსები თემების მიხე-დვით რამდენიმე კატეგორიად დავყავი: ბუნების აღწერა, გლეხი ქალის ცხოვ-რება, უღარიბესი გლეხის ფიქრები და სხვ.

რეფერატის დასასრულში აღვნიშვნე კოლუოვის მნიშვნელობა როგორის ლიტერატურაში და ვთქვი: ამ ოდნავ განათლებულმა მგოსანმა მშობლიურ ლიტერატურაში პირველმა შეიტანა ახალი სხივი, იგი შეეხო გლეხთა ცხოვრებას და მკითხველში ამ წილებისადმი ღიღი ინტერესი გამოიწვა. ამ ღროს ცნობილი კრიტიკოსი ბელინსკი ისე იყო აღტაცებული კოლუოვით, რომ მან იგი შეამკი ხალხის შეილის“ ეპითეტით. ბელინსკის ეს აზრი მე საკუთრივად უარვყავი”.

ალ. გარსევანიშვილის ამ დასკვნამ დიდი კამათი გამოიწვია. ერთი მსმე-ნელი, რომელსაც „პეპელიჩის“ ეძახდნენ თავგამოდებით იცავდა ბელინსკის აზრს. ამ პეპელიჩის წინააღმდეგ გარსევანიშვილის დასაცავად თავგამოდებით იბრძოდა რეფერატზე ვაუ-ფშაველა და გააჩერა კიდეც მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ სიტყვა აიღო იოსებ დავითაშვილმა:

„იოსებ დავითაშვილმა, — გვიაშბობს რეფერენტი, — მეტად საინტერესო შეკითხვა შემოიტანა:

— ჩემთვის ძალიან საინტერესო ცნობა, თუ როგორ მიუდგა კოლუოვი ბატონ-ყმობის საკითხს. წამიკითხეთ რომელიმე ლექსი ამის შესახებ.

— ასეთი შინაარსის ლექსი მას არ დაუწერია! — ვუპასუხე მე.

— როგორ? — გაკვირვებით წამოიძახა იოსებმა. — ნუ თუ ასეთს ბორო-ტებას იგი არც ერთი სიტყვით არ შეხებია? მერე არ დრო ყოფილა მაშინ, ათი და აქა-იქ რესეტში მასიური მღელვარებაც კი გამოიწვია?

— აქი გათხართ, — არ შეხებია მეთქი ამ მოვლენას, ტყუილს ხომ არ მოვიგონებ.

— მანც რით ითხნება ეს? — მყითხა კიდევ იოსებმა: ი მამაკანე-ბული, ჩემზე ნაწავლი ყოფილა, როგორც თქვენ ბრძანეთ, ცნობილ სტანცეი-ზე ჩის წრეშიც ყოფილა და ნუთუ ასეთ ბოროტებას, როგორიცაა მონობა, ვერ ამჩნევდა... იქნება, ადრე მოხუცდა, ან და გონება მაღე დაუსუსტდა...

ჩემს მაგიურად პასუხი ვაუამ გამცა და ისტორიული მომენტით კოლცოვი გაამართლა.

— კოლცოვი აღრე შოკვდა ჭრექით, — სთქვა ვაუამ. — ის იყო ამ ღრმა იცდათობმეტი წლისა. გონება ბოლომძინ შერჩა სალი. ღიღანან რომ ეცოცხლა, შეიძლება დაწერა სიციანური შინაარსის ლექსები. გარდა ამისა, იმ ღრმოს განათლებული მწერლებიც გატაცებულნი იყვნენ „სინამდვილის გონიერების“ თეორიით. ამ გარემოებამც იქონია კოლცოვზე გავლენა, და როცა ამ თეორიამ ძალა დაჰიარგა, მაშინ კოლცოვი ცოცხალი აღარ იყო“.

ამჟე შრეში წაიკითხა ვაუა-ფშაველამ რეფერატი სათაურით: „ლექსი მერანი, როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი“. ეს მოხსენება თავდაპირველად ვაუას რუსულად ჰქონდა დაწერილი, რუსული ენის შასწავლების ნოვოსპასის დავალებით, რომელმაც მიაწოდა მას ყოველგვარი მასალა ბარიონიზმის შესახებ.

რეფერატმა მანცდამაინც დიდი კამათი არ გამოიწვია. მოლაპარაკეთა სატაძრს უფრო შეკითხვის ხასიათი ჰქონდათ, ვაუა ყველას ამომწურავ პასუხს აძლევდა.

ეს ლიტერატურული კრება სემინარიის შენობაში იქნა ჩატარებული დოკუმენტი სემიონოვისაგან წინასწარ აღებული ნებართვით.

1881 წლის ზამთარში გორის საოსტატო სემინარიელთა წრემ ხელთნაწერი ლიტერატურულ უურნალის გამოცემა გადასწყვიტა და ეს განძრახვა ახლო ხანში შესასრულა კიდეც. უურნალის რედაქტორი აღ. ნათაძე ამის გმირ თავის მოგონებაში შემდეგსა სწერს:

„თოვლიანი დღე იყო. ჩვენ ყველანი სემინარიის ეზოში გავიშალენით და გუნდაობასა ვთავაშობდით. ორ რაზმად ვიყავით გაყოფილი, ერთ რაზმს ბელადობდა ვაუა-ფშაველა, მეორეს კი ნიკო ხუციშვილი. ბრძოლა მეტისმეტად სასტიკი გამოდგა. ბევრმა ჩვენთაგანმა ვერ გაუძლო ამ ბრძოლის სისასტიკეს და ფეხ-ხელ გამზრალთ, დაოსებულთ, გაწუწულთ მყუდრო ადგილი მოგვაძებნია. ბრძოლის ველზე ორი ბელადიღა დარჩა: ნიკო ხუციშვილი და ვაუა-ფშაველა. პირველ ხანებში სემიონოვი ზევიდან დაგვყურებდა და ბევრსაც იცინოდა, მაგრამ ას შენიშნა, რომ ბრძოლამ სახითათო მიმართულება მიიღო, თავისი რიხიანი ხმით უბრძანა მოშორებოდნენ ერთმანეთს.

შევეღით ოთახში, ბრძოლის შემდეგ ძვლები გავითბეთ. ჩვენი ღრიანცელი უა სიცილ-ხარხარი ზეცასა სწვდებოდა: ლადონ აღნიაშვილი ფეხთან მიკრუნ-შეულიყო და რალაცას სწერდა. ჩვენმა სიცილ-ხარხარმა გამოარკვია და თავის სემური რიონით გადმოვვდით: „კარგი, ე, ვირისთავებო, გეყოფათ სულელური ფართითფრთი. ახლა ერთი კარგი აზრი დამებადა და მინდა ეს აზრი გაგიზიარით“. ამ ხმაზე ქართველები წინ წავდექით და ლადონს წრე შემოვავლეთ. აღნიაშვილმა გაგვიმარტა თავის გამზრახვა ქართულ ენაზე ხელთნაწერი უურნალის დარსების შესახებ. აზრი ყველას მოეწონა. მეორე ოთახში შევეღით სათათბიოდ.

დავიწყეთ სჯა და ბაასი. ძალიან ცხარე სჯა-ბაასის შემდეგ ასე მოვაწყეთ საქმე; რედაქტორად მე ამომირჩიეს, ადმინისტრატორად და გამომცემლად ლადონ აღნიაშვილი. მესტამბედ (გადამწერად) ნიკიერი პოეტი ბაჩანა (მეტად კარგი წერა იცოდა და საში მანეთი დაუნიშნეთ თვეში). თანამდებობა ასე გავანაწილეთ: მე უნდა მეწერა შინაური მიმოხილვა და პედაგოგიური სტატი-

ები, აღნიაშვილმა კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ითავა. ვაჟა-ფშაველამ — პოეზია, ჩვენმა ნიჭიერმა ბელეტრისტმა თეოზ. ხუსკივაძემ — ბელეტრისტიკა, მათიკაშვილმა — პოლიტიკა და სხვა“.

ლიტერატურულ წრის წევრებმა თავიანთი განზრახვა ქართული კინოს  
მასწავლებელს არისტო ქუთათელაძეს და დირექტორ სემიონოვს გაუზიარეს.  
ქუთათელაძეს ეს ამბავი ძლიერ გატარდა და იმწამსვე ხელთნაწერ უურნალ-  
ისთვის თუმანი გადასცა მოსწავლეებს. დირექტორმა სემიონოვმა კი ამბის მომ-  
ტანთ ასეთი სიტყვებით მიმართა, „იმუშავეთ, იმუშავეთ, ჩემი გვრიტებო,  
თქვენი ქვეყანა გაეგბულ მუშაობას მოელის და შრომას შეუჩიველი, მოუმზა-  
დებელი მუშა ვერაფერს გაუქეთებს თქვენს სათაყვანებელ სამშობლოს. მე  
ცენზორს არ გინიშვნეთ, როგორც ამ შემთხვევაში სხვა სკოლებში იციან  
ნოლმე, ჩემი თქვენდამი სიყვარული და თქვენი სიყვარულიც ჩემდამი — თავ-  
დებია მისი, რომ ბორბოტად არ მოიხმართ ჩემს ნდობას“.

აღნიაშვილმა საკმაოდ ბრომად შეაგროვა ფული უურნალისთვის. თვითონ სემიონოვმა ხუთი მანეთი შემოსწირა. პირველი ნომერი უურნალისა პირველ თებერვალს გამოვიდა. შენახულია შინაარსი ამ ნომრისა:

„რიერაჟი“ №1, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი, სახელი:  
1) შინაური საქმეები — ალექ. ნათაძისა, 2) პოლიტიკური მიმოხილვა — მათო-  
კაშირისისა, 4) „ყარსის ბოლოს“ — პოემა ვაჟა-ფშაველასი, 5) მელოდია  
ლექსი — მისივე, 6) პედაგოგიური წერილები — თეოზ. ხუსიკვაძისა, 7) ფი-  
ზიოლოგიური წერილები — დავ. კარიქაშვილისა და სხვა.

სულ ათი ეგზემპლარი გადასწერა აღნიშნული უურნალის — „მესტამბე“ ბაჩანამ. სამი გორისოთვის დასტოვეს, ერთი ცალი „ღრივების“ რედაქციას გაეგზავნა, ერთი ილია ჭავჭავაძეს და ერთიც საოსტატო ინსტიტუტს.

ამავე ხანებში ქალაქ გორიში კერასელიდესთან ანტონ ფურცელიძე იყო ჩამომხტარი. ანტონს წაეკითხა ხელთნაწერი უკრნალი და მოეწაინა უკრნალის თანამშრომელთა გაცნობა.

„წაგვიყვანეს, — სწერს თავის მოუნებაში აღ. ნათად, — და წარგვადგინეს ანტონს ეს ახლად გამომცხვარი „ეურნალისტები.“ სოფ. მგალობლიშვილიც აქ იყო. ვახშუმზღვაც მიკვიპეტიუეს და ბეჭრი კარგი სიტყვებიც გაგვა-გონეს“.

კაშ. „დროების“ ჩეტაქტორმა სერგეი მესხმაც დღი აღტაცუა და თახავ-  
რძნობა შემოუთვალია უურნალის თანამშრომლებს ტფილისიდან.

ასე იყო გორის საოცენატო სემინარიაში, ვიღო მწვავე ჩეაქციის ოქამდებულის გამო წარე აზ დაიშალა.

## გორის საოსტატო სემინარიელთა დაბაზატიული წრე

ალექსანდრე გარსევანიშვილის ინციატივით 1881 წლის გაზაფხულზე გორის საოსტატო სემინარიელთა შორის დაარსებულ იქნა ღრამატიული წრე. მოწაფეთა დრამჭრის უფრო აქტიური მონაწილენი იყვნენ: ალ. გარსევანიშვილი, გორა ჩიტაქე, სიმონ კასრაძე, ვასო სააკაშვილი, ვანო შანავაძე, დათ. თაბუნიძე, ი. შოთნაშვილი, ვას. რატიშვილი და სხვანი. წრის იდეური ხელმძღვანელი იყო სოფრომ მგალობლიშვილი.

წარმოდგენები ჩვეულებრივად იყო უფასო. ფასიანი კი იმართებოდა მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით. სოფლად სდგამდნენ ისეთ პიესებს, რომლებიც როგორც დეკორაციებს არ საჭიროებდნენ. პროვინციებში წარმოდგენები იმართებოდა ან სკოლის შენობაში ან და დიდ აივნიან სახლის წინ. სასცენო დეკორაციის ისინი თვითონ აწყობდნენ და გრიმსაც თვითონვე იყიდებდნენ.

ამ წრის მიზანდასახულობის შესახებ ალ. გარსევანიშვილი თავის მოგონებებში შემდეგას სწორს:

„დრამჭრე, ჩვენ, ახალგაზრდობამ, დავაარსეთ არა ეკონომიურ მოსაზრებით. მთავარი მიზანი იყო თეატრალური კულტურის შეტანა მშრომელ მასაში და ხალხური იდეების გავრცელება. მართალია, ჩვენ იმ დროს საფუძვლიანად არც კი გვესმოდა თეატრის, როგორც ხელოვნების კერის მნიშვნელობა, მაგრამ საღი ინსტიტით ვგრძნობდით, რომ ეს დიდი საქმეა.“

წარმოდგენებს ვდგამდით, როგორც გორში, ისე სოფლად. ჩვენ მიერ დაასებულმა თეატრმა ფაქტიურად „მოძრავი“ თეატრის სახე მიიღო. ადგილობრივი ინტელიგენცია ჩვენს განზრახვას თანაგრძნობით შეხვდა; ყველა გვაქეზებდა და გვაძალისებდა. ამ გარემოებამ ცხადია, ჩვენი ენერგია და ენტუზიაზმი გააორენდა. ჩვენი მუშაობა განსაკუთრებით ზაფხულის არღადეგებში ხდებოდა, თუმცა დღესასწაულების დროსაც ვთამაშობდით“.

ქალების როლებს ასრულებდნენ ვაჟები. ახალგაზრდა ქალების როლს ასრულებდა ლამაზი ტანის ყმაწვილი გოლა ჩიტაძე, რომელსაც მეტად ნაზი და ტებილი ხმა ჰქონდა. მოხუცი ქალების როლს ასრულებდა ვანო შანავაძე, რომელსაც უფრო კაბასი ქალის როლი ეხერხებოდა. მაგრამ ყველაზე უცეოვის იყო კომიკური როლების შემსრულებელი ვასო სააკაშვილი, ეს მართლაც რომ შესხიობადღაბადებული ახალგაზრდა მალე კლექტი იმსხვერპლა.

მოწაფეთა დრამჭრებ თავის წარმოდგენების საშუალებით პირველად დაანახვა ქართლის გლეხებსა და ხელოსნებს თუ რა არის თეატრი და საერთოდ ღრამატიული ხელოვნება. გლეხებს წარმოდგენების გარდა მეტად მოსწონდათ დივერტისმენტი, დეკლამაცია, ჰიუმორი და ცეკვა. ღრამატიული წრე მისი იდეური ხელმძღვანელის სოფრომ მგალობლიშვილის რჩევით უფრო ისებ დავითაშვილის ლექსებს კითხულობდა ხოლმე.

მუშა მგოსნის ლექსების კითხვა გლეხებში ყველთვის აღტაცებას იწვევდა. ალ. გარსევანიშვილი ერთ ასეთ შემთხვევის შესახებ თავის მოგონებაში გვიამბობს:

„...სოფელ მეჯვროსხევში გოლა ჩიტაძემ წაიკითხა ი. დავითაშვილის ლექსი „ერის მარჩენალი“.

მთელი ერთს. მარჩენალი  
გლეხებაცია — მიწის მუშა“.

ამ სიტყვებთან ერთად ვიღაცამ დაიყვირა: „ეგ მართალია, მართალი!“ იგრიალა გაშამ: ჩიტაძემ ეს ლექსი გაიმეორა. ჯერ კითხვა არ გაეთავებინა, რომ ერთმა მოხუცემა მაღალი ხმით წამოიძახა: „ვენაცვალე სულში მაგის დამწერსაო!“ ამ სიტყვებმა საერთო მხიარულება და სიცილი გამოიწვია.

ამის შემდეგ ჩიტაძემ წაკითხა ის ლექსი, სადაც მეოსანი სწავლა-განსაღებაზე ლაპარაკობს. ლექსის დამთავრებისას დეკლამატორი უცებ მქადაგებლად გადაიქცა — გლეხობას უხსნიდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწავლას ხალხის ცხოვრებაში.

წარმოდგენის შერე ლევან თულაშვილის ოჯახში გაგვიმართეს ვახშამი. აქ მთელი საზოგადოების სახელით მაღლობა გვითხრა იქაურმა მასწავლებელმა თეოფილე კანდიდატმა, რომელმაც ჩვენი მოქმედება მრავალმხრივ დახასიათია და აღგვაფრთოვანა“.

მოწაფეთა დრამატიული წრე ხშირად აწყობდა იაფფამიან საქველმოქმედო წარმოდგენებსა და საღამოებს. ერთი ასეთი საღამო მოეწყო იოსებ და ვითაშვილის დასახმარებლად.

1883 წლის მარტში სოფრომ მგალობლიშვილი დრამატიული წრის ხელმძღვანელს მაშინ ტფილისის მეშვიდე კლასის მოწაფეს აღ. გარსევანიშვილს ამის შესახებ სწერდა:

„მუშა მეოსანს, შენ კარგ ნაცნობს. ბედი არ სწყალობს. იოსები იღუპება, სიღარიბეს განიცდის, უპატრონოა და ავაღმყოფი. წარმოდგინე გორში მოსულა უნდა და გზის ფული კი არა აქვს. ქაღალდის ყიდვაც ენატრება, რომ მასზე მაინც გადიტანოს თავისი დარღები. თქვენ, ახალგაზრდებო, მოვალენი ხართ, ასეთ პიროვნებას დახმარება გაუწიოთ. პირადად გთხოვ შემდეგსა. შენ ხარ დრამატიული წრის მეთაური. გორში, სააღდგომო კანიჭულების დროს უნდა გამართო მეოსანის სასაჩვებლოდ იაფფასიანი წარმოდგენა. რაც შეეხება ხალხს, ჩვენ მოვიყვანთ. გახსნვდთ, რომ თქვენ დახმარებას ექნება ორგვარი მნიშვნელობა: მატერიალური და ზნეობრივი.“

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა სააღდგომო არდადევებზე აღ. გარსევანიშვილი გორში ჩამოვიდა, მან სოფრომ მგალობლიშვილის თხოვნა გადასცა ამხანაგებს და მათ გადასწყვიტეს დაედგათ ვიორები ერისთავის „ძუნწი“ და თიკო თაბუნიძის სხლში, სადც ჩვეულებრივად იმრთებოდა წარმოდგენები.

ამ განძრახვის სისრულეში მოყვანა არ მოხერხდა, მაშინ დრამწრის წევრები შეიკრიბნენ მოსალპარაკებლად. კრებას ვაჟა-ფშაველაც დაესწრო. ვაჟამ უჩირა იმ სახლში, სადაც ისინი წარმოდგენებს მართავდნენ. მოეწყოთ სადილი, მოეწვიათ ინტილიგენცია და მათ შორის შეეგროვებინათ ფული იოსებ დავითაშვილის დასახმარებლად.

ვაჟა-ფშაველის წინადადება ყველამ მოიწონა. საღილი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოფრომ მგალობლიშვილი, გაიმართა 1883 წლის აღდგომის დღესასწაულის დროს დათვიკო თაბუნიძის ხაზეთ.

საღილმა ნამდვილი ლიტერატურული ბანკეტის სახე მჩირო, სტუმართა რიცხვები იყო ღუდაათამდე. მათ შორის იყვნენ მასწავლებლები, ექიმები, რეინიგზელები და მოსწავლენი.

ამ საღილს მწერლებიდან ქართველი მოხუცი პოეტი ჩაფიელ ერის თვე, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური.

ქვე იყო ვაჟა-ფშაველა და მისი უმცროსი ძმა ნიკო — მეტე ბაჩანას სახელით ცნობილი.

წარმოითქა უამრავი სიტყვა. ყველ სადღეგრძელოს სამხმიანი „მრავალ-უამიერი“ მოჰყვებოდა ხოლმე. ყველანი მხიარულობდნენ, იცინოდნენ, ოხუნ-ჯობდნენ და მღეროდნენ. მხოლოდ ვაჟი იჯდა ხმის ამოულებლად, არც ლვინოს სვამდა, ერთხანს და არც მღეროდა. მისი აგრე რიგად ყოფნა ყველას უკვირდა... მაგრამ რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოს დროს მდგომარეობა შე-იცვალა.

„რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოს შემდეგ; — სწორს ნაღიმის დამ-სწორე, — ვაჟამ მოულოდნელად გიტარას სტაცა ხელი და ტკბილი ტენორის ხმით დაამღერა ეპრობულ კილოზე დაწერილი რომანი. სიტყვები კი რაფიელ ერისთავისა იყო.

ნეტავ რას სტირი, დედობლო!  
რას ჩამომჯდარხარ კერასა...  
ასი მერან გულში მირჩევნის  
მტირალი ქალის ცქერასა!..

დიდი აღტაცებით მღეროდა ამ ლექსს ახალგაზრდა მგოსანი და თითონვე შესათერ აკაპანიმენტს გრტაჩაზე უკრავდა.

ამ სიმღერამ ძლიერი ტაშისცემა გამოიწვია. ვაჟაც გამხიარულდა. დამ-სწრეთა თხოვნით მას ეს სიმღერა უნდა გაემეორებინა, მაგრამ ამის მაგიერ ვაჟამ რუსულად დაამღერა რევოლუციური შინაარსის რომანი, რომელიც ვგანებ ასე თავდებოდა „და შენ ძვლებიდან გმირი აღსდგება, ჩვენზე ძლიერი ივი იქნება“.

ანტონ ფურულაძემ სიმღერის დასრულებისთანავე ხმამალლა დაიძახა: „ყმაწვილებო, ექსტრა!“ და ყველამ ხელმეორედ დალია ვაჟა-ფშაველას სად-ლეგრძელო. კახელებმა კახური მრავალეამიერი თქვეს. ვაჟა მესამე ხმს მღე-როდა. სიმღერის დამთავრებისთანავე ერთმა გორელმა მოსწავლემ, რომელსაც ზედმეტ სახელით „შავ ყორანს“ ეძახდნენ, შემდეგი სიტყვებით მიმართა ვაჟას:

„ამხანგო ლექა! მე წაკითხული მაქს შენი ღუბეჭდავი ლექსები, ზოგი-ერთი ლექსი პესიმისტური ხასიათისა; დღევანდელ პირობებში ასეთი რამ მოუღებელია. შორის ჩვენგან პესიმიზმი“. საბასუხოდ ვაჟას რაღაც ხელთნაწერი ამოულია უბიდან, ნერვიულად გა-დაუსინჯია და მერე დიდის გრძნობითა და ხელოვნებით ზეპირად უთქვამს ეს ლექსი:

დამისი, დამალევინე,  
ე ლვინო ცუტლებ პრიალი,  
ეგება წალმა ვიტიქრო  
სოფლის უკულმა ტრიალი.  
ეგება გულის ჭარამი  
ჩავკლა მე ამ კიქაშია:  
თვალწინ დამიღვეს ლამაზი,  
ერეოლა მამეილოს ტანშია,  
დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,

გადავეროო ზღვაშია...  
 ამ ჩვენ მონურსა სიცოცხლეს  
 სიკვდილი მიჯობს ცდაშია.  
 ვერ მოაწონებთ ჭაბუქსა,  
 რაც არ უჯდება ცკვაშია!

გაათავა თუ არა თურმე ვაუამ ლექსის კითხვა. აილო მაგიდიდან ლვინით  
 სავსე სასმისი და გადაჭრა.

ამის შემდეგ სიტყვა იოსებ დავითაშვილის შესახებ წარმოსთქვა ტებილი  
 ქართულით მოსაუბრე ნიკა ლომოურმა, რომელმაც საერთო აღტაცება გამო-  
 იწვია. მუშა მგოსნის შემოქმედებაზე ილაპარაკა აგრეთვე ვაუა-ფშაველამ. მან  
 ი. დავითაშვილის შესახებ თქვა: „ოფი ჩვენი დემოკრატიული ლიტერატურის  
 პირველი მერცხალია!“

მოკლე, მაგრამ მოხდენილი სიტყვა წარმოსთქვა მოწაფე ალექსანდრე ხა-  
 ხანაშვილმაც. „ჩვენ მოგვწონს ი. დავითაშვილი, — სთქვა მან, — იმიტომ, რომ  
 ის უსწავლელი გლეხი, სწავლა განათლების იშვიათი მოტრიტილეა. ჩვენ მოგვ-  
 წონს იოსები იმიტომ, რომ იგი სწერს ნამდვილი ხალხური ენით და მთელ მის  
 პოეზიას, პატივურმულ ლომოურის თქმისა არ იყოს, მინდვრის ბალახის სუნი  
 ასდის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გლეხი მგოსნი ქალაქის შუშის ცხოვ-  
 რებითაც დაინტერესდა და მკითხველში გამოიწვია ამ წოდებისადმი თანაგ-  
 რძნობა და ინტერესი. კუსურვით, ბატონებო, ამ ბედით დაჩაგრულ მგოსნს,  
 ჯანმრთელობა და სრული წარმატება ლიტერატურულ ასარეზზე“.

სადღეგრძელოს დათავებისათნავე ალ. ხახანაშვილმა თვისი ხრინწინი  
 ხმით ქართლური „მრავალუამიერი“ იმღერა. მას სხვებიც აყვნენ. მღეროდა  
 ვაუა-ფშაველაც. ამ დროს მაღალი ხმით დათიკო თბილიძემ „ცანგალა და გო-  
 გონა“ დაიწყო. მას იმ წამსვე ბანი უთხრეს... ატყდა ტაშისცემა და დაუარეს  
 ლეკური.

პირველად ბაჩანა გამოვიდა. მან მაშინვე თვისი ძმა ვაუა გამოიწვია. მოულონელად გაჩნდა დოლი და სალამური, მოთამაშები ერთმანეთს  
 სცვლილენ. სოფრომ მგალობლიშვილმაც იცეკვა თვისი კული ფეხით და  
 თვითონ თავისავე თავს დასცინდა. ლექურის მეტე მაპინძელმა დათიკო თა-  
 ბუნიძემ კინტოური იცეკვა და ისე ოსტატურად, რომ საერთო აღფრთვანება  
 გამოიწვია.

როცა სიჩუმე ჩამოვარდა, ალექსანდრე გარსევანიშვილმა საღილის თანა-  
 რამსწრეებს ასეთი სიტყვებით მიმართა:

„ბატონებო! პატივურმულმა ნიკო ლომოურმა, ლუკამ და ხახანაშვილმა  
 მშვენიერად დაახასიათეს დავითაშვილის შემოქმედება. სამწუხაროდ, ამ მგო-  
 სნის მატერიალური მღვმარეობა მეტად მძიმეა ამ ქამად: იგი უკიდურეს სი-  
 ლარიძეს ჭანიცდის; ჭარდა ამისა ავალმყოფობს — გული სტეფა. წარმოიდგი-  
 ნეთ ასეთი სურათი: იოსებს ვორში მოსვლა უნდა და გზის ფულის კი არა აქვს,  
 მისი და ელისაბედ ბებიაშვილი ძალიან ლარიბია, მას შველა არ შეუძლია. ძმა  
 ძმისთვინამ, ამ დღისთვინამ! დავებმართ შეძლებისამებრ ლარი მგოსნი  
 და გიხსნათ იგი გაჭირებისაგან. შემომაქეს თუმანი მოწაფეთა შორის მო-  
 გროვილი“.

თთქმის ყველა სტუმარმა თვისი წვლილი გაიღო. ერთი თუმანი დათეკო თაბუნიძის ბებია ნინომ გამოგზავნა. სულ იმ სადილზე ხუთ თუმანზე მეტი შეგროვდა. ეს თანხა იმავე დღეს ითხების დას ელისაბედს გაფუგზავნეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მოწაფეთა დრამატიულმა წრემ ქვლავ ითხებ დავითაშვილის სასაჩიგებლოდ გამართა წარმოდგენა და ლივერტისტების ლექ-სები უნდა წაკითხა ვაჟა-ფშაველასა და გოლა ჩიტაძეს. მაშინ მიხეილ ყიფიანი უკვე დატუსაღებული იყო და მისი სახელის ხსენება აკრალული იყო. ამ გარემოებამ საკმარდ დიდი ინციდენტი გამოიწვია.

იმ სალამოს გოლა ჩიტაძემ წაკითხა ითხებ დავითაშვილის დაუბეჭდავილექსი „გმირ ქალს“ და წაკითხვამდე გამოაცხადა, რომ ეს ნაწარმოები მიძღვნილია მიხეილ ყიფიანის მეუღლე ელისაბედისადმი.

„სამაგალითოდ წაკითხულმა ლექსმა, — სწერს თავის მოგონებაში ალ გარსევანიშვილი, — გამოიწვია დიდი ტაშისცემა. საზოგადოებამ მისი განმეორება მოითხოვა. ჩიტაძემ კიდევ გაიმეორა ლექსი და მაღალი ხმით კიდევ მოიხსენია მიშო ყიფიანის სახელი. ამან გამოიწვია აურზაური, ჩოჩქოლი. ხმა გავრცელდა, რომ დარბაზში ჯაშუშები არიანო. ეს მართალი აღმოჩნდა.

მეორე დღესვე პოლიციამ დამიბარა მე, როგორც მოწაფეთა დრამწრის წარმომადგენელი. ჩემთან ერთად ჩიტაძეც წამოვიდა.

— მესამე სადღაა? — მრისხანე ხმით დაიყვირს პოლიციის ბოქაულმა.

— რომელი მესამე? — ვკითხე მე.

— ვთომ არ იცი! — დაცინვით მითხა ბოქაულმა: — ამ ლექსებს რომ სწერს და კარგადაც რომ კრივი იცის...

გოლა ჩიტაძემ მიუჩიტულა: ლუკა რაზიკაშვილზე ლაპარაკობსო.

— თქვენ რაზიკაშვილზე მეეგითხებთ? ის რად უნდა მოსულიყო? — ვკითხე მე ბოქაულს; — იმას მონაწილეობა არ მიუღია წარმოდგენაზე.

— ამას თავი დავანებოთ! — თქვენ მითხარით: ვინ მოგცათ ნებართვა მუშაონის ლექსის წაკითხვისა? ვინ წაიკითხა?

გოლამ დამშვიდებით უპასუხა:

— მე წავიკითხე... ავტორი ამ პატარა ლექსისა ითხებ დავითაშვილიაო. — მერე ვინაა ეს დავითაშვილი? — იკითხა ბოქაულმა.

— დავითაშვილი, — ვუპასუხე მე, — გლეხი მგოსანია; მისი ლექსი, ლაში და შინაარსიანია. მე ზეპირად ვიცი. ამ სიტყვებთან ერთად იქვე ზეპირად „ჩაგაბულბულე“ ლექსი ისეთი კილოთი, როგორითაც კითხულობს სასტიკ პე-დაგოგის წინაშე ნერვიული მოწაფე.

ბოქაულმა ლექსი მოიმინა და ლიმილოთ მითხა: — მაშ დავითაშვილი, როგორც გლეხი, მუშას ურჩევს — შევერთდეთო — დაცინვით წამოიძახა მან და თან განაგრძო: — მევდარი მკვდარსა აეკიდაო, არა? მე კი სხვა რაღაც მეგონა, ერთდეთ, ყმაწვილებო, მეტიჩრობას! იყავით ფრთხილად. ახლა კი გასწიოთ სახლში“.

რა თქმა უნდა, რომ პოლიციამ ვერ გაიგო ლექსის ნამდვილი შინაარსი და შხოლიდ აურზაური ასტეხა მიხეილ ყიფიანის სახელის ხსენების გამო. ამის შემდეგ გორის მოწაფეთა დრამატულ წრეს დიღხანს იღარ უარსებდა.

შეცდომის ფასტირება: „ჩვენი თაობის“ 20-10-ე ნოტების აჭერია „სექტემბერი“, უნდა  
ეწეროს: ღია მარტინი.

1939 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის  
ყოველთვიურად

ხელის მოწირის პირობები:

წლიურად . . . . .	18 მან.
ნახევარი წლით . . . . .	9 "
კალკ ნომერი . . . . .	-1 ა. 50 -კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის უკელა მაღაზიაში, სოკუჩერიატის  
რაიონურობაში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

აღდაგის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 18, მწერალთა კუნძული.